

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ISSN 1512-3154

Studies in Modern and Contemporary History

2(8)

„UNIVERSAL“

Tbilisi 2010

~~15.219~~

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

2(8)

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ბ ი ზ ი თ ე კ ა

გამომცემლობა „UNIVERSAL“

თბილისი 2010

47-6394 47-1573

უკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“
ა-984

სარედაქციო კოლეგია:

გია გელაშვილი
შოთა ვადაჭკორია
ვასილ კაჭარავა
ვაჟა კიკნაძე
ლუიჯი მაგაროტო
(ვენეციის უნივერსიტეტი)
ვოიციხ მატერსკი
(პოლონეთის მეცნიერებათა
აკადემია)
გელა საითიძე
(რედაქტორის მოადგილე)
მალხაზ სიორიძე
ავთანდილ სონღულაშვილი
(რედაქტორი)
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ნიკო ჯავახიშვილი

EDITORIAL BOARD:

Gia Gelashvili
Shota Vadachkoria
Vasil Kacharava
Vazha Kiknadze
Luiji Magaroto
(Venice University)
Wojciech Materski
(Academy
of sciences of Poland)
Gela Saitidze
(Deputy editor)
Malkhaz Sioridze
Avtandil Songulashvili
(Editor)
Khatuna Kokrashvili
(Executive secretary)
Dodo Chumburidze
(Deputy editor)
Niko Javakhishvili

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი
Contents

ს ა ქ ა ნ ი ე კ ლ ო ს ო ს ტ ი ზ ი ა
The History of the Georgian

ვახტანგ სონღულაშვილი წამოყალიბებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაცია XVIII საუკუნეში (მეფა) Vaxtang Songulashvili Organization of the East Georgian central government in the XVIII century (king)	11
ილია ვადაჭკორია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის საპრობლემატიკური განხილვა „ივერია“-ს მიხედვით (1886-1889 წწ.) Iliia Vadachkoria The Newspaper "Iveria" About the Political and Social History of Feudal Georgia (1886 - 1889)	23
ოთარ გოგოლიშვილი საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში მე-20 საუკუნის დასაწყისში Otar Gogolishvili Public Movement and Political Situation in Batumi Region at the Beginning of the 20 th century	38
დოდო ჭუმბურიძე რუსული დასახლებები აფხაზეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში Dodo Chumburidze Russian and Foreign Settlements in Abkhazia at the End of the 19 th and the Beginning of the 20 th Centuries	50
ნუგზარ ზოსიძე კიდევ ერთხელ ტრაპიზონის საზავო კონფერენციის შესახებ Nugzar Zosidze About Trabson truce conference	66
შოთა ვადაჭკორია შიდა ქართლის მთის ოსების „დამოუკიდებლობის“ საპრობლემატიკური და ქართული პოლიტიკური აზრი (1918-1920 წწ.) Shota Vadachkoria The "Independence" of the Shida Kartli Mountainous Osetians and Georgian Political Thinking (1918-1920)	76

ელდარ ბუბულაშვილი 96
რაფიელ ივანიტსკი-ინგილოზ ბიოგრაფიისათვის

Eldar Bubulashvili
For Biography of Raphael Ivanitski-Ingilo

საქართველო და მსოფლიო Georgia and the World

გელა საითიძე 107
აოლონეთის საკითხი გაზეთ „ივერიაში“

Gela Saitidze
Newspaper "Iveria" About Poland

ნიკო ჯავახიშვილი 124
ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე)

Niko Javakhishvili
From the history of Georgian-Baltic relations (From the beginning of XIX century to the early XX century)

ემიგრაციის ისტორიიდან From the History of the Emigration

ნიკო ჯავახიშვილი 135
ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.)

Niko Javakhishvili
The Georgian-Baltic relations in emigration. Baltic countries in the sight of Georgian emigrants (1921-1991)

რუსუდან დაუშვილი 151
ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური საქმიანობა ამერიკაში XX საუკუნის 20-50-იან წლებში

Rusudan Daushvili
Political Activity of Georgian Emigrants in America in 1920-50

შორენა მურუსიძე 171
„გოლშავეიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი“

Shorena Murusidze
"The American Committee for Liberation from Bolshevism"

კავკასიის ისტორია The History of the Caucasus

გია გელაშვილი 181
დ. ღამბაშიძე, კავკასია (მისი ხალხი, ისტორია ეკონომიკა და თანამედროვე მდგომარეობა) (ლონდონი, 1918)

Gia Gelashvili
D. Gambashidze, The Caucasus [Its people, history, economics, and present position] (London, 1918)

მზია ტყავაშვილი 199
დაღესტანელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში

Mzia Tkavashvili
Muhajirism of Dagestanians in the 60s of the 19th Century

მსოფლიო ისტორია The History of the World

ედისერ გვენეტაძე 208
ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან

Edisher Gvenetadze
From the History of Creation of the State of Israel

ვასილ კაჭარავა 221
კუბის რევოლუცია და ეიზენჰაუზერის ადმინისტრაცია

Vasil Kacharava
The Cuban Revolution and Eisenhower Administration

თორნიკე შურლულაია 233
დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები

Vasil Kacharava
British secret services

პოლიტიკა The Policy

ავთანდილ სონღულაშვილი 242
ადამიანის უფლებები — ისტორიული „შტრიხები“

Avtandil Songulashvili
Human Rights - Historical „features“

ლელა სარალიძე 257
ევროკავშირი და საპარტოვლო (კონფლიქტების მოგვარების ევროპული გზა)

Lela Saralidze
European Union and Georgia (European way of solving conflicts)

გელა ცაავა 276
რუსეთ-საპარტოვლო ურთიერთობები: რუსეთის ფაქტორი აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში

Gela Tsaava
Relations between Georgia and Russia: Russian factor relative Abkhazian Conflict

ზურაბ კვეტენაძე..... 287
რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი

Zurab Kvetenadze
Relations of NATO with Russia after Cold War

მაია ამირგულაშვილი..... 293
რელიგიების როლი თანამედროვე გლობალიზაცულ პოლიტიკურ სივრცეში

Maia Amirgulashvili
The role of religions in the contemporary globalize political space

სამხედრო ისტორია
Millitary History

გიორგი კოკოშაშვილი 301
ისარი რობორტ ხასრული იარაღი საპარტოველოში

Giorgi Kokoshashvili
Georgian Arrow Projecting Armament

მედიცინა. ეკლესიის ისტორია
Religion. The History of the Church

ხათუნა ქოქრაშვილი..... 320
რუსეთის საეკლესიო-ადმინისტრაციული და რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან შიდა ქართლის მთიანეთში (XIX ს-ის 10-20-იანი წლები)

Khatuna Kokrashvili
From the History of the Church-Administrative and Religious Policy of Russia in Shida Kartli (the 10-20es of the 19th century)

ირინა არაბიძე 335
საპარტოველო საკათოლიკოსოს რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების მმართველობა (XX ს. 20-30-იანი წლები)

Irina Arabidze
Administration of the Russian Orthodox Perishes of the Catholicate of Georgia (the 20es of the 20th century)

ცაცა ჩხარტიშვილი 344
ბათუმში-ლაზეთის ეპარქიის ისტორიიდან

Tsatsa Chkartishvili
From the History of Batumi – Lazeti Eparchy

ისტორიოგრაფია
Historiography

მერაბ კალანდაძე 351
ისტორიული მეცნიერების ისტორია

Merab Kalandadze
History of Historical Science

წყაროების კვლევა
Source-Studies

მზია მგალობლიშვილი, ლელა მიქიაშვილი 370
ფრედრიკ დუბოის დიუბუაზე მოხაზვების კონცეფცია ქართული ხელოვნების შესახებ

Mzia Mgaloblishvili, Lela Mikiashvili
Frederic Dubois de Monpere's Conception About Georgian Architecture

ნუმისმატიკა
Numismatics

ირაკლი ფაღავა 391
აფშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში

Irakli Paghava
The Currency of the Afsharid Dynasty in the Monetary Circulation of the Caucasus

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
Criticism and Bibliography

ელდარ ბუბულაშვილი 408
„საინტერესო ნაშრომი“

Eldar Bubulashvili
Interesting Scientific Work

მზია ტყავაშვილი 412
რეცენზია მ. მ. ბლიევისა და ს. ს. ბზაროვის წიგნზე

Mzia Tkavashvili
Review on M.M. Bliev's and R. S. Bzarov's Book: History of Ossetia From the Ancient Times Till the End of the 19th Century, Moscow, 2005

ივანის პუნტი
View Point

ბადრი ცხადაძე 420
თანთაღმწერლის „სწავლავანი მათიანის“ ერთი ადგილის გაგებინათვის

Badri Tskadadze
For the Interpretation of One Segment from the Chronographer's (zhantaaghtsereli) Centennial Chronicle

ინფორმაცია
The Information

პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინება ლატვიაში 427

The scientific mission of professor Niko Javakhishvili in Latvia

გასვენება
In the Memory of Our Colleague

ნიკო ჯავახიშვილი 430
მინილ ქურდიანის მოსაგონარი

Niko Javakhishvili
The memory of M. Kurdiani

დოდო ქუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

რუსული დასახლებები აფხაზეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში

გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 1912 წლის 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობით, 1905 წელს შავი ზღვის სანაპიროზე 37 რუსული სოფელი იყო, 52 ათასი დესეტინა მიწით, ხოლო 1912 წელს ამ დასახლებების რიცხვმა 150-ს მიაღწია, მათი კუთვნილი მიწის ოდენობა კი 113 ათასი დესეტინა გახდა.

სტატიაში შევხებით რუსეთის ხელისუფლების მიერ სოხუმის ოლქში შექმნილი სპეციალური სამინათმოქმედო კომისიის მიერ შედგენილი საარქივო დოკუმენტების ცნობებს რამდენიმე რუსული დასახლების შესახებ.

დასახლება ფსხუ მდებარეობდა ბზიფის რაიონში.

ფსხუ, ისევე როგორც მთელი აფხაზეთი, ეკუთვნოდა სოხუმის ოკრუგს და შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, აქ ცხოვრობდნენ ქართველებიც და აფხაზებიც. მთავრობამ არ გაითვალისწინა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და აღწუსა აქაური ე. წ. „თავისუფალი მიწები“. მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრისადმი მიწერილ წერილში ჩანს, რომ XX საუკუნის დასაწყისში აქ 6000 დესეტინა სახაზინო, დაუსახლებელი მიწა იყო, სადაც რუსული დასახლების შექმნა დაიგეგმა (სოფელი ფსხუ, ისევე როგორც სხვა ბევრი ადგილი აფხაზეთში, მუჰაჯირობის შემდეგ დაიწალა). კავკასიის მთავარსამართველოს სამოქალაქო ნაწილის უფროსი მინისტრს ეკითხებოდა, ხომ არ შეიძლებოდა მიწის ამ რაოდენობის ფართობზე გადმოსახლებულთა ორი პუნქტის შექმნა [1, 2-3]. რუსული ხელისუფლება რომ პირველ რიგში რუსთა ეროვნულ ინტერესებს იცავდა, ადგილობრივებისას კი საერთოდ უგულვებელყოფდა, კარგად ჩანს იმ დოკუმენტიდან, რომელიც კონფიდენციალურად გადაეგზავნა კავკასიაში გადმოსახლებულთა კომიტეტის თავმჯდომარეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოდან. დოკუმენტში ეწერა: „სოხუმის ოლქის სატყეო რევიზორმა შემატყობინა, რომ ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით

ესტონელები, გერმანელები და მეგრელები, აპირებენ გაზაფხულზე ფსხუში ჩასახლებას, რათა დაიკავონ ეს ადგილი, წაართვან ის იმ მცირემიწიან მოსახლეობას, რომელთა ჩამოსახლება აქ განზრახული რუსეთის შიდაგუბერნიებიდან, რომლებიც 1891 წლიდან იხვეწებიან ამ ადგილზე დასახლებას. თუ ამთავითვე არ იქნა საჭირო ზომები მიღებული, მაშინ ფსხუს დასახლება, რომელიც შემკულია მრავალგვარი ბუნებრივი პირობებით, რათა აქ აყვავებული, 500-600 კომლიანი სოფელი შეიქმნას, დარჩება არა იმით, რომელთაც ის კანონით ეკუთვნის“. ეს „კანონიერი მესაკუთრენი“, რუსი მოხელის აზრით, მხოლოდ რუსი გლეხები იყვნენ.

სოხუმის სატყეოს უფროსის – როდიშჩევის აზრით, ადგილის განსაკუთრებულობის გამო (მთებში, სოხუმიდან დაშორებით მდებარეობის, რომ აქ გადიოდა საზაფხულო საძოვრებზე გადასასვლელი გზა, ასევე აქ შავი ზღვისპირა გუბერნიასა და ყუბანის ოლქში მიმავალი გზები ჰკვეთდნენ ერთმანთს, ზაფხულობით ამ გზებით ხერხდებოდა დაკავშირება დასახლებულ პუნქტებთან და სხვა მიზეზების გამო), აქ არასაიმედო ელემენტთა დასახლების შემთხვევაში, ფსხუ გახდებოდა საშიში, ფართო გზა გაეხსნებოდა ყაჩაღობას, პირუტყვის მოტაცებას, ქურდობას და „იქ იქნებოდა სრულიად საიმედო თავშესაფარი ყველა იმათი, რომელთაც დანაშაულებრივი წარსულის, ან სხვა რამის გამო არ შეუძლიათ სამშობლოში ცხოვრება. ამიტომ ფსხუ უნდა იქნას დასახლებული ისეთი შრომისმოყვარე და მშვიდობიანი მოსახლეობით, როგორსაც რუსი გლეხები მიეკუთვნებიან და რომელთაც უპირატესი უფლება აქვთ აქ დასახლების“.

ამ დოკუმენტის მიხედვით, ფსხუში 1906 წელს ასევე ცხოვრობდა 4 ესტონური ოჯახი, რომლებიც 1905 წელს აქ კრასნაია პოლიანადან მოსულან.

ფსხუს დასახლების „დამტაცებლებისაგან“ დასაცავად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აქ საჭიროდ თვლიდა კაზაკთა საპოლიციო პოსტის შექმნას, რომელიც 25-30 კაცისგან მანც იქნებოდა შემდგარი. პოსტი შეუშლიდა ხელს დამტაცებლებს ფსხუს დაკავებაში, დაიცავდა რუსი გლეხების ინტერესებს [2, 26].

რუსი მოხელეების მტკიცებით, ადგილობრივ მესაკუთრეებს არ სურდათ მეზობლად ჰყოლოდათ, ან იჯარით მიეცათ მიწები წერაკითხვის უცოდინარი და სრულიად უვიცი ადამიანებისთვის, მაგალითად ბერძნებსა და მეგრელებს ასახელებდა [3, 77] (მაგრამ რუსი მოხელეები არც ამ გადაწყვეტილებას ასრულებდნენ ბოლომდე, თუკი ქრთამს მიიღებდნენ, უცხოეთიდან მოსულ ბერძნებსა და სომხებს მწვანე გზას უხსნიდნენ, გარკვეული მიზეზებისა და სამომავლო მიზ-

ნების გათვალისწინებით, მხოლოდ ქართველებზე და აფხაზებზე იყო გართულება. ამის დასტურად ის დოკუმენტი გამოდგება, რომლითაც ვგებულობთ, რომ ფსხუს მოსახლე რუსი გლეხები განიცდიდნენ „ადგილობრივ რაზბოინიკთა – აფხაზების, იმერლებისა და მეგრელების თავდასხმებს“ [4, 74]. საარქივო დოკუმენტში არის რუსი ჩამოსახლებული გლეხების სია. ეს სია საკმაოდ გრძელია და ამჟღერად მას არ მოვიტანთ. რუსებს გარდა, ამ დოკუმენტებში ბერძენ, ბულგარელ და სხვა ეროვნების ჩამოსახლებულთა სიებიცაა დაცული. აქ ჩამოთვლილია ოჯახის უფროსთა სახელი და გვარები, თავად ოჯახის სხვა წევრებისა კი არა. ეს ოჯახები არცთუ ისე მცირერიცხოვანი იყო.

ფსხუში განსაკუთრებული პირობები შეიქმნა. მან დიდძალი ხალხი მიიზიდა არა მარტო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, არამედ მეზობელი რუსული დასახლებებიდანაც. მთავრობა განსაკუთრებული გულისხმიერებით გზას რუსეთიდან მოსულებს უხსნიდა. გრაფი სივერსი შუამდგომლობდა ვორონეჟის გუბერნიიდან გადმოსახლებულ შვეცოვს და ხარკოვის გუბერნიის მკვიდრთ, ფსხუში დასახლებისათვის [5, 7].

აი, რა წერია შვეცოვის განცხადებაში: „სამშობლოში არ გამაჩნია მიწა, რომლითაც შევძლებდი ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახის საარსებო საშუალების მოპოვებას. ჩემი ოჯახის შემადგენლობა ასეთია: ცოლი – ანასტასია – 49 წლის, ორი ქალიშვილი: ნატალია – 19 წლის და მავრა – 9 წლის; ორი ვაჟი: აფანასი – 13 წლის და ივანი – 3 წლის. უმორჩილესად ჩგთხოვთ მომცეთ საშუალება დავესახლო სოხუმის ოლქის გადმოსახლებულთა უბანში – „ფსხუ“.

არ ვიცი არაფერი ხელობა, გარდა ხორბლის მოყვანისა, ამ დროისათვის ოჯახის გამოკვებას ვახერხებ დღიური შრომითა და ხეების ხერხვის საშუალებით. მიწის გამოყოფით, ყველა შემთხვევაში, შემეძლება ვიხსნა ჩემი შვილები მომავლის საშინელი სიღატაკისაგან“.

მამის წერა-კითხვის უცოდინრობის გამო დოკუმენტს ხელს აწერს მისი შვილი, 13 წლის აფანასი შვეცოვი [6, 9]. ფსხუში დასახლებას ითხოვდნენ მინსკის გუბერნიიდან ჩამოსული ანტონ სახონჩიკი, იაკიმ კრიშტალი, თერგის ოლქის, სუნჯის განყოფილების, სამოშკინსკის სტანიცის მკვიდრი გლეხები – იაკობ ზეზდუნოვი და ფილაპ შიკარენკო [7, 14], გუმისთის უჩასტკის პოლტავსკოეს დასახლების მცხოვრები, 8 შვილის მამა – ივან ანდრეის ძე ვორინი [8, 63]. 1907 წელს ფსხუში, ადგილში „აჭყვა“ ჩაასახლეს 60 ბერძნული ოჯახი. საარქივო დოკუმენტი შედგენილია ქართულ და ბერძნულ ენებზე.

ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის მდიდარი რაიონებიდან მიწის სიმცირის მიზეზით აქ ხალხის ჩამოყვანა მხოლოდ თავლისასახვევად ხდებოდა, სინამდვილეში ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის შესავინროებლად, ამ რეგიონის რუსიფიკაციისათვის გამიზნული პოლიტიკური აქტი.

დასახლება – **ლინდაუ**

დასახლება შეიქმნა 1884 წელს. ეს იყო ესტონელების დასახლება აფხაზეთში. ესტონელები მანამდე, 1882 წელს შექმნილ გერმანულ სოფელ ნაიდორფშიც ცხოვრობდნენ, დოკუმენტებიდან იკვეთება ის ქიში და ნინაალმდეგობა, რაც გერმანელ და ესტონელ ჩამოსახლებულთა შორის იყო და რაც ხშირად დიდ კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე. კონფლიქტის მიზეზი ნაიდორფში გერმანელთა პრიორიტეტი იყო, მათი სკოლების, ეკლესიების არსებობა და ესტონელთა სურვილის უგულვებელყოფა – ჰქონოდათ თავიანთი კულტურულ-ეროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება. ესტონელებით კომპაქტურად დასახლებული ვერხნი ლინდაუ მიერთებული იყო ნაიდორფთან, რასაც აპროტესტებდნენ აქაური ესტონელები და გერმანელებისაგან გამოყოფას მოითხოვდნენ. ამის მიზეზებს კარგად ხსნიდნენ ესტონელი მცხოვრებლები – იაკობ პუტინინი და ანდრეი ლესმანი მთავრობისადმი მიმართვაში.

„დასახლება ნაიდორფის ორ ტომს – გერმანელებსა და ესტონელებს შორის არსებული მტრობისა და არაკეთილი დამოკიდებულების გამო უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ესტონელები საბოლოოდ გამოყოთ გერმანელებისაგან და მიაერთოთ მოსაზღვრე ესტონელების სოფელ ვერხნი ლინდაუსთან. ეს საკითხი დიდი ხანია წამოიჭრა, აღნიშნულია საზღვრების დამარეგულირებელი კომისიის ყურნალში 1893 წელს და ჩვენთვის უცნობია ამ დრომდე მისი შეუსრულებლობის მიზეზები. ჩვენი უკიდურესი გაჭირვება მდგომარეობს ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტებში: ჩვენ, ნაიდორფელი ესტონელები, გერმანელებთან შედარებით მოსახლეობის ორ მეხუთედ ნაწილს წარმოვადგენთ. ამის შედეგად სასოფლო სხდომებზე ხმის უმეტესობა ყოველთვის გერმანელთა მხარეზეა, პასუხისმგებელი პირები, მეთაურები და მოსამართლე ყოველთვის გერმანელები არიან. ჩვენ, ნაიდორფელი ესტონელები, ვიხდით ყოველნაირ გადასახადს და ბეგარას გერმანელთა მსგავსად, მაგრამ არა გვაქვს სკოლა, სამლოცველოც კი, ჩვენი ბავშვები მეტწილად წერა-კითხვის უცოდინარნი რჩებიან, ვსარგებლობთ ურთიერთშეთანხმებით ვერხნი ლინდაუელებთან, ისინი ნებას გვრთავენ ვისარგებლოთ მათი სკოლით, როდესაც იქ თავისუფალი ადგილია, ასევე ლინდაუს სკოლაში არსებული სასულიერო მომსახურეო-

ბით. ამ დროს გერმანელები ყიდიან და გაყიდეს ჩვენი ნაკვეთები, 1887 წელს მათ გაყიდეს კაკლის ხეები 300 მანეთზე მეტად, ასევე გამოიყენეს სხვა საზოგადოებრივი შემოსავლები სკოლისთვის, ძველი სასკოლო შენობის უფარგისობის გამო, 1889 წელს მათ გნადენბერგელ გერმანელებთან ერთად, ააშენეს გნადენბერგში ქვის სასკოლო შენობა, აქაც კაკლის ხეები გაყიდეს 700 მანეთზე მეტად, შემდეგ საზოგადოებრივი შეთანხმებით გაყიდეს საერთო სარგებლობის ნაკვეთები, 50-ზე მეტი, თითო 200 მანეთად, არენდა აიღეს საზოგადოებრივი წისქვილიდან ყოველწლიურად 60 მანეთი, საზაფხულო და ზამთრის საძოვრებისთვის მეგრელებიდან 100 მანეთი, საერთო ჯამში ყოველწლიური შემოსავალი - 360 მანეთი, გასავალი კი ასეთი იყო: ზემდეგი-მამასახლისებისთვის - 60 მან.; მათი თანაშემწეებისთვის - 3 მან.; სამი მომრიგებლისთვის - 9 მან. სოფლის მწერლისთვის - 60 მან. საერთო ჯამში - 132 მანეთი.

დანარჩენ 270 მანეთს გერმანელები იყენებენ თავიანთი საქიროებისათვის და ჩვენ არავითარ ანგარიშს არ გვაბარებენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება საბოლოოდ ჩვენს ჩასარიცხად ლინდაუს საზოგადოებაში, არავითარი სანაწილმდეგო ამ მხრივ ლინდაუელებს არ ექნებათ, გერმანელებიც თანახმანი არიან, მიწისმომწე ლიპინსკის მიერ 1893 წელს შემუშავებული საზღვარი არ უშლის ხელს ლინდაუს საზოგადოებასთან ჩვენს შეერთებას. ამას მოსდევს ვერხნი ლინდაუს ესტონელთა წერილობითი თანხმობა თანამემამულეთა მათ საზოგადოებაში მიღებაზე. „ჩვენ, ვერხნი ლინდაუელები, ერთხმად ვღებულობთ ჩვენს საზოგადოებაში ნაიდორფელ ესტონელებს, თავიანთი ნაკვეთებით, დაახლოებით 20 ნაკვეთით, ქვრივების, ობლებისა და საზოგადოებიდან რაღაც მიზეზით გაგდებულებს. ეს აზრი საერთო მოლაპარაკების შედეგია“.

ხელს აწერენ არჩეული დეპუტატები: ნაიდორფიდან ა. ლესმანი, დასახლება ლინდაუდან-პუტინინი.

დოკუმენტი შედგა ნაიდორფში, 1906 წლის 20 თებერვალს.

მოხდა მიწების გამოყოფა, მაგრამ ამ განაწილებამ ნაიდორფელების უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც საჩივარიც შეიტანეს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვთან [9, 99-100].

ესტონელების ამ გადაწყვეტილებას ისინი, არა რელიგიური, ან სხვა რაიმე ნიშნით, არამედ ეკონომიკური მოსაზრებით ხსნიდნენ. მეფისნაცვლისადმი მიწერილ წერილში გერმანელები წერდნენ, რომ ესტონელებმა ისარგებლეს ყოფითი პრობლემებით და ლინდაუს ესტონურ სოფელთან მიერთება მოინდომეს, სპეციალურმა კომისიამ მათ

საუკეთესო, გერმანელების ხელით წლების მანძილზე დამუშავებული მიწები გადასცა. მიწები ჩამოეჭრა გნადენბერგისა და ნაიდორფის გერმანულ სოფლებს. მიწისმომწე ლიპინსკის მიერ დადგენილი საზღვრები დაირღვა, ნაიდორფისა და გნადენბერგის გაერთიანების საკითხიც დადგა და ამით გამართლდა ესტონელების გამოყოფა. ნაიდორფელები მეფისნაცვალს თხოვდნენ თავიანთი მიწების დაბრუნებასა და არსებულ საზღვრებში დარჩენას, გნადენბერგში თავისუფალ მიწებს რომ გვპირდებიან, ტყუილია, იქ ასეთი არ არის, რა მიწებიცაა დაუკავებელი, ბატონი მეტყევე მას არიგებს, მთავრობისთვის კი სულერთია, პეტრე მიიღებს მიწებს თუ პავლე, მისთვის მთავარი ფულია, ამიტომ დაგვიტოვეთ ჩვენი მიწები, ესტონელებს კომლზე 15 დესეტინა აქვთ, ჩვენ კი 4 დესეტინაო.

ესტონური სოფლები იქმნებოდა გამორჩეულად რუსეთის მოყვარე და რუსული ორიენტაციის ესტონელებისაგან. ამაში დავრწმუნდებით იმ ვრცელი წერილის ნაკითხვის შემდეგ, რომლის ავტორები - ვერხნი ლინდაუში მცხოვრები კარლ იანესი და პეტრე პეტსია. ისინი ითხოვდნენ ახალ მიწებს დასახლება ფსხუში, სადაც ახლადწამოსახლებული რუსები ცხოვრობდნენ. ესტონელები ისევე საიმედო და ხელისუფლების დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ კავკასიაში, როგორც რუსები.

„ყოვლადუმორჩილესი თხოვნა

უკვე პატარაობიდან დღემდე ჩვენი გულები ფეთქავს რუსი ხალხისათვის. ველოლიავებოდით და ველოლიავებით ახლაც ჩვენი სულის სიღრმეში ამ სურვილს: მოვძებნოთ როსმე ისეთი ცხოვრებისეული მდგომარეობა, რომელიც სრულ შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენს რუს ძმებთან, ყოველი მიმართულებით, ისე მტკიცედ შევერთდეთ, როგორც ამას ითხოვს სახელმწიფოებრივი მიზანი: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის; ერთსულ და ერთხორც.

მაგრამ აქამდე ამის საშუალება არასდროს მოგვეცა. რამდენიმე წელი ვცდილობდით ამის მიღწევას ყუბანის ოლქის სტანიცებში იმის სურვილით, რომ აქ საბოლოოდ დავმკვიდრებულიყავით ყუბანელი კაზაკების გვერდით. მაგრამ ვერც იქ შევასრულეთ განზრახვა, მოვიარეთ მრავალი სტანიცა, ხალხი ყველგან ბლომად ესახლა, მაგრამ ჩვენი ძიება მაინც არ შეგვიწყვეტია. ამასობაში აღარც დრო დაგვრჩა და აღარც ფული.

მაგრამ ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, ჩვენი გრძნობები კაზაკებისა და რუსებისადმი იგივე დარჩა, როგორც წარსულში, სადაც არ ვიცხოვრეთ კაზაკებისა და რუსების გვერდით, ვცხოვრობდით კეთილმეზობლურად, მეგობრულად და მშვიდობიანად, და ისინი ისე

არასოდეს შეურაცხვეყოფდნენ, როგორც ეს მახინათორი მეგრელები, რომელთა მეზობლადაც ახლა ვცხოვრობთ. ამის გათვალისწინებით გვინდა შეერთება რუსებთან, რაც მათთვისაც სასარგებლო იქნება. ეს კარგი მაგალითიც იქნება იმისა, თუ როგორი ურთიერთდახმარება მოგვწონს ჩვენ. ამ გზით ჩვენ ერთსულოვნად ვართ მზად სარგებლობის მოტანაც შევიძლოთ ჩვენი საყვარელი ძმების – კავკასიაში რუსი გადმოსახლებულებისათვის. და ეს ყველა საკითხში ეხება რუსული ზნეობრიობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებას.

ჩვენ ორივენი თავგამოდებული მონადირეები ვართ, მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებშიც წარმატებით შეგვიძლია მოღვაწეობა, რადგან დიდი ხნის პრაქტიკა გვაქვს.

განათლება ლიფლანდიაში მივიღეთ, დაწყებით და სამრევლო სკოლებით დაწყებული, სამასწავლებლო სემინარიის ჩათვლით და საკუთარ ცოდნას სოფლის მეურნეობის დარგში ვიმალლებდით (მინათმოქმედება, მეცხოველეობა, საცხენოსნო საქმე და ა.შ.) ლიფლანდიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებში და საკუთარი პრაქტიკით კავკასიური მეზაღვრობის, მებოსტნეობის, მევენახეობის, ასევე – ნიადაგთმცოდნეობის, ხილ-ბოსტნეულის გახმობისა და საზამთროდ შენახვის და სხვა დარგების შესწავლით. გვაქვს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორის მიერ 1902 წლის 13 ივლისს გაცემული №479 მონობა. გარდა ამისა, ჩემი მეწყვილე (იანისი) უკანასკნელ ხანს გაეცნო ფქვილის წარმოების საქმესაც, წისქვილების აგებულებას და განსაკუთრებული მასალისაგან წისქვილის ქვის დამზადებას.

დარწმუნებულები ვართ, წარმატებას ყველა დარგში მივალწევთ, საჭიროა მხოლოდ, ჩვენი მიზნების შესაბამისი, მყარი ფუნდამენტი, ანუ საკუთარი მიწის ნაკვეთი, რისი შექმნაც, უსახსრობის გამო, დღემდე ვერ შევძელით.

აქამდე, მოიჯარეების სახით ვიცხოვრეთ სხვადასხვა ადგილებში, ხუთი წლის წინ კი კავკასიაში ჩამოვედით, ვერხნი-ლინდაუს დასახლებაში, რომელიც სოხუმის ოლქში მდებარეობს. აქაც მოვახერხეთ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან მიწის იჯარით აღება, ოღონდ მხოლოდ თითონლიანი კონტრაქტით. ამიტომ აქაც, სულიერი თუ ფიზიკური ძალები ამაოდ დავხარჯეთ, სამაგალითო შედეგების მიღწევა შეუძლებელი გახდა.

იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს, ოდესმე საკუთარ საქმეს მყარი საფუძველი ჩავუყაროთ, საჭიროა მიწის ნაკვეთის მოპოვება, რისთვისაც ამა წლის (1904) აგვისტოს დასაწყისში სოხუმის ოლქის ტერიტორიაზე, ფსხუს ხეობაში გავემგზავრეთ მიწების დასათვალის-

რებლად. ეს მიდამოები ჩვენი მიზნებისათვის ზედგამოჭრილად მიჩნეოდა. თვალნათლივ დავინახეთ, რომ დიდი წარმატების მიღწევა შეგვიძლია“.

შემდეგ წერილის ავტორები ჩამოთვლიდნენ იმ სასოფლო-სამეურნეო დარგებსა და კულტურებს, რომელთა მოყვანაც წინ წასწევდა მხარის განვითარებას. მათი აზრით, ესენი იყო:

1. მეზაღვრობა და მრავალწლიანი კულტურები: ნაყოფის მომცემი ხეები, სამშენებლო და ავეჯის დასამზადებელი ხეები, დეკორატიული მცენარეები, პარფიუმერიისათვის ვარგისი, ნამლების, ხმელი სუნელებისა და ჩირების დასამზადებელი მცენარეები, კონსერვებისათვის საჭირო პროდუქტების მომცემი მცენარეები;

2. მევენახეობა და მეღვინეობა;

3. თუთის ხეების გაშენება და მეაბრეშუმეობა;

4. მებოსტნეობა, მრავალწლოვანი კულტურების გაშენება;

5. მემინდვრეობა: პურის ყანების, მეზამბეობის, მზესუმზირის, საქონლის საკვები მცენარეების მოშენება – მეთივობა;

6. მეფუტკრეობა;

7. ცხენოსნობა (საუკეთესო ჯიშების მოშენება, ცხენოსნობის ქარხნები, მთებში მოსიარულე ჯიშები);

8. მესაქონლეობა (ალბიური საძოვრების გამოყენება, კარგი ჯიშის მენველი საქონლის, სახორცე პირუტყვის მოშენება და სხვა);

9. ფქვილის წარმოება (წისქვილების აშენება მდინარეებზე);

10. მონადირეობა, თევზჭერა.

წერილის ავტორები ასაბუთებდნენ, რომ ყველა ამ დარგის განვითარება შეიძლებოდა კავკასიაში, ითხოვდნენ 20-25 დესეტინა მიწის გამოყოფას დასახლება ფსხუში.

კარლ იანესის ოჯახი შედგებოდა 6 სულისაგან: ცოლი – 28 წლის, 3 შვილი, – 2 ვაჟი 9 და 2 წლის და ერთი 7 წლის გოგონა, ასევე დედა – ანა იანესი – 72 წლის, პეტესი უცოლო იყო და მასთან ასევე მოხუცი დედა ცხოვრობდა – 72 წლის ვიო პეტესი. იანესს 400 მანეთი ჰქონდა, პეტესს – 500.

სოხუმის ოლქში ჩამოსახლებულ ესტონელთა სია გრძელდა [10, 21]. ყველა მათგანი, უეჭველად, ისეთივე პრორუსული და იმპერიული მიზნების ასასრულებლად საუკეთესო იარაღი იყო, როგორც იანესი და პეტესი, უამისოდ ანტირუსული აჯანყებების ცეცხლში გახვეულ კავკასიაში მათ არავინ შემოუშვებდა.

1866-1867 წელს, აფხაზეთის კოლონიზაციის დასაწყისშივე, გუმისთის უბანში, შეიქმნა ბერძნული დასახლება – გეორგიევსკოე.

ბრძანებულებით, რომელიც გამოსცა კავკასიის არმიის მთავარ-სარდალმა – თითოეულ ახალშენ კომლს მიეცა 30 დესეტინა მიწა.

დასახლება მდებარობდა ნებელდის განაპირა აღმოსავლეთ ნა-ნილში, მდინარე ამტყელის გასწვრივ.

მდინარის ხეობა ძირითადად ციცაბო, კლდოვანი ადგილებით გამოირჩეოდა, მაგრამ იყო დასახლებულად ვარგისი ადგილებიც, სა-დაც ბერძენთა ახალშენი – გეორგიევსკოე გაჩნდა. მთიანი და კლდო-ვანი ადგილების სიჭარბის გამო, მეურნეობაში გამოყენებული იყო ტერასული სისტემა, იყო ფოთლოვანი ტყე, სადაც მრავლად შეხვდე-ბოდით მუხასა და წაბლს, ძირითადად კი, აქ ხარობდა სხვადასხვა ჯიშის მცენარეები: წიფელი, რცხილა, მურყანი, მთის ნეკერჩხალი, ცაცხვი, ყავისფერფოთლებიანი ნეკერჩხალი და სხვა.

იმ მოხსენებაში, რომელიც მიწათმომწყოებმა კომისიამ შეადგინა XX საუკუნის დასაწყისში, დაწვრილებით არის აღწერილი დასახლება, უბნებით, ტყეებით, გორაკებით, ყანა-ბაღებით, ტყის ხარისხით, ნათ-ქვამია, რომ ერთ დესეტინა მიწაზე 20 კმ. საჟენი ტყე მოდიოდა.

დოკუმენტი დასახლების შესახებ შემდეგ ცნობებს გვაძლევს:

ჰავა არის კონტინენტური, მთები თოვლიანი, თოვლი აქ სამი თვე მოდის, საერთოდ, ნებელდის ამ დასახლებაში მკაცრი ჰავა არ არის, კარგად ხარობს ხეხილი, განსაკუთრებით აფხაზური ვაშლი, ადგილობრივი მსხალი და ალუბალი, იზაბელას ჯიშის ვენახი. ამტყე-ლის ქედის საშუალებით, გეორგიევსკოე ქარისაგან დაცული ადგი-ლია, ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი მდებარეობა არის 4384 ფუ-ტი, ესაა მთა – „პალი“, ყველაზე დაბალი ადგილი 1750 ფუტ სიმაღ-ლეზე მდებარეობს.

სოფელი კარგად მარაგდება წყლით, მის ახლოს ჩამოედინება მრავალი მთის წყარო, რომლებიც ჩადიან მდინარე ამტყელში.

მოახალშენებმა თავდაპირველად სიმინდის მოყვანა დაიწყეს, მაგრამ მიწა მალე გამოიფიტა და თავი მიანებეს, სათიბებად აქციეს და ძირითადად მესაქონლეობას მიჰყვეს ხელი. ზაფხულობით პი-რუტყვს მიდენიან არენდით ალებულ საძოვრებზე, მთებში, ადგილზე, რომელსაც „კოპჩარა“ ჰქვია. მაგრამ გეორგიევსკელების მთავარი საქმე მაინც მეთამბაქოებაა. მოჰყავთ თამბაქოს ჯიში – „სამსონი“. თუმცა გადამუშავება არ შეუძლიათ, 10 დესეტინაზე თესავენ და აქე-დან მხოლოდ 3 დესეტინაზე მოყვანილი თამბაქოს დამუშავება ხდე-ბა, ამიტომ. მათი თამბაქო, ძირითადად, უხარისხოა. ამჟამად 18 კომლი არენდით იღებს თამბაქოს ფართობებს გრაფ ბობრინსკისა-გან, რომლის მამული სამხრეთით მდებარეობს, სადაც თამბაქოს მოყვანის მეტი ბუნებრივი პირობებია. მეთამბაქოებმა აქ ჩაიდგეს

სახლები და მთელი წელი აქ ცხოვრობენ, რათა უკეთ მიხედონ თავი-ანთ მეურნეობას, სოფელში მხოლოდ საქონელი ჰყავთ დატოვებული. მხოლოდ ნოემბერსა და დეკემბერში, როდესაც თოვლი მოდის, ადიან და მირეკავენ პირუტყვს არენდით ალებულ საძოვრებზე, სადაც უფ-რო თბილა და თოვლიც, მთიანი გორების სამხრეთით მდებარეობის წყალობით, დიდხანს არ ჩერდება.

საიჯარო სისტემა უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა, გეორგიევსკელები იხდიან 20 მანეთს დესეტინაში. ეს ბევრი არ არის, რადგან ისინი იჯარით ალებულ მიწაზე მოყვანილ თამბაქოში, 150-200 მანეთის მოგებას ნახულობენ, საკუთარი მიწები უნაყოფო აქვთ, მას ან თივისთვის იყენებენ, ან, ნაკვეთის მცირე ნაწილზე, ერთ მე-ოთხედზე ან ერთ მეორედზე, თესავენ სიმინდს. მსხვილფეხა საქონე-ლი ჰყავთ 6-დან 10 სულამდე. არენდატორები ცხოვრობენ შეძლებუ-ლად, საარენდო მიწებით სარგებლობენ თავიანთი სოფლის მიწებთან ერთად.

აქ 1872 წელს დასახლდა 18 ოჯახი, რომელთაც 30 დესეტინა მისცეს კომლზე, შემდეგში ჩამოსახლებულებს კი 10 დესეტინა შეხ-ედათ, რამაც ქონებრივი განსხვავება გამოიწვია დასახლების მცხოვ-რებთა შორის. აქ ყველა ერთმანეთის ნათესავიაო, – წერია დოკუმენ-ტში. დოკუმენტის შემდგენი გეორგიევსკს ოლგინსკოეს დასახლებას ადარებს, სადაც ასევე იყვნენ 30 და 10 დესეტინიანი ახალმოსახლეე-ბი. მცირემიწიანებს უჭირდათ, არ ჰქონდათ სათიბები და პირუტყვის საყოლიებლად საჭირო ნათესები, არც არენდით მიწის ალების საშუ-ლება გააჩნდათ, 2-5 პირუტყვი ჰყავდათ მხოლოდ და ვერ ზრდიდნენ მის რაოდენობას. ასეთები იძულებულნი იყვნენ წასულიყვნენ გარე-სამუშაოზე, უმეტესად ბერძენები სოხუმში მიდიოდნენ ქვის მთლელე-ბად. რუსი მოხელის თქმით, ბერძენები მისდევდნენ ძირითადად ქვის მთლელობას ან მეთამბაქოებას, თამბაქო ან ნებელდაში მოჰყავდათ, ან ბობრინსკისგან არენდით ალებულ მამულში. ზოგიერთი მუდმივ მოჯამაგირედ ედგა ბობრინსკის, 4 გაჭირვებული ბერძენი სულ წა-სულა გეორგიევსკიდან და სადღაც გადაკარგულა და ისინი ამოუ-რიცხავთ სასოფლო კომლის სიიდან, მათი მიწა კი დანარჩენი მცხოვ-რებლებისათვის გაუნაწილებიათ.

1872 წელს სოფელში შექმნილა 32 კომლისთვის ნაკვეთები, თი-თოეული 30 დესეტინის ზომის.

სოფელ გეორგიევსკოეს ესაზღვრებოდა 4 რუსული სოფელი: ოლგინსკოე, ალექსანდროვსკოე, ანასტასიევსკოე და ნიკოლაევსკოე, ასევე ბობრინსკის კერძო მამული. სულ მისი ფართობი იყო 1056 დე-სეტინა, 649 კვადრატული საჟენი [11. 16-18]. დასახლება – „ბომბო-

რა“ შეიქმნა XIX საუკუნის 70-იან წლებში, 43 ახალმოშენით. იგი დაპროექტებული იყო 494 დესეტინა მიწაზე, აქედან უმეტესობა მეურნეობისათვის ვარგისი იყო. ბომბორის მიწები შავი ზღვის ზოლში მდებარეობდა, ამიტომ, კანონის შესაბამისად, 25 საუენი ზღვის გასწვრივ არ იყო ჩათვლილი საერთო ფართობში, დატოვებული იყო საერთო სარგებლობისათვის.

ბომბორას დასახლება ემიჯნებოდა ლიხნის დასახლებას, აქ ორი უწყება განკარგავდა მიწებს, მაგრამ ეს ორივე უწყება სხვადასხვა კვალიფიკაციას აძლევდა, მაგ.: სამხედრო-სახალხო უწყება ბომბორის მიწის ნაწილს ლიხნის სასოფლო თემს მიაწერდა, გადმოსახლებულთა სამმართველო კი ამ მიწებს ბომბორას დასახლების სანადელო საზღვრებში განიხილავდა. მათ მიერ გავლებული მიჯნები ამის გამო ერთმანეთს არ ემთხვეოდა. გამიჯნავი კომისია მხარს უჭერდა გადასახლებულთა პარტიის პროექტს, თუმცა საპოლიციოსა და ამ კომისიის სხვა წევრებს მართო ამის გადაწყვეტის კომპეტენცია არ ჰქონდათ, ამიტომ, კომისია თხოვდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას დასახლება ბომბორის საზღვრების დადგენას [12, 1-4].

ბომბორის მოსაზღვრე იყო ბელორეჩინსკი, რომელიც თავდაპირველად 10 ჩამოსახლებულ კომლზე დაპროექტდა, 96 დესეტინა მიწაზე. აქედან მეურნეობისათვის ვარგისი იყო 68,4 დესეტინა. ამის გარდა, ბელორეჩინსკელებს უფლება მიეცათ ესარგებლათ ტყის საერთო მასივით ბომბორის დასახლების მცხოვრებლებთან ერთად. მიწის არსებული რაოდენობა მცხოვრებლებს არ აკმაყოფილებდათ, რისთვისაც ოთხმა კომლმა ითხოვა აქედან პარნაუთში გადასახლება. 1903 წლის საგადასახლებო აქტით, რომელიც ხელისუფლებამ მიიღო კოლონიზაციის განსახორციელებლად, ასეთი უფლება მიიღეს ახალმოსახლებებმა კანონის 44-ე სტატიით. ამ პერიოდში ხელისუფლება გეგმავდა პარნაუთში დასახლებული ქარველების აყრას და რუსების ჩამოსახლებას შიდა გუბერნიებიდან, უკვე აქ მცხოვრები რუსი ეროვნების ადამიანთა პარნაუთში დასახლებას.

დასახლება ბაკლანოვკა შეიქმნა 1879 წელს. ის დაპროექტდა 66 ჩამოსახლებულზე, რომელთაც გადაეცათ 616, 6 დესეტინა მიწა. დაპროექტებული მიწით ბაკლანოვკელები არ იყვნენ კმაყოფილნი და გააპროტესტეს იგი, თუმცა ეს მოგვიანებით მოხდა. რუსულ სოფლებს, დაარსების დროს ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი მეურნეობის განვითარებისა და მიწების მაქსიმალური რაოდენობის მიცემის გამო. მაშინ, როდესაც მიწას არ აძლევდნენ აფხაზი და ქართველი ეროვნების ადამიანებს, მათთვის ამგვარი პრობლემა არ არსებობდა. შემდეგში, როდესაც კოლონიზაცია გაძლიერდა, შეიქმნა ახალი სოფ-

ლები, ძველ დასახლებებს შეუმცირეს და ჩამოაჭრეს მიწის გარკვეული რაოდენობა, რამაც მოსახლეთა უკმაყოფილება გამოიწვია. ხელისუფლებამ გადასახლებულთა კანონში ჩადო გასაჩივრების ვადები, რაც მიწის მიღებიდან, ანუ დასახლებიდან სამ კვირას წარმოადგენდა ამ ვადას ხშირად ვერ იცავდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ მიწების გადასახლება, ახალი სოფლების შექმნა მოგვიანებით ხდებოდა. მაგალითად, როდესაც ბაკლანოვკის მცხოვრებლებმა 1911 წელს იჩივეს მიწების ნაკლებობისა და მათი ნადელების პეტროვსკისა და პეტროპავლოვსკოეს მცხოვრებთათვის მიცემის გამო, მათ დაგვიანების მიზეზად ცუდი ზამთარი და სოხუმთან დაკავშირების სიძნელე დასახელეს, რაც სოხუმის ხელისუფლებამ არ გაიზიარა. ამის შემდეგ ბაკლანოვკელებმა საჩივარი მეფისნაცვალ ილარიონ ივანეს-ძე კორონცოვ-დაშკოვს გაუგზავნეს.

დასახლება მწარი 1892 წელს შეიქმნა და გათვალისწინებული იყო 146 ჩამოსახლებული კომლისათვის. სოფელი მოიცავდა 1513, 3 დესეტინა მიწას, საიდანაც სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი 1381, 36 დესეტინა იყო. ამ დასახლების გვერდით, 70-იან წლებში რუსული დასახლება ვესიოლაია დაარსდა. ეს უკანასკნელი 386,6 დესეტინა მიწით დაპროექტდა. ეს მიწა 20 ახალმოსახლე კომლზე განაწილდა, მათ სასოფლო მეურნეობისათვის ვარგისი 257,4 დესეტინა მიწა ჰქონდათ, თუმცა ოცივე კომლი ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ვერ დამაგრდა ადგილზე, აქედან ათი სოხუმის ოლქის სხვა სოფლებში გადასახლდა. ვესიოლაია დაიკავეს თურქეთიდან ლტოლვილმა სომხებმა. ხელისუფლებას რუსებისთვის განკუთვნილი დასახლება არავისთვის ემეტებოდა და დაიწყო სომხების ვესიოლაიიდან გაძევების პროცესი.

ცნობილია მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის პროსომხური ორიენტაცია, სომხებმა მასთან იჩივეს, მანაც შექმნა ახალმოსულთა მიწათსარგებლობის განსაზღვრისათვის სპეციალური კომისია, რომელმაც იმუშავა, იმსჯელა და 1910 წლის 19 და 22 ნოემბერს გამოიტანა შემდეგი დადგენილება: სამუშაოს მწარმოებელი კომისიის უფროსის საპოლიციოს აზრით, ვესიოლაიასა და მწარის დასახლებებს შორის მიწებზე ატეხილი დავა მას შემდეგ წარმოიშვა, როდესაც მწარის დასახლება შეიქმნა. დაირღვა ზოგიერთი მიჯნა, კომისიამ შეამოწმა თავდაპირველი პროექტი, დაკითხა ორივე დასახლების მცხოვრებნი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად 300 დესეტინა მიწა გამოეყო ვესიოლაიას დასახლებას, რაც შემდეგ თვითნებურად გაიზარდა 86,6 დესეტინით. მცხოვრებთა რაოდენობა არ შეცვლილა. ამასთანავე, პროექტში მითითებული ვარგისი მიწების

ოდენობა სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ბევრი ადგილი უფარგისი, კლდოვანი და გამოფიტული ადგილები, ტყიანი მასივებით დაკავებულნი, რის გამოც აქ მეურნეობის წარმოება შეუძლებელი იყო. მოსახლეობა უჩიოდა სასმელი წყლის ნაკლებობასაც, მხოლოდ ერთი წყარო იყო ვესიოლაიას დასახლებაში, რაც, მცხოვრებთა საჩივრით, იმდენად ცოტა და არასაკმაო იყო, მოსახლეობა მას რიგ-რიგობით ხმარობდა. ამან მცხოვრებთა სხვაგან გადასახლება გამოიწვია. როგორც ადგილობრივთა დაკითხვიდან გამოჩნდა, ბევრი აქეთ-იქით წავიდა, მათი ადგილსამყოფელიც არავინ იცისო, – წუხდა კომისია. წასული რუსი გლეხების საცხოვრებელზე არავინ დარჩა, ეს კი კანონის დარღვევა იყო, რადგან ეს დასახლებები „კულტურული“ რუსი გლეხებისთვის აქაური ადგილების ასაღორძინებლად იყო შექმნილი. ეს გლეხები კი ამ სოფლებში ვერ ჩერდებოდნენ, ვერც კლიმატს ეგუებოდნენ და ვერც ადგილობრივ სამეურნეო ტრადიციებს, საკუთარ სამეურნეო გამოცდილებასაც ვერ ავლენდნენ, რის გამოც ხელისუფლება გულგატეხილიც იყო და შეცბუნებულიც.

კომისია წინადადებას აძლევდა ხელისუფლებას ვესიოლაია ახალი ჩამოსახლებულებით აღღორძინებინა. ასახელებდა უგზოუკვლოდ წასული 8 კომლის მეთაურებს, თანხა, არავის შეუთანხმდნენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. რვა რუსი გლეხის ადგილი დაიკავეს სომეხმა მოსულებმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მფლობელებისაგან ეს მიწები მიიღეს 99-წლიანი იჯარით და ფული წინასწარ გადაიხადეს, თანაც დაამუშავეს მიწა. იმის გამო, რომ იჯარა ადგილობრივ რუს გლეხებთან უნდა შეთანხმებულიყო, თანაც ხელისუფლებას წასული რუსი გლეხების ადგილზე კვლავ თანამემამულე რუსი, „სანდო“ და მთავრობისთვის უპრობლემო ადამიანები სურდათ, მათ 8 სომეხ გლეხს უარი უთხრეს, 2-3 წელი მისცეს მეურნეობაში ჩადებულ შრომის ასანაზღაურებლად. ესენი იყვნენ: მარტიროს საფერიანი, ანდრიას კოჩკანიანი, კარაპეტ ვარელჯიანი, გალუსტ კასიანი, მელიქ პაპაზიანი და ოვაკიმ პაპაზიანი, მათთან დროებით მცხოვრები მინა სექსუზიანი დაჩ გევორქ ლობიანი. მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ ეს სომეხები მწარში ცხოვრობდნენ, იყვნენ შეძლებული ადამიანები, ჰქონდათ კერძო საკუთრება და ვესიოლაიაში მათ მიერ დაკავებული მიწების წართმევა სამართლიანი იყო. თანაცო, ეს არენდატორები არ არიან რუსეთის მოქალაქენი, ისინი თურქეთის ქვეშევრდომნი არიან.

მიცემული დრო სომეხებს მალე წაართვეს, კომისიის მომდევნო სხდომამ მათი სასწრაფოდ გაქვევა მოითხოვა [13, 1-8].

ვორონცოვ-დაშკოვმა ეს გადაწყვეტილება შეაჩერა და სომეხთა გასახლება ვესიოლაია-მწარიდან მომავლისთვის გადადო.

სომეხი მცხოვრებლების ადგილის დაკავება სურდათ როჟდეს-ტვენსკოეს რუს, მცირემიწიან რუსებს. სოხუმის საგადასახლებო სამმართველოს უფროსი კავკასიის საგადასახლებო სამმართველოს უფროსს უმტიციცბდა ამის გაკეთებას, უხსნიდა როჟდესტვენსკოეს ცუდ ბუნებრივ პირობებს. მიმართვაში წერდა, რომ აქ კლიმატი მკაცრი იყო, ვერ ასწრებდნენ სიმინდის აღებას, თოვლი ნაადრევად მოდიოდა, არც თამბაქოს მოსავალი იყო კარგი, ბევრ შრომასა და ფულს ჰყრიან აქ მოსახლე რუსები, სომეხები კი სულ ჩხუბობენ, მოჰქონდა მაგალითი, როგორ მოექცნენ სომეხები ვესიოლაიაში რუსების მიერ გათხრილ ჭას, ჯერ გააჭუჭყიანეს და მერე აღარც მიუშვეს ზედ რუსი გლეხები, რამაც ხელჩართული ომი გამოიწვია მათ შორისო [14, 18-19].

აფხაზეთში არსებული ზემოთდასახლებული სოფლები ნაწილი იყო იმ რუსულ და გარუსებულ უცხოელთა დასახლებებს შორის, რომელიც ამ რეგიონში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. მათ შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები მთლიანად იყო უგულვებელყოფილი. ქართველებს რუსი ჩამოსახლებულები მხოლოდ იჯარით აძლევდნენ მიწასა და საძოვრებს. ყველაზე ძნელად დასამუშავებელ მიწებს მათ ჯერ ამუშავებინებდნენ, შემდეგ ართმევდნენ და რუს გლეხებს გადასცემდნენ. ქართველებს და აფხაზებს, ყველაზე ნაკლებად ჰქონდათ იქ ცხოვრების უფლება, სადაც უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და ტრადიციულ მეურნეობას ეწეოდნენ. აფხაზეთის კოლონიზაცია რუსეთის იმპერიული მიზნების ყველაზე მიზანმიმართულ პროექტს წარმოადგენდა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, საქმე 68, აღ.1.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, აღ.1, საქმე 68.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, აღ.1, საქმესაქმე 85.
4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, აღ.1, საქმე 85.
5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, აღ.1, საქმე 94.

6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, აღ.1, საქმე 94.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ.1 საქმე 94.
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ.1, საქმე 94.
9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ. 1, საქმე 94.
10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ.1, საქმე 150.
11. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 242, აღ.1, საქმე 94.
12. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ.1, საქმე 1308.
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ.1, საქმე 595.
14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღ.1, საქმე 595.

Dodo Chumburidze

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakishvili
Institute of History and Ethnology, Chief research
scientist of the Department of Modern and
Contemporary History*

**Russian and Foreign Settlements in Abkhazia at the End of the 19th and
the Beginning of the 20th Centuries**

Summary

According to the data of the newspaper "MoscowskieVedomosti" issued in December 22, 1912in 1905therewere 37 Russian villages, with 52.000 desyatinsoflandat the Black Sea coast. In 1912 their amount was increased. There were150 villages with the lands of 113.000 desyatins.

The article deals with the data of The Special Agricultural Committee archive documents founded by Russian government in Sukhumi region about some Russian settlements. These settlements are: Pskhu, Georgievskoe, Lindau, Balkanovka, Bombora, Belorechinsk, Mtsari, Vesiolaia, Rodzdestvenskoe etc.

The above mentioned villages in Abkhazia were some among those Russian and Russianized foreigners' settlements which were founded in this region at the end of the 19th and the beginning of the 20th centuries. The archive materials about these villages are obvious witnesses that the interests of the native population were completely ignored. Georgians can only rent land and pastures from newly settled Russians. The government made Georgians cultivate the most difficult lands for tillage and then used to take them away and give to Russian peasants. The Georgians and Abkhazians were the last who had permission to live there where they had been living and leading the traditional economy since ancient times. The colonization of Abkhazia was the most purposeful project of the Russian empire.

ელდარ ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერთანამშრომელი

რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ბიოგრაფიისათვის

რაფიელ ივანიცკი-ინგილო ქართველ ემიგრანტთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (1921 წლის 25 თებერვალი) შემდეგ ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების გამო დატოვა სამშობლო და უცხოეთში დამკვიდრებული დიდად იღვწოდა მშობლიური ქვეყნის სასარგებლოდ. მართალია, უკანასკნელ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე საინტერესო ნარკვევი გამოქვეყნდა რაფიელ ივანიცკი-ინგილოს შესახებ, მაგრამ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით ეხება მისი ბიოგრაფიის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში უტყუარ ჭეშმარიტებად მიჩნეული ზოგიერთი ცნობის გადაშინჯვას.

მკვლევარების უმრავლესობა რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ბიოგრაფიის გადმოცემისას ძირითადად სხვადასხვა ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობიან და დაშვებული უზუსტობებიც აღნიშნულის გამოა გამოწვეული. ერთ-ერთი ზეპირი გადმოცემის მიხედვით, რომელსაც თითქმის ყველა მკვლევარი იზიარებს, რაფიელის პაპა (პაპის სახელი უცნობია) გამოქცევია რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ შამილს, ჩამოსულა თბილისში, სადაც იგი უშვილებია მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ამალის წევრს, პოლკოვნიკ ივანიცკის, რომელსაც ახალგაზრდა ყმანვილი მოუნათლავს და საკუთარი გვარიც მიუცია [1, 177]. აღნიშნული ცნობა არ დასტურდება ქართული წყაროებით და ემიგრანტულ ქართულ პერიოდულ პრესაში რაფიელ ივანიცკი-ინგილოსადმი მიძღვნილ ნაშრომებში. იგი მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ივანიცკთა შთამომავლების ერთ-ერთ გადმოცემას ეყრდნობა. წარმოდგენილ ზეპირ გადმოცემაში არსებული ცნობების გარკვევისათვის საჭიროდ მიმაჩნია რაფიელ ივანიცკი-ინგილოს უახლოესი წინაპრების ვინაობის დადგენა.

მკვლევართათვის ცნობილია რაფიელის მამის სახელი – ალექსანდრე, რომელიც გაქრისტიანების შემდეგ მღვდლად ეკურთხა და სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, სიცოცხლის ბოლოს კი თავის მშობლიურ კუთხეში, საინგილოში

მსახურობდა. აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით ჩვენი ყურადღება მიიპყრო გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის №86-ში „თის ძირელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულმა 1886 წლის ნოემბერში 50-56 წლის ასაკში გარდაცვლილი სოფელ ალიბეგოს მართმადიდებელი ეკლესიის მოძღვრის ალექსანდრე ივანიცკისადმი მიძღვნილმა ნეკროლოგმა. ჩვენი აზრით, ნეკროლოგში მოხსენებული ალექსანდრე უნდა იყოს ივანიცკების გვარის პირველი წარმომადგენელი. ნეკროლოგის ავტორის მიხედვით, ალექსანდრე და მისი წინაპრები საინგილოს სოფელ მულანლოს მაჰმადიან გლეხთა წარმომადგენლები ყოფილან. მას გაქრისტიანებადღე მაჰმადი რქმევია, სოფელში ხოჯის მოვალეობას ასრულებდა, რის გამოც მას ზედმეტსახელად თურმე „ხოჯა მაჰმადს“ ეძახდნენ. იგი საკმაოდ განათლებული ყოფილა, კარგად ცოდნია არაბული, თურქული და ქართული ენები. ალექსანდრე და მისი მამა შამილის ლეკთა რაზმებში ირიცხებოდნენ და აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. შამილის დატყვევების შემდეგ იგი დაახლოებია ქიზიყის მოსახლეობას, რომელთა რჩევით ბოდბის მონასტერში მონათლულა და იქვე დარჩენილა მორჩილად. მცირე ხნის შემდეგ ალექსანდრე ჯერ დიაკონად უკურთხებიან, შემდგომ კი მღვდლად [2].

ჩვენი ვარაუდით, ნეკროლოგში მოხსენებული პიროვნება უნდა იყოს რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მამა. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ რაფიელის უახლოესი წინაპრებიდან მხოლოდ მამამისი, ალექსანდრე იყო მართლმადიდებელი სასულიერო პირი. აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ნეკროლოგის ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ გაქრისტიანების შემდეგ ქრისტიანული წესით დაქორწინებული მეუღლისაგან (მეუღლის სახელი მითითებული არ არის) მას შესძენია 7 შვილი [2]. ცნობილია, რომ რაფიელის მშობლებს ალექსანდრესა და მარიამს ჰყავდათ 5 შვილი. ჩვენი აზრით, აღნიშნული უზუსტობა ნეკროლოგის ავტორის შეცდომით უნდა იხსნას. ნეკროლოგის ავტორისათვის აგრეთვე უცნობია თუ როგორ მიიღო ალექსანდრემ ივანიცკის გვარი. ივანიცკების შთამომავლებში მათი გვარის წარმოშობის შესახებ ცნობა ისტორიული მეხსიერების საშუალებით უნდა დამკვიდრებულიყო და ამ გადმოცემის მეშვეობით გვექცეს ცნობები მათი წარმომავლობის შესახებ. ჩვენს მიერ მოტანილი მასალა და მის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრება სრულ მანძილზე რაფიელ ივანიცკის შვილის, ირაკლი ივანიცკის ოჯახში შემორჩენილ გადმოცემებთან. ამ გადმოცემის მიხედვით, თბილისში ჩასული რაფიელის მამა ალექსანდრე უშვილებია პოლონელ პოლკოვნიკ ივანიცკის, რომლის შემდეგ იგი და მათი შთამომავლები ივნიც-

კის გვარს ატარებენ. ამავე გადმოცემით, ალექსანდრე თურმე, ჭაბუკობის დროს, წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში ცხოვრობდა [3, 3].

რაფიელ ივანიცკი-ინგილო დაიბადა 1886 წლის 23 ივლისს საინგილოს სოფელ კახში. როგორც მისი შემორჩენილი დღიურებიდან ირკვევა, იგი თავდაპირველად სწავლობდა თელავის სასულიერო სამაზრო სასწავლებელში, შემდგომ სწავლა გააგრძელა თბილისის გიმნაზიაში, უმაღლესი იურდიული განათლება კი მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში ბრუნდება და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა პედაგოგად, იურისტად, ხოლო 1916 წლიდან ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მისი პუბლიცისტური წერილები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავისი მშობლიური კუთხის – საინგილოს და ქართველ ინგილოთა წინაშე მდგარი სხვადასხვა საკითხების გაშუქებას. რაფიელი პუბლიცისტურ წერილებს ხშირად „ინგილოს“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. მან თავისი მშობლიური კუთხის საინგილოს პატივსაცემად ფსევდონიმად აირჩია „ინგილო.“ რაფიელთან ერთად მისი ძმები, მღვდლები: ტარასი, აპოლონი და ვლადიმერი დიდად იღვწოდნენ საქართველოს ძირძველი კუთხის საინგილოს კულტურული დანიანურებისათვის და ქრისტიანული რწმენის აღდგენისათვის.

რაფიელ ივანიცკი-ინგილო აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი გახდა 1917 წელს დაარსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და მდივანი. აქტიურად თანამშრომლობდა ამავე პარტიის გაზეთში „საქართველო.“ ერთ დროს კი ამ გაზეთის ფაქტიური რედაქტორიც იყო [1, 428].

რაფიელ ივანიცკი-ინგილო დიდი სიხარულით მიესალმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას და მონაწილეობა მიიღო 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამართულ საეკლესიო თავყრილობაში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას იგი დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოგვიანებით, 1918 წლის ივნისში რაფიელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ წერდა, რომ იგი „წინამორბედად მოევიწყა საქართველოს პოლიტიკურ აღდგენას“ [4]. რაფიელ ივანიცკი-ინგილომ, როგორც საინგილოს დეპუტაციის წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო 1917 წლის სექტემბერში ავტოკეფალია აღდგენილი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის არჩე-

ვებთან დაკავშირებით გამართულ პირველ საეკლესიო კრების მუშაობაში, სადაც იგი აირჩიეს ახლადშექმნილი საკათალიკოსო საბჭოს მდივნად. როგორც საკათალიკოსო საბჭოს წევრი, იგი აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა ახლადფუნდამული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ჩამოყალიბებაში.

ამავე პერიოდში იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) შემდეგ რაფიელი არჩეულ იქნა საინგილოს დეპუტატად დამფუძნებელ კრებაში. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პლატფორმაზე მდგომი, იგი აქტიურად იცავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. 1918-1920 წლების პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში მკაცრად ამხელდა ხელისუფლების სათავეში მოსული სოციალ-დემოკრატების კოსმოპოლიტურ პოლიტიკას.

1921 წლის თებერვალში საქართველოს ძალდატანებითმა გასაბჭოებამ და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვამ ძიძიმედ იმოქმედა რაფიელ ივანიცკი-ინგილოზე. ათვისებულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ბოლშევიკური რეჟიმი მიუღებელი აღმოჩნდა მისთვის და თავის განწყობას არც მალავდა.

რაფიელ ივანიცკი-ინგილომ ხმა აღიმალა 1921 წლის 5 ივლისის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლის ძალით საინგილო აზერბაიჯანის სსრ გადაეცა. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1921 წლის 3 სექტემბერს გელათში ჩატარებულ მესამე საეკლესიო კრებაზე (ალექსანდრე კრებაზე გარდაცვლილი ლეონიდეს ნაცვლად კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს ამბროსი ხელაია) იგი სიტყვით გამოვიდა. რაფიელი საეკლესიო კრების მონაწილეებს განუმარტავდა, რომ ტერიტორიულ მოწყვეტასთან ერთად საინგილოს მართლმადიდებელი მრევლი შესაძლებელია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის გარეშე დარჩენილიყო. ამიტომ იგი წინადადებას აყენებდა, რომ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით საინგილოს მართლმადიდებელთა მრევლს უახლოესი ეპარქიის, ალავერდის მღვდელმთავარს დაეცლებოდა, მომავალში კი აუცილებლად მიიჩნევადა ახალი ეპარქიის გახსნას [5, 6]. მართალია, საეკლესიო კრებამ მოისმინა რაფიელ ივანიცკი-ინგილოს წინადადებები, მაგრამ შესაბამისი გადაწყვეტილებები არ მიუღია. სამწუხაროდ რაფიელის თვალსაზრისი გამართლდა. 1923 წელს ზაქათალის ოლქის მართლმადიდებელი მრევლი რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა.

რაფიელის ბიოგრაფიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის აღნიშნული ფაქტი უცნობია. მათთვის უცნობია აგრეთვე მისი მოღ-

ვანგობის ზოგიერთი დეტალიც. თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი 1921 წელს გაემგზავრა ემიგრაციაში. სინამდვილეში, როგორც წყაროებით დასტურდება, 1922 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში რაფიელი საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა დაპატიმრებული. დაპატიმრების მიზეზი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ შესაძლებელია მესამე საეკლესიო კრებაზე რაფიელის რადიკალური გამოსვლა გახდა მიზეზი მისი დაპატიმრების. რაფიელის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, 1922 წლის 24 მარტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია ხელისუფლებას მიმართავს: „მიმდინარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში დაპატიმრებული იქნა საკათალიკოსო საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი. ვინაიდან საკათალიკოსოს მუშაობისათვის რაფიელ ალექსანდრეს ძე ივანიცკი ფრიად საჭიროა, პატივისცემით ვთხოვ რესპუბლიკის მთავრობას ინებოს განკარგულება დაპატიმრებული ივანიცკის გათავისუფლებისათვის“ [6, 6]. როგორც ჩანს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა მთავრობამ დააკმაყოფილა, რადგან 1922 წლის მეორე ნახევარში რაფიელი ემიგრაციაში გაემგზავრა.

ემიგრაციაში რაფიელი მცირე ხანს ცხოვრობდა გერმანიაში (ბერლინში), შემდეგ ვენაში, ხოლო 1924-1948 წლებში რომში მოღვაწეობს. იგი, როგორც საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ითვლებოდა რომის პაპის უწმინდეს კარზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად. საქართველოში დარჩენილი ახლობლებიდან მას მხოლოდ თბილისში მცხოვრებ ცოლ-შვილთან ჰქონდა მიმინერა [3].

ემიგრაციაში რაფიელი აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. იგი თანამშრომლობდა და პუბლიკაციებს აქვეყნებდა ეროვნული მიმართულების ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას გარდაცვალების გამო მან 1928 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოაქვეყნა ვრცელი პუბლიკაცია, რომელშიც ავტორი მალალ შეფასებას აძლევს ამბროსი ხელაიას ღვაწლს ქვეყნისა და ერის საკელთილდღეოდ. იგი, როგორც საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს კათოლიკოსთან, კარგად იცნობდა მის ღვაწლს ერისა და ქვეყნის წინაშე და დიდად აფასებდა მის უკომპრომისო გამოსვლას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. პუბლიკაციის ავტორს ამბროსი ხელაია იმ ქართველ მამულიძეებთან ღვაწლის გამგრძელებლად მიაჩნდა, რომლებიც ჯვრითა და მახვილით იცავდნენ სარწმუნოებას და თავიანთ სამშობლოს [7].

რუსეთის იმპერიის ძალმომრეობის ჩვენების მიზნით რაფიელმა ქართულ ენაზე თარგმნა და გაზეთ „სამშობლოში“ 1932 წელს გამოაქვეყნა 1920 წელს რუსულ ენაზე თბილისში დაბეჭდილი ბროშურა „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმინდესი ტიხონის მიმართ.“ აღნიშნული ეპისტოლე პასუხი იყო მოსკოვისა და სრ. რუსეთის ახლადარჩეული პატრიარქის ტიხონის ეპისტოლესი, რომელიც ქართველ სამღვდელოებას 1917 წლის 27 დეკემბერს გამოუგზავნა. აღნიშნულ ეპისტოლეში რუსეთის პატრიარქი ქართველ სასულიერო პირებს ბრალს სდებდა სქიზმასა და სეპარატიზმში [8, 345]. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს სახელით რუსეთის პატრიარქისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით მხილებულია ის ბრალდებები, რასაც რუსეთის პატრიარქი აბრალედა ქართველ სამღვდელოებას.

რაფიელ ივანიცკის თარგმანს ახლავს მცირე მოცულობის შესავალი, რომელშიც მოკლედ მიმოხილულია საქართველოს ეკლესიის წარსული და მისი ადგილი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროში [8, 142-147].

რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ემიგრანტული პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია საინგილოს გულშემატკივარისა და იქაური მკვიდრის მოსე ჯანაშვილის გარდაცვალების გამო მის მიერ 1934 წელს გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი [9, 345]. იგი პირადად იცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოსე ჯანაშვილთან.

რომში მოღვაწეობის დროს რაფიელი ქართველთა გარემოცვაში იმყოფებოდა. იგი დაახლოებული იყო იმხანად ემიგრაციაში მყოფ მხარანელ ბაგრატიონთა სამეფოს შტოს წარმომადგენელ ირაკლი ბაგრატიონთან, რომელსაც 1940 წელს ცოლად შეურთავს გრაფინია მარია-ანტუანე პასკვინი [10, 17]. ამ ფაქტთან დაკავშირებით იტალიის მეფის ვიქტორ ემანუელ მესამის სასახლის ინიციატივით რაფიელს რომში იტალიურ ენაზე 1942 წელს გამოუცია ნაშრომი „საქართველო და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი.“ ნაშრომს თან ახლავს „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული თარგმანი და უზვად არის ილუსტრირებული [1, 628-629].

რაფიელ ივანიცკის ბიოგრაფების ცნობით, იგი 1943 წელს პარიზში მისულა, სადაც მღვდლად კურთხეულა და შემდეგ ესპანეთში გამგზავრებულია. ჩვენს მიერ ახლადგამოვლენილი წყაროებით აღნიშნული ცნობა არ დასტურდება. 1948 წლამდე იგი რომში ცხოვრობდა. მისი ესპანეთში, კერძოდ მადრიდში გადასვლა განაპირობა იმ ფაქ-

ტმა, რომ 1946 წელს ირაკლი ბაგრატიონმა პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეირთო ესპანეთის მეფის ალფონსო XIII-ის დისშვილი, რის გამოც იგი იტალიიდან ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად. მადრიდში დამკვიდრებულმა ირაკლი ბაგრატიონმა და იქ მყოფმა ქართველებმა განიზრახეს ქართული ეკლესიის გახსნა, რომლის ხელმძღვანელობა, მღვდლად კურთხევის შემდეგ, რაფიელს უნდა დაკისრებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა რომში მყოფ რაფიელს, რომელიც სიამოვნებით დათანხმებულა შემოთავაზებულ წინადადებაზე, მაგრამ მისი მოძღვრად კურთხევა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. რაფიელ ივანიცკი საქართველოს ეკლესიის წევრად ითვლებოდა. ამიტომ ევროპაში მისი ხელდასახმისათვის აუცილებელი იყო საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის (1932-1952) წერილობითი ლოცვა-კურთხევა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა საინტერესო დოკუმენტური მასალა. ირკვევა, რომ 1947 წლის დასაწყისში რაფიელს წერილობითი თხოვნით მიუმართავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესათვის. სამწუხაროდ ვერ მივაკვლიეთ რაფიელის აღნიშნულ წერილს. ჩვენთვის მხოლოდ ცნობილია რომში რაფიელისადმი 1947 წლის 23 თებერვლით დათარიღებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხელმოწერით გაგზავნილი წერილი.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი რაფიელ ივანიცკის აცნობებდა: „რომიდან გამოგზავნილ თქვენს წერილში აღნიშნულია, რომ იქ (მადრიდში ე. ბ.) დაარსებულმა სათანადო ჯგუფმა მოგანდოთ თქვენ მოგემართად ჩემთვის, გადმომეგზავნა ოფიციალური დასტური, რათა ევროპაში რომელიმე მართლმადიდებელ მღვდელმთავარს თქვენ აეყვანეთ მღვდლობის ხარისხში. ეს ჩემთვის უხერხულია საეკლესიო წეს-წყობილებით. ევროპაში მცხოვრები მართლმადიდებლები ექვემდებარებიან ან კონსტანტინოპოლის პატრიარქს (მისი ეგზარქოსი ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტი გერმანიაში ცხოვრობს, პარიზში ან ლონდონში), ან მოსკოვის პატრიარქს (მისი ეგზარქოსიც ცხოვრობს პარიზში, ყოვლადსამღვდელო სერაფიმე მიტროპოლიტი) და ამისთვის სათანადო ჯგუფს უნდა მიემართნა ერთ-ერთი მათგანისათვის და ის თუ დაინახავდა საჭიროდ, გამოითხოვდა ჩემს დასტურს. ვინაიდან ეს არ მოხდა, მე სულ სხვა აზრი დამებადა... უმჯობესი იქნებოდა, გამოგეთხოვათ სათანადო ნებართვა საბჭოთა კავშირში დაბრუნებისათვის და შემოსილიყავით მღვდლის ხარისხით, რადგან აქაც სამკალი ფრიად არს, ხოლო განათლებული მუშაკნი მცირედ (მათ. 9, 37).

წერილის დასასრულს საქართველოს მწყემსმთავარი ლოცავს მიმართვის ადრესატს: „მოვიწვევ რა სჯულის კურთხევას თქვენზედ და ყველა ჩვენი სამშობლოს კეთილად განწყობილ თანამემამულეებზე“ [6, 37]. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატეს, როგორც ჩანს, სჯეროდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის მიმართ გახორციელებული ერთგვარი ლოიალური პოლიტიკა საშუალებას მისცემდა რაფიელს სამშობლოში დაბრუნებულიყო და მღვდელთმსახურება აღესრულებინა, მაგრამ მისთვის უცნობი იყო, რომ რაფიელ ივანიცკის მძიმე ბრალდება – სამშობლოს ლალატი ჰქონდა წაყენებული და დაბრუნების შემთხვევაში იგი სასჯელს ვერ გადაურჩებოდა.

რაფიელ ივანიცკის მიმართვის გამო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ იმავე წელს აგრეთვე წერილით მიმართა მადრიდში მცხოვრებ ირაკლი ბაგრატიონს. აღნიშნული წერილი იმდენად საინტერესოა, რომ მას სრული სახით გთავაზობთ:

„უცხოებაში მყოფ საქართველოს ეკლესიის შვილს ირაკლი ბაგრატიონს!

ჩვენ მოგვივიდა რომიდან რაფიელ ივანიცკი-ინგილოს წერილი, რომელიც გვაცნობს, – „დროთა მსვლელობაში სამშობლოს გარეშე მყოფი ქართველები უფრო მეტად გრძნობენ საჭიროებას წირვისა და წესების შესრულებისა სამშობლო ენაზე. ამ მიზნით რომში დაარსდა სათანადო ჯგუფი, რომელმაც გამიმეორა არაერთხელ გამოთქმული სურვილი ხელთ მელო სამწყსოს კვერთხი. ამისათვის ... უკეთუ ღირსად აღნიშნავთ, კეთილინებოთ გადმომეგზავნოს ოფიციალური დასტური, რათა ხელდასხმულ ვიქმნე მღვდლად რომელიმე მღვდელმთავრის მიერ. მის გარდა საჭირო არის მქონდეს თქვენი უწმიდესობის ინსტრუქციები, მოხსენების ფორმები, საკალენდრო ცნობები და საღვთისმსახურო წიგნები ქართულ ენაზე.“

ცნობამ, რომ ევროპაში მყოფ ქართველებს აღძვრიათ სურვილი ღვთისმსახურების სამშობლო ენაზე მოწყობისა, სიხარულით აღავსო ჩემი გული. ეს არ არის მარტო სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დედა-ენაზე დაკმაყოფილების სურნილი, არამედ ნაკადია იმ გრძნობათა, რომელიც მშობელი ეკლესიის წიაღში ეძიებს ღმერთთან, მოყვასთან მშობელ ერთან არსებითად დაახლოებას და მჭიდროდ დაკავშირებას.

ვევადრებით ჩვენს სასოსა და მფარველ ღვთისმშობელს, რომე-

ლიც შეძლებს სამშობლო ენაზედ ღვთისმსახურების დაკმაყოფილებასაც და წყნარი გზით არსებობის პურის მოსაპოვებლად უცხო ქვეყნებში გაბნეული, ჩვენი ერის შვილების საქართველოს მყუდრო ნავსადგურებში დამკვიდრებასაც, რათა უცხოობაში ჭირთა განცდით გამობრძმედილნი ნათელი გონებითა და წრფელი გულით შეუდგნენ ნაყოფიერ მუშაობას წინსვლისა და აყვავების გზაზე მტკიცედ დაყრდნობილ საკუთარ მამულში – სამოთხის მსგავს საქართველოში.

რაც შეეხება რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მღვდლად ხელდასხმას, ეს უნდა მოხდეს საეკლესიო კანონების მოთხოვნილებათა მიხედვით. სათანადო ჯგუფმა უნდა მიმართოს შესაფერი განცხადებით კონსტანტინოპოლის ან მოსკოვის პატრიარქის ეგზარქოსებს ევროპაში, ყოვლადსამღვდელო გერმანიის მიტროპოლიტს (რეზიდენცია პარიზსა და ლონდონში) ან ყოვლადსამღვდელო სერაფიმე მიტროპოლიტს (რეზიდენცია პარიზში) და თუ ისინი დაინახავენ საჭიროდ გამოითხოვონ ჩემი დასტური, მაშინ გამოგეგზავნებათ ჩვენი საელჩოს მეშვეობით საჭირო ინსტრუქციები, ცნობები და წიგნები.

აღნიშნულს დაეძენ: რაფიელ ივანიცკი ტფილისიდან უცხოეთში წასვლამდე იყო სამღვდელო ხარისხისათვის დაუბრკოლებელი პიროვნება – უმაღლესი განათლებით შემოსული. სულის შეგნებით წმიდა, საიდუმლოთა მიმღები და ქმარი ერთ ცოლისა, რის გამოც საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელობა მზად იყო მიენიჭებინა მისთვის სამღვდელო ხარისხი. ხოლო თუ როგორ ზნეობრივ ღირებულებას წარმოადგენს ის ამჟამად, სამშობლოდან გასვლი 25 წლის შემდეგ ეს უკეთ ეცოდინებათ იმ ქართველებს, რომელთა წრეში იგი მოღვაწეობდა და რომელთაც სურთ მისი თავის მოძღვრად და სულიერ ხელმძღვანელად მიწვევა“ [6, 12-14].

წყაროდან არა ჩანს, მაგრამ უეჭველია, რომ ქართველმა ემიგრანტებმა გაითვალისწინეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რჩევები. 1948 წელს რაფიელი პარიზში გადადის, სადაც იგი კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჯერ დიაკვნად, ხოლო შემდგომ მღვდლად ეკურთხა და გამწესებული იქნა ირაკლი ბაგრატიონისა და ქართველ ემიგრანტთა მიერ დაარსებულ მადრიდის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვრად. მალე იგი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს.

მრავალეროვანი იყო მამა რაფიელის მრევლი. ქართველებთან ერთად ტაძარში დაიარებოდნენ რუსები, ბერძნები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. იგი წირვას ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე ატარებდა. როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, რაფიელი მრევლის ჭირ-ვარამის გამზიარებელი და დამრიგებელი იყო,

რის გამოც იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა [12, 152].

მადრიდში გადასახლების შემდეგ სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი აქტიურად თანამშრომლობდა მიუნხენის რადიო „თავისუფლების“ ქართულ განყოფილებასთან, სადაც რელიგიურ თემებზე ხშირად გამოდიოდა მსმენელთა წინაშე. შემორჩენილია 1956 წლის 6 მაისს აღდგომის დღესთან დაკავშირებით მის მიერ ქართულენოვან მსმენელთათვის წარმოთქმული ქადაგება, რომლითაც იგი ქართველ ხალხს შეახსენებდა: „უწინ თბილისელებს აღდგომის შუალამისას აფხიზლებდა სიონის ზარის გუგუნი და ამ გუგუნმა ხარფუხელ სახალხო მგოსანს, იეთიმ გურჯს ათქმევინა: „დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო, ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო!“ „მოვდივარ შენკენ“ – სხვა შემთხვევის გამო შესძახა სიონს გრიშაშვილმა; „და როგორც ქარი ვარდს მიაქანებს, მეც მოვქრი შენკენ, და ფილაქანებს ვნესტავ მონადენ ცრემლის არხებით“-ო!

„აღდგომის სასწაულს თუ მივიჩნევთ ახალი აღთქმის ქვაკუთხედად, ეს იქნება მთელი ჩვენი ყოფაქცევის მიზიდვა სახარების ჭეშმარიტებისაკენ. ქრისტეს მცნების მიმდევარმა და კერძოდ მართლმადიდებელმა, რა საქმესა და სამსახურშიც უნდა იყო ჩაბმული ის, – იქნება ეს სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ კერძო, – მთლიანად თავისი მოქმედება და უნარი უნდა შეუფარდოს სახარებაში გასოსახულ პრინციპებს და დებულებებს. და რას ამოვკრიფავთ იქ, თუ არა იმას, რაიცა ამშვენებს, აპატიოსნებს, ალაფრენს გონებას სიკეთისა და სიმართლისაკენ“ [12, 152].

დაულალავმა შრომამ და ემიგრანტულმა სულიერმა სიმარტოვემ დიდად იმოქმედა მის ჯამრთელობაზე. ასაკთან ერთად მისი ჯამრთელობაც უარესდებოდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ემიგრანტმა ქართველებმა, იგი მისი სურვილისამებრ პარიზში გადაიყვანეს საცხოვრებლად, სადაც 1966 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალულია პარიზთან ახლოს, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 2001, გვ. 628; შდრ. დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008.
2. გაზეთი „ივერია“, 1887, № 86.
3. ე. გოგუაძე, უახლესი ცნობები რაფიელ ინგილოს შესახებ, გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989, 1 თებერვალი.
4. გაზეთი „საქართველო“, 1918, 19 ივნისი.
5. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რაფიელ ივანიცკის

6. ფონდი, საქმე №1315, ფურც. 4.
6. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რაფიელ ივანიცკის ფონდი, საქმე №450, ფურც. 6.
7. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, №28.
8. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004.
9. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II თბ., 2002.
10. მ. ხომერიკი, სახეები, თბ., 2005.
11. ვ. ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო, თბ., 1974.
12. კ. ინასარიძე, არქიმანდრიტი რაფიელ ივანიცკი, კავკასიონი, XII, პარიზი, 1967.

Eldar Bubulashvili

Doctor of Historical sciences, Chief scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

For Biography of Raphael Ivanitski-Ingilo

Summary

In the scientific work in a new manner, with a critical analysis, according to newly revealed archival sources and corresponding historiographic researches are represented life and some details of activity of a Georgian patriot – Rapiel Ivanitski-Ingilo acting in emigration in the first half of the 20th century.

On the bases of new archival materials personality of ancestors of Rapiel Ivanitski-Ingilo, as well as some questions connected with his activity abroad, are ascertained.

As we found out, during his activity in emigration in Italy he carried out a great cultural-elucidative work. He actively collaborated with an emigrant Georgian press and published interesting publicist letters about Georgia.

Since 1948 he had settled in Madrid and after consecration as a priest he started his activity in the Orthodox Church in the same city. He diseased in 1966. Rapiel Ivanitski-Ingilo is buried on the Leuville Cemetery near Paris which is a burial ground to many prominent Georgians.

საქართველო და მსოფლიო

გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

პოლონეთის საკითხი გაზეთ „ივერიის“

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების კვლევას როგორც ჩვენთან, ისე პოლონეთში, არაერთი ავტორის კალამი შეხებია. დანერლილი და გამოქვეყნებულია ათეულობით წიგნი, ბროშურა, საჟურნალო და საგაზეთო სტატია. მოძიებულია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები და სხვა წყაროთმცოდნეობითი ღირებულების მასალები... თუმცა საძიებელი ჯერ კიდევ ბევრია. აქ კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს XIX საუკუნის საქართველოს პრესაში დასტამბული პუბლიკაციები.

წინამდებარე სტატიაში მხოლოდ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოშვებულ ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებზე ვისაუბრებთ, რომლებიც კონკრეტულად პოლონეთისა და მისი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს შეეხებიან. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ 1886 წლის იანვრიდან დაწყებული, 1901 წლის ბოლომდე, ანუ იმ პერიოდში როცა „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე იყო, რუსეთის იმპერიაში შემავალი არც ერთი სხვა ქვეყნისა და ერის შესახებ არ არის იმდენი საუბარი, რამდენიც პოლონეთსა და პოლონელებზე. ეს შემთხვევითობაა, თუ მიზანმიმართული ქმედება?! არავითარი შემთხვევითობა, ილიამ შესანიშნავად იცოდა, რუსეთის ცარიტული რეჟიმისადმი პოლონელი ხალხის შეურიგებელი დამოკიდებულება; მათი შეუწვეველი სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ... აქ, ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსის თამარ ქველიაშვილის მოსაზრებას დაეიმოვნებთ, იმის თაობაზე, თუ რა იყო ის ფაქტორი, რომელიც ამ ორი ხალხის – ქართველებისა და პოლონელების სულიერ დაახლოებაში არსებით როლს თამაშობდა... „რუსული იმპერიალიზმის ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, გამოსვლამ პოლონეთისა და საქართველოს ბედი საოცრად დაახლოვა ერთმანეთს. შესაძლოა, ამიტომაც

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერთანამშრომელი

ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე)

ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ათასწლოვან ისტორიას ითვლის. მისი ცალკეული საკითხების შესწავლას რამდენიმე სტატია მიუძღვნენ [9-10].

წინამდებარე ნარკვევში შესწავლილი გვაქვს ზოგიერთი საყურადღებო ფაქტი ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდში მოხდა და საგანგებო კვლევის ობიექტად დღემდე არ ქცეულა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო აღმოჩნდა იმავე იმპერიის შემადგენლობაში, რომელმაც მანამდე ბალტიისპირეთი შეიერთა. სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს ინტენსიური ურთიერთობა საქართველოსა და ბალტიისპირეთს შორის.

იმდროინდელ ბალტიისპირეთში საკმაოდ დიდი ინტერესი არსებობდა საქართველოს, მისი კულტურისა და ლიტერატურის მიმართ. ამის მაუწყებელია ის ფაქტი, რომ 1803 წელს რიგაში გერმანულ ენაზე გამოცემულ ჟურნალში „Nordisches Archiv“ დაიბეჭდა ორი სტატია საქართველოში იმხანად არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარების შესახებ. ამ წერილებში მოთხრობილი იყო საქართველოში არსებული სკოლების, ქართული კლასიკური ლიტერატურისა და მუსიკის შესახებ [18-19].

საქართველოში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ესტონელი ფარმაცევტები: ფერდინანდ ოტენი, არტურ შტაკმანი, იოჰან მარტენსონი და სხვები.

იმავე საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ესტონელი ბუნებისმეტყველი და ფიზიკოსი იოჰან ფრიდრიხ პაროტი.

იგი თბილისიდან ჩავიდა სოფელ წინანდალში, სადაც ესტუმრა ქართული რომანტიზმის გამოჩენილ წარმომადგენელს ალექსანდრე

ქაქავაძეს. მან პოეტის ლექსები თარგმნა [3].

1864 წლის მონაცემებით, თბილისში ცხოვრობდა 15 ლიტველი, 10 ლატვიელი და რამდენიმე ესტონელი [11, 29].

საქართველოში ნახევარი საუკუნის (1858-1909) განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი არქიტექტორი ოტო იაკობ სიმონსონი (1832-1914), რომელიც წარმოშობით რიგელი შვედი იყო. 1858 წელს მან დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, რომელმაც მას არქიტექტურის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. იმავე წელს, კავკასიის მეფისნაცვლის, გენერალ-ფელდმარშალ ალექსანდრე ბარიატინსკის მიწვევით, სიმონსონი გადმოვიდა თბილისში, მის კანცელარიაში შტატგარეშე არქიტექტორად.

საქართველოში სიმონსონი ეწეოდა ინტენსიურ მუშაობას როგორც დამპროექტებელი, ადგენდა ტიპურ პროექტებს საფოსტო და საინჟინრო უწყებებისათვის, ეკლესიების პროექტებს კავკასიაში მდებარე სხვადასხვა პუნქტისათვის (მათ შორის იყო თბილისის კუკის ეკლესია, ყვარლის ციხესიმაგრე და სხვ.). XIX საუკუნის მიწურულს მან ააგო აბასთუმნის ეკლესია, რომელშიც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმები გამოიყენა.

1859 წელს, ა. ბარიატინსკის ბრძანების შესაბამისად, ო. სიმონსონმა შეადგინა ესკიზური პროექტი ალექსანდრეს პლაცზე საზოგადოებრივი ბაღის მოსაწყობად. იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ალექსანდრეს ბაღს (ამჟამად – „9 აპრილის ბაღი“). მანვე შეადგინა პროექტები: ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ახალი გალავნისა, რიგი საზოგადოებრივი, სახელმწიფო დანიშნულების შენობებისა და ასევე საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც ეკუთვნოდა ი. თამამშევს (1872, ამჟამად – გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე „კავკასიური სახლი“), ი. ზუბალაშვილს (1879) და სხვ.

მის სახელთან არის დაკავშირებული მეფისნაცვლის სასახლის (ამჟამად – მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე) ეგრ ნაწილობრივი (1858-1859), შემდეგ კი მთლიანი რეკონსტრუქცია. მანვე შეასრულა დეკორატიული სამუშაოები თბილისის თეატრის შენობაში (1860-1861).

77 წლის ასაკში ო. სიმონსონი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქ რიგაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა [5, 830].

1867 წელს თბილისში დასახლდა ცნობილი ესტონელი საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი და პუბლიცისტი, ექიმი პაულ ბლუმბერგი. მან საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები ესტონელ მკითხველს რამდენიმე საყურადღებო სტატიით გააცნო.

1870 წელს საქართველოში იმოგზაურა ცნობილი ესტონელი

საზოგადო მოღვაწემ იოზეფ რობერტ რეცოლდმა (1847-1909), რომელმაც თავისი შთაბეჭდილებანი პრესაში გამოაქვეყნა [14, 101-103].

1897-1902 წლებში კავკასიის II არმიის კორპუსის სარდლის თანამდებობაზე მსახურობდა გენერალი ედუარდ ედუარდის ძე ზეზემანი (1833-1902), რომელიც დაიბადა და აღიზარდა კურლანდიის გუბერნიაში, პასტორის ოჯახში. სწავლობდა ქ. ლიბავის (ამჟამად – ლიეპაია) გიმნაზიაში. მის ნაწერებში აღმოჩნდა ყარსის ოლქში მოგზაურობისა და ანისის ნანგრევების აღწერა, რაც გადაეცა „Известия КОИРГО“-ს რედაქციას [1, 28].

ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა არაერთი წარმომადგენელი დაუნათესავდა ბალტიისპირეთში მცხოვრებ არისტოკრატიულ გვარებს.

უკანასკნელი ქართველი მეფის გრიგოლ I-ის (1789-1830, მეფობდა 1812 წლის თებერვალ-მარტში) ვაჟმა, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის მეთაურმა და ტახტის მემკვიდრემ, უგანათლებულესმა თავადმა იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკიმ (ბაგრატიონმა) (1826-1880) 1850 წლის 15 სექტემბერს ცოლად შეირთო გრაფინია ეკატერინე პავლეს ასული პალენი.

გერმანული წარმომავლობის ბალტიისპირელი ბარონების – პალენების საგვარეულომ რუსეთის იმპერიაში დიდ წარმატებას მიაღწია. ამ გვარის წარმომადგენელთა ერთ ნაწილს რუსეთის იმპერატორებმა გრაფის ტიტული მიანიჭეს და სახელმწიფოს ხელისუფლების სათავესაკენ ფართო გზა გაუხსნეს.

ი. გრუზინსკის (ბაგრატიონის) სიმამრი იყო კავალერიის გენერალი, გრაფი პავლე პეტრეს ძე ფონ პალენი (1775-1834), – შვილი ასევე კავალერიის გენერლისა, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალრისა, გრაფ პეტრე ალექსის ძე ფონ დერ პალენისა (1745-1826), რომელსაც იმპერატორმა პავლე I-მა 1799 წელს რუსეთის შთამომავლობითი გრაფის ტიტული მიანიჭა. იგი 1792 წლიდან ხელმძღვანელობდა რიგის სანამესტნიკოს და მოლაპარაკებებს აწარმოებდა კურლანდიის რუსეთთან შეერთების მიზნით. 1795 წელს ის დანიშნეს კურლანდიის გენერალ-გუბერნატორად და უბოძეს ამ მხარეში მდებარე მამული ეკაუ (ამჟამად – იევაჯა).

ასევე გავლენიანი პიროვნებები იყვნენ ი. გრუზინსკის სიმამრის ძმები: რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, საიდუმლო მრჩეველი, გრაფი თევდორე პეტრეს ძე ფონ დერ პალენი (1780-1863) და კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოებისა და მათ წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, გრაფი პეტრე პეტრეს ძე ფონ დერ პალენი

(1778-1864). 1835-1841 წლებში იგი მსახურობდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში. დაკრძალულია რიგასთან მდებარე საკუთარ მამულში (Жай).

ამავე გვარის წარმომადგენლები იყვნენ: რუსეთის იუსტიციის მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კარის ობერ-კამერჰერი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, გრაფი კონსტანტინე ივანეს ძე ფონ დერ პალენი (1830-1912) [17, 546-549] და კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი მათე ივანეს ძე ფონ დერ პალენი (1779-1863) [15, 201-205].

გრაფი პალენების სიძე, უგანათლებულესი თავადი ი. გრუზინსკი – გამბედავი, მხიარული და გართობის მოყვარული ადამიანი იყო. მას ახლობელ-მეგობართა ფართო და გავლენიანი წრე გააჩნდა. მას, თავისი ერთ-ერთი თანამედროვის შეფასებით, „ბევრი კარგი ზნე სჭირდა... ნათესავებისათვის არაფერს იშურებდა და რითაც შეიძლებოდა, ხელს უმართავდა. გარდა ამისა, ვინც კი საქართველოდგან აქ მოვიდოდა, ცდილობდა ყოველისფრით პატივი ეცა. ბევრჯელ ყყოფილვარ მონაწილეთ, ღარიბ და სანყალ ქართველ სტუდენტებისათვის ხელი გაუმართავს“ [8, 66].

ი. გრუზინსკის ქვისლი იყო გენერალ-მაიორი, თავადი გრიგოლ (გიორგი) გრიგოლის ძე დადიან-მინგრელსკი (1798-1851), უმცროსი ვაჟი სამეგრელოს მთავრისა გრიგოლ დადიანისა (1770-1804). 1839 წელს მან ცოლად მოიყვანა ელისაბედ პავლეს ასული ფონ დერ პალენი [13, 55].

ბალტიისპირელმა ბარონმა მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენმა იქორწინა სალომე ჭავჭავაძეზე (1848-1919), რომელიც იყო ასული გენერალ-მაიორის, თავად დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა (1814-1884) [6, 41].

მაქსიმილიანისა და სალომეს ასული – ანა ფონ დერ ოსტენ-საკენი (1870-1931) ცოლად გაჰყვა გენერალ-მაიორს, თავად პეტრე ლევანის ძე მელიქიშვილს (1862-?) [6, 176].

ოსტენ-საკენები იყვნენ კურლანდიელი არისტოკრატები, რომლებიც ასპარეზზე ჯერ კიდევ XV საუკუნიდან გამოვიდნენ [15, 184-186].

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორმა, თავადმა დავით ავალიშვილმა ცოლად შეირთო ოლლა ჰოლმბლადი. მისი მამა იყო ცნობილი ექიმი, შვედური წარმომავლობის ბალტიელი არისტოკრატი, კავკასიის მხარის სამედიცინო ნაწილის მმართველი ედუარდ ჰოლმბლადი, ხოლო ძმა – კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ედუარდის ძე

ჰოლმბლადი (1843-1898).

სწორედ ამ ქართულ-ბალტიურ ოჯახში დაიბადა დიდი ქართველი მეცნიერი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლომატი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944).

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ზ. ავალიშვილი იქვე მოღვაწეობდა. რუსეთის დროებითა მთავრობამ მას სენატორის ხარისხი მიანიჭა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩადგა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. შეიმუშავა ეროვნული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია და დიდი ამაგი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებას. აქტიურად მონაწილეობდა ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების მუშაობასა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნაში.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ემიგრაციაში, ჯერ საფრანგეთში, ხოლო 1940 წლიდან – გერმანიაში. თანამშრომლობდა კონტინენტური კვლევის ევროპულ ინსტიტუტთან. ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი და პოლიტოლოგი ალექსანდრე ნიკურაძე (1901-1981), რომელიც ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით „A. Sanders“. იგი დაახლოებული იყო III რაიხის იდეოლოგთან ალფრედ როზენბერგთან [12, 100].

1944 წლის 21 მაისს, ზ. ავალიშვილი გერმანიის ქალაქ შვარცენფელდში გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით ბერლინში ქართულ ენაზე გამოძავალი გაზეთი იუწყებოდა: „დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებლესი ქართველთაგანი... მისი დედა ეკუთვნოდა ჰოლმბლადების შვედურ გვარს, რომელიც დიდი ხნიდან გადმოსახლებული იყო ბალტიკაში. პაპა დედის მხრივ – ედუარდ ჰოლმბლადი იყო ვორონცოვის დროს ფრიად ცნობილი მკურნალი, გამგე ამ ნაწილისა საქართველო-კავკასიაში. იგი ქართველ საზოგადოებასთან მჭიდროდ იყო დაახლოებული...“

ზურაბი შეუდარებელი იყო იქ, სადაც საკითხს სჭირდებოდა მეცნიერული გარკვევა. ასეთ დროს მას ბადალი და მეტოქე არა ჰყავდა... იყო გულმართალი, სასტიკი მსაჯული თავი თავისა. ის არ ჩაიდენდა არაფერს, რაც ზნეობასა და პატიოსნებას დაშორებული იყო. თუ ვისმე დაუმეგობრდებოდა, მტკიცედ ინახავდა მას... ამიტომ

მაც, სამეგობროდ და სამეუღლეოდ არჩეული ნორვეგიული ოჯახის შვილის მათა ფოგტის დაკარგვას ვერ გაუძლო... ქალბატონი მათა კეთილგუნებიანი ქალი იყო, ყოველმხრივ განათლებული, როგორც შეპფერის ფრიტიოფ ნანსენისა და სტანისლავ შპიბიშევესკის მახლობელ პირს. მან შეუქმნა თავის ღირსეულ მეუღლეს მყუდრო ცხოვრება, სასიამო კერა“ [4].

1993 წლის მაისში ზ. ავალიშვილის ცხედარი გერმანიიდან საქართველოში გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან დაახლოებულმა გვარდიის პოლკოვნიკმა, თავადმა ალექსანდრე ვლადიმერის ძე ამილახვარმა (1880-1968) 1905 წელს სანკტ-პეტერბურგში იქორწინა ბარონესა ელენე-რეგინა-ემანუელა გროტჰუსზე (1872-1934), რომელიც დაბადებული იყო ველიკანში (კურლანდია). მისი მამა იყო გერმანული წარმომავლობის ბარონი კარლ-ქრისტოფორ-ოტო გროტჰუსი, ხოლო დედა – ბარონესა ემა ფონ შტემპელი.

1905 წელს პოლკოვნიკმა ვლადიმერ ვლადიმერის ძე ლუკომსკიმ (1881-1923) იქორწინა ნინო მიხეილის ასულ მელიქიშვილზე (1887-1966). ლუკომსკი იყო ძველი ლიტვური არისტოკრატიული საგვარეულოს შთამომავალი, დაბადებული ქ. ვილნოში [13, 112-176].

1907 წლის 3 ივნისს გერმანული წარმომავლობის ბალტიელმა ბარონმა ალექსანდრე ფელიქსის ძე ფონ მეიენდორფმა (1869-1964) იქორწინა ვარვარა, იგივე ბაბო მიხეილის ასულ შარვაშიძეზე (1859-1946).

ბაბო შარვაშიძის მშობლები იყვნენ: აფხაზეთის მთავარი მიხეილ გიორგის ძე შარვაშიძე (1805-1866) და ალექსანდრა (ცუცუ) გიორგის ასული დადიანი (1822-1864). ბაბოს ძმა – უგანათლებლესი თავადი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე (1846-1918) იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, რომელიც 1866 წელს მომხდარი აფხაზთა სახალხო აჯანყებისას მთავრობდა [16, 42-44]. იმავდროულად ის იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი, რომელსაც სძულდა რუსული იმპერიალიზმი, ხოლო საკუთარი, აფხაზი ერის მომავალი ესახებოდა მოძმე ქართველ ხალხთან ერთად, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში.

მეიენდორფების მამული „კლაინე როპ“ (ამჟამად – მახსტრაუ-ჰე) მდებარეობდა ლიფლანდიის გუბერნიის ქალაქ ვენდენის (ამჟამად – ცესისი) მახლობლად.

ალექსანდრე მეიენდორფის მეუღლის უფროსი დის, თამარ შარვაშიძის (1840-1925) შვილიშვილი იყო ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, თავადი მიხეილ ნიკოლოზის (კოკის) ძე დალი-

ნი (1899-1970), რომელიც მსახურობდა ჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, ხოლო შემდეგ – პოლონეთის არმიაში (1921-1939), სადაც კავალერიის ოფიცრად ირიცხებოდა.

მ. დადიანი იგონებდა: „ცხრა წელი რომ შემისრულდა (აქ იგულისხმება 1908 წელი. ნ. ჯ.), ბებიაჩემის ძმამ გიორგიმ შარვაშიძემ თავის დასთან, ბაბოსთან წამიყვანა საზაფხულოდ. ბაბო – ჩემი ნათლია, ცოლად ჰყავდა ბალტიელ ბარონ ა. ფ. მეიენდორფს, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს... მეიენდორფების მამულში... იყო უზარმაზარი სასახლე (შატო), მშვენიერი პარკით გარშემოვლებული. იქვე ახლოს მიედინებოდა მდინარე და ბარონს ხშირად დავყავდი მდინარეში საბანაოდ...“

„კლეინე როპში“ გატარებული ზაფხული არასდროს დამავიწყდება. არ დამკლვება არავითარი სიამოვნება, რომელიც კი ჩემი ხნის ბავშვისათვის შესაძლებელი იყო. ყოველდღე ვცხენოსნობდი, იალქნიანი ნავით დავყავდი ბარონს მდინარეზე. ბარონს გნოლებზე ნადირობა უყვარდა თავის მეზობელთან, ბარონ როზენთან. კვირაში ორჯერ სამჯერ დადიოდა სანადიროდ და მეც წამიყვანდა ხოლმე. კარტოფილის ყანები საესე იყო გნოლებით და ყოველი ნადირობის შემდეგ ათი-თორმეტი გნოლი მოგვქონდა.

ბარონ როზენის მამულს ერქვა „გროსსე როპ“. ბარონები ნადირობის დროს სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. რასაკვირველია, მე არ მესმოდა და არც მახსოვს მათი ლაპარაკის შინაარსი. ბაბუა გიორგი და ბარონიც მეტწილად პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. გიორგი რუსების დიდი მოძულე და მტერი იყო. როგორც შემდეგში გამიგონია, ბარონი ხშირად იზიარებდა გიორგის აზრებს რუსეთის შესახებ და დიდ უსამართლობად მიაჩნდა შარვაშიძეებისათვის მამულებისა სახლ-კარის ჩამორთმევა მეფის მთავრობის მიერ. 1911 წელს ბარონის ინიციატივით მოხდა გიორგის მამულების ჩამორთმევის გასაჩივრება, მაგრამ საქმე გაჭიანურდა | მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდეგ უკვე აღარ გაგრძელებულა. ბარონმა კარგად მოზრდილი ბროშურაც კი დაწერა ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ეწოდებოდა: „იმუშჩესტვენნიე პრავა ნასლედნიკოვ ვლადეტელია აბხაზი მისხილა შარვაშიძე“.

ბარონს და ნათლია ბაბოს შვილები არ ჰყავდათ და მთელი მათი მშობლიური სიყვარული მე მერგო წილად. ბარონი ხშირად მარტობდა ჭკუას. თუ რაიმე ბავშვურ უნესობას ან ეშმაკობას ჩავიდენდი, ეს ნიშნავდა სულ ცოტა ერთსაათიან ლექციას და ჭკუის დარიგებას.

ცხენოსნობაზე დავყავდი რუსულ ჯარში წამსახურ ცხენოსან

ვლადიმერს, რომელიც ერთადერთი რუსი იყო მოჯამაგირეთა შორის. დანარჩენები ლატვიელები იყვნენ... მათი რიცხვი დიდი იყო. ამხელა შატოს და პარკს მრავალი მომვლელი სჭირდებოდა. ჰყავდა ეკონომი ლატვიელი, რომლის ორ შვილთან, ჩემს ტოლებთან ვთამაშობდი ხოლმე...

ავგისტოს დამლევს პეტერბურგში წავედით, სადაც ბარონს დედებული სახლი ჰქონდა „აზიორნაიას“ ქუჩაზე, № 12... როგორც შემდეგში გავიგე, ნათლია ბაბოს და ბარონსაც სურდათ, მე კადეტთა კორპუსში მივებარებინეთ და იქიდან პაჟთა კორპუსში გადავეყვანეთ, მაგრამ ბაბუა გიორგის არ მოუსურვებია ჩემი მიცემა კადეტთა კორპუსში: „გარუსდებო“ – უთქვამს და გადაუნყვებიათ ჩემი დაბრუნება სამშობლოში. ასე რომ, ბაბუა გიორგის უნდა ვუმაღლოდე, რომ გარუსებას გადავრჩი“ [2, 135-137].

საგულისხმოა, რომ ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918 წლის 18 ნოემბერი) შემდეგ, ზემოხსენებულმა ბაბო (ვარვარა) შარვაშიძე-მეიენდორფისამ ამ რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო.

1946 წელს, ბ. შარვაშიძე-მეიენდორფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ლონდონში, ლატვიურ ენაზე გამომაგალ გაზეთში „Londonas Avize“ ნეკროლოგი გამოქვეყნდა. მასში აღნიშნული იყო, რომ განსვენებულ წარჩინებულ ქალბატონს ძალიან უყვარდა თავისი მეორე სამშობლო – ლატვია და ქართველებივით მცირერიცხოვანი ლატვიელი ხალხი, რომელსაც გულწრფელად თანაუგრძნობდა [20, 21].

1911 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ბალტიისპირელი გერმანელი რომან მიხეილის ძე მერეკული (1886-1940), რომელიც დაიბადა და აღიზარდა ქ. რეველში (ამჟამად – ტალინი). მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კავკასიის სასწავლო ოკრუგის მზრუნველის მოწვევით, 1911 წელს იგი ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ვაჟთა | გიმნაზიაში გერმანული ენის მასწავლებლად. აქ იგი 1918 წლის სექტემბრამდე მუშაობდა. 1918 წლიდან ცხოვრობდა ოდესაში. 1924 წელს დაბრუნდა თბილისში, სადაც პედაგოგიური საქმიანობა განაგრძო. კერძოდ, იგი, გერმანულ სკოლაში, გერმანულ ტექნიკუმში, ქართულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და სხვა სასწავლებლებში ასწავლიდა გერმანულ ენას, გეოგრაფიას და საზოგადოებათმცოდნეობას. 1925 წელს მიიწვიეს გერმანული ენის ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დოცენტის თანამდებობაზე დიდხანს მუშაობდა. იმავდროულად, თავმჯდომარეობდა ასპირანტთა საგანმცოდნეო კომისიას (გერმანულ ენაში). მან გერმანულ ენაზე თარგმნა

აკადემიკოს სმირნოვის ნაშრომი „ახალგორის განძი“, რომელიც 1934 წელს გამოსცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა. 1935 წელს, მისი თანავეტორობით, ორ ტომად გამოიცა გერმანული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. 1939 წელს, იგი, როგორც გერმანელი, დააპატიმრეს და დახვრიტეს.

აქვე დავსძენთ, რომ მისი ქალიშვილი, ოპერის მომღერალი მუზა რომანის ასული მერეკული (1906-1988) ცოლად გაჰყვა თავის კოლეგას დიმიტრი ივანეს ძე მძინარიშვილს (1908-1993) – მომავალში საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრს. მათი ვაჟი, გამოჩენილი ჩოგბურთელი ნუგზარ დიმიტრის ძე მძინარიშვილი (დაბადებული 1943 წელს, თბილისში) – ამჟამად ლატვიაში მოღვაწეობს.

XX საუკუნის ათიანი წლებიდან თბილისში ცხოვრობდა და სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ბალტიისპირელი გერმანელი სიმონ მიხეილის ძე პრისტმანი (1875-1937), რომელიც დაიბადა და აღიზარდა ქ. ლიბავაში (ამჟამად – ლიეპაია). ოცდაათიანი წლებში იგი ექიმ-სტომატოლოგად მუშაობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ამბულატორიაში. 1937 წლის 22 დეკემბერს იგი დახვრიტეს.

მისთვის წაყენებულ ბრალდებაში ეწერა: „იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი, ჯაშუშობის მიზნით დაუკავშირდა ერთ-ერთი სახელმწიფოს დაზვერვას, პირადად ჰქონდა კავშირი უცხოეთის საკონსულოების თანამშრომლებთან, აგროვებდა და გადასცემდა ჯაშუშური ხასიათის ცნობებს, რომლებშიც აშუქებდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, განსაკუთრებით გერმანელების, პოლიტიკურ განწყობას. 1928 წლიდან იყო კონტრრევოლუციური ნაციონალისტური გერმანული ორგანიზაციის წევრი“ [7, 222].

ამრიგად, ქართულ-ბალტიური ურთიერთობა, რომელიც ათასწლოვან ისტორიას ითვლის, შედარებით ინტენსიური გახდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო და ბალტიისპირეთი ერთი სახელმწიფოს – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. საქართველოში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ბალტიისპირეთიდან ჩამოსული სამხედრო პირები, პედაგოგები, ექიმები, ფარმაცევტები და სხვ. ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა არაერთი წარმომადგენელი დაუნათესავდა ბალტიისპირეთში მცხოვრებ არისტოკრატიულ გვარებს.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევ-

რის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. 11, თბ., 1983.

2. დადიანი მიხეილ, რაც მახსოვს (მოგონებები), ქართველოლოგიურ კვლევათა ჟურნალი “Pro Georgia”, ვარშავა, 2008, № 16.
3. დაუშვილი რუსუდან, ესტონურ-ქართული ურთიერთობები, წგნ.: ნორვეგიულ-ქართულ-ესტონური ერთობლივი საოპერო გალაკონცერტისადმი (7/IX/2007) მიძღვნილი ბუკლეტი „ოსლო-თბილისი“, თბ., 2007.
4. „საქართველო“, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი, 1944, № 26 (103).
5. სიმონსონი ოტო იაკობ, ენციკლოპედია „თბილისი“, თბ., 2002.
6. ჩიქოვანი იური, თავადი ჭავჭავაძეები, თბ., 2002.
7. ქურხული ავთანდილ, და რომ გვახსოვდეს (1921-1953 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში პოლიტიკური მოტივით რეპრესირებული სამედიცინო მუშაკები), თბ., 2004.
8. ჯავახიშვილი ნიკო, გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.
9. ჯავახიშვილი ნიკო, ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. VI, თბ., 2009.
10. ჯავახიშვილი ნიკო, ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. VII, თბ., 2010.
11. Анчабадзе Ю., Волкова Н., Старый Тбилиси (Город и горажана в XIX веке), Москва, 1990.
12. Джавахишвили Н., Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века), Тб., 2005.
13. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998.
14. Исаков С., Сквозь годы и расстояния. Из истории культурных связей Эстонии с Украиной, Грузией и Латвией В XIX – начале XX века, Таллин, 1969.
15. Федорченко В., Императорский Дом. Выдающиеся сановники. Энциклопедия биографий. В двух томах, т. II, Красноярск-Москва, 2000.
16. Чиковани Ю., Род абхазских князей Шерваштдзе (Историко-

- генеалогическое исследование), Тб., 2007.
17. Шилов Д., Государственные деятели Российской империи. Главы высших и центральных учреждений (1802-1917 гг.), Библиографический справочник, Издание второе, исправленное и дополненное, Санкт-Петербург, 2002.
 18. Von dem Zustande der Gelehrsamkeit in Grusien, von ihren Schulen und klassischen Buchern, "Nordisches Archiv", Riga, November, 1803.
 19. Von der Grusinischen Dichtkunst und Musik, "Nordisches Archiv", Riga, Dezember, 1803.
 20. Scerbinskis V., Lenaceji no Talienes, Riga, 1998.

Niko Javakhishvili

*Doctor of Historical sciences, Professor,
Chief scientist-researcher of the Modern and
Contemporary History Department of the
Ivane Javakhishvili Institute of History and
Ethnology*

**From the history of Georgian-Baltic relations
(From the beginning of XIX century to the early XX century)**

Summary

The article proves that the Georgian - Baltic relations, which originates from the X century, became relatively intense since the beginning of the XIX century. At that time, both Georgia and the Baltic States had become part of Russian Empire.

Since the beginning of the XIX century to the early XX century, a number of Georgian noblemen established family ties with the aristocratic families residing in the Baltic countries.

ემიგრაციის ისტორიები

ნიკო ჯავახიშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერთანამშრომელი*

**ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში.
ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა
თვალსაწიერში (1921-1991 წწ.)**

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობებს ათ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. ამ საკითხის კვლევას მივუძღვენით რამდენიმე ნარკვევი, რომლებშიც შევისწავლეთ ქართველი და ბალტიისპირელი ხალხების სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ათასწლოვანი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ფაქტები [24-26].

წინამდებარე სტატიაში შესწავლილი გვაქვს ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში, ასევე, თუ როგორ აისახა ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში.

* * *

ემიგრაციაში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მეცნიერებს გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდათ თავიანთ ბალტიისპირელ კოლეგებთან. ამის დამადასტურებელი ცნობები შემონახულია იმდროინდელ ქართულ ემიგრანტულ პრესასა და მემუარულ ლიტერატურაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ინტერვენციისა და მისი შედეგების გამო, ოფიციალური პროტესტი განაცხადეს ევროპის სახელმწიფოების და მათ შორის ბალტიის რესპუბლიკების სოციალისტურმა და მუშათა პარტიებმა [4, 49].

ემიგრანტ ქართველ ოფიცერთა უმეტესობა პოლონეთის ხელი-სუფლებამ მიიწვია და თავის არმიაში საგანგებო კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხა [23, 10].

XX საუკუნის 20-30-იან წლებში პოლონეთში ცხოვრობდა 200 მდე ქართველი, რომელთა თითქმის ნახევარს სამხედრო პირები შეადგენდნენ. ისინი ამ ქვეყნის ცალკეულ ქალაქებში, თავიანთ ოჯახებთან ერთად, მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ [4, 24].

პოლონური არმიის ქართველ ოფიცერთა ერთი მცირე ნაწილი მსახურობდა ქ. ვილნოში, რომელიც იმხანად პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე, გენერალი ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიძე (1884-1957), ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, მსახურობდა პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში (1923-1939) ჯერ ბრიგადის გენერლის, ხოლო 1927 წლიდან დივიზიის გენერლის წოდებით. 1923 წლის მაისიდან – ნოემბრამდე იგი მივლინებული იყო ვილნოში, სადაც პრაქტიკა გაიარა [15, 171-197].

იმავე წელს პოლონეთის ხელისუფლებამ ვილნოს გენერალ-ბერნატორად მიიწვია ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი შალვა მაღლაკელიძე, რომელიც რიგაში, თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. აქვე დაესძინა, რომ შ. მაღლაკელიძემ იმხანად ვერ შეძლო ვილნოში ჩასვლა, რადგან ხანგრძლივი დროით მსდებოდა პრალაში და პოლონეთის მთავრობას მაღლობა შეუთვალა [126].

ვილნოში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი ოფიცერი [7, 38], არტილერისტი დავით მაჭავარიანი (1892-1932), რომელიც V პოლონური ლეგიონის კაპიტანი იყო. იგი დაკრძალულია ვილნოს № 1 (ანტაკალნე) სასაფლაოზე [2, 356].

ევროპისა და აზიის ქვეყნებში არსებული ქართული სათვისტომოები სისტემატურად აწყობდნენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებშიც სხვებთან ერთად, ბალტიისპირელ დიპლომატებსა და სათვისტომოების წარმომადგენლებსაც იწვევდნენ.

1927 წლის 23 ივლისს, პარიზის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არქიეპისკოპოსმა ვასილიკოსმა გადაიხადა საქართველოს დამკვიდრებულ ბოლშევიკურ რეჟიმთან მებრძოლი ახლადგარდაცული კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) სულის მოსახსნიებელი პანაშვიდი. სხვა ქვეყნების დიპლომატებთან ერთად, პანაშვიდს ლიტვის ელჩიც დაესწრო.

1932 წლის 12-15 მაისს ვარშავაში გაიმართა პოლონეთის სტატუსის დენტა აღმოსავლეთმცოდნეობითი ასოციაციების I კონგრესი, რომელშიც სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ დელეგატთა შორის, ვილნოელი

სტუდენტებიც იყვნენ. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარდაჭერა გამოუცხადა სსრ კავშირის შემადგენლობაში ძალდატანებით შეყვანილი რესპუბლიკების და მათ შორის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

1933 წლის 27 იანვარს ქ. ხარზინის (ჩინეთი) ქართველთა სათვისტომომ საზეიმოდ აღნიშნა „ნინოების“ დღესასწაული. მეორე დღეს გაიმართა მეჯლისი, რომელსაც ამ ქალაქში აკრედიტებული ცალკეული ქვეყნების დიპლომატებთან ერთად, ლატვიის კონსულიც დაესწრო.

1934 წლის დეკემბერში პოლონეთის ქართველთა სათვისტომომ ვარშავაში მოაწყო საშობაო მეჯლისი, რომელსაც ამ ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატებთან ერთად, ესტონეთის საელჩოს წარმომადგენელიც დაესწრო [4, 131-211].

საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა სტატიები, საიდანაც ჩანს, თუ რას ფიქრობდნენ ქართველი ემიგრანტები ბალტიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე. ამ სტატიების ავტორები იყვნენ ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები: ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი, ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიანი (1868-1953); გამოჩენილი მეცნიერი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი (1875-1944); მწერალი შალვა ამირეჯიბი (1886-1943); მეცნიერ-რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე (1893-1975); ჟურნალისტი: ელისე პატარიძე (1896-1975), ალექსანდრე კომაია (1907-1956), მიხეილ ქავთარაძე (1906-2008) და სხვები. ისინი სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ არგენტინაში, სადაც აქტიურ პოლიტიკურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ.

მათ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში საკმაოდ ხშირად იხსენიებიან თავისუფლებისმოყვარე ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი ხალხები, რომლებიც ქართველების მსგავსად, თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის – სსრ კავშირის წინააღმდეგ. მათ ამ საერთო საქმეში ემიგრანტები ქართველი ხალხის მოკავშირეებად და თანამებრძოლებად თვლიდნენ.

პარიზში გამომავალ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ შ. ამირეჯიბი 1926 წელს წერდა: „ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე სამარცხვინო ამბავი, რის გამოც რუსული რევოლუცია მუდამ ბარბაროსული დარჩება, ის არის, რომ ყოვლის უწინარეს, მან მოსპო ის, რასაც რევოლუციის თეორეტიკოსები მის პირდაპირ ნაყოფად სთვლიდნენ. აქ უნდა ვიგულისხმოთ ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობა რუსეთის განაპირებზედ. ასე ფიქრობდნენ, ყოველ შემთ-

ხვევაში, რუსის ბოლშევიკები მაინც, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის უფლებას თავის პრინციპად აცხადებდნენ. თუ ასეა, მაშინ ოქტომბრის რევოლუცია ის ხარბი მხეცი გამოდგა, რომელმაც თავისი ნაშობი თვითონვე შეჭამა, მაგრამ საქმე სწორედ ასე არ არის.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ევროპის ომის პრინციპი იყო და ახალი სახელმწიფონი მან წარმოშვა. მან მოიტანა: თავისუფალი პოლონეთი, ჩეხეთი, გაერთიანებული სერბია, დამოუკიდებელი ფინლიანდია, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი... და პირიქით, სწორედ ოქტომბრის რევოლუცია იყო, რომ დაამხო დამოუკიდებელი უკრაინა, ყაზახთა რესპუბლიკები, ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ხივისა და ბუხარას საემიროები. ასე იყო საქართველოს შესახებაც, დამოუკიდებელი საქართველო შობა ევროპის ომმა და მოჰკლა ოქტომბრის რევოლუციამ" [2].

1928 წელს გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ ჟურნალად გადაკეთდა. მასში გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი მოკავშირენი“ ე. ნოზაძე აღნიშნავდა, რომ ბოლშევიზმის მარწუხებიდან თავდასაღწევად მებრძოლი ქართველი ერის საიმედო მოკავშირეთა შორის იყვნენ: პოლონელები, ლიტველები, ლატვიელები, ფინელები და ესტონელები, რომლებმაც თავისუფლება რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად მოიპოვეს და თავიანთი სახელმწიფოების ჩამოყალიბება და შენარჩუნება მოახერხეს და ასევე, სსრ კავშირის შემადგენლობაში ძალით მოქცეული ის ხალხები, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან.

წერილში ვკითხულობთ: „მსოფლიო ომის წინ, რუსეთში არსებულ ეროვნულ მოძრაობაზე თუ ლაპარაკობდნენ, ჩვეულებრივ მხედველობაში ჰყავდათ: ფინები და პოლონელები. დღეს ფინეთი და პოლონეთი თავისუფალი არიან, კიდევ მეტი: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი! ამას გარდა, სხვა სურათია: ეროვნული მოძრაობა დანარჩენ ფრონტებზეც არის გაჩაღებული და ზოგან ცხარე ბრძოლაც კი სწარმოებს. უკრაინა, თურქესტანი, კავკასიის ერები, – ცალკე და ერთად აწარმოებენ ეროვნულ ბრძოლას. მხედველობაში არა მაქვს ემიგრანტული ეროვნული ორგანიზაციები და მისი ბრძოლა. ეროვნული ბრძოლა ხდება თვით უკრაინაში, თვით თურქესტანში და კავკასიაში“ [9, 4].

ავტორი მიიჩნევდა, რომ ზემოხსენებული ხალხების მიერ წარმოებული ბრძოლა, კერძოდ, ერთი ნაწილის მიერ – დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ხოლო მეორე ნაწილის მიერ – უკვე მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასაცავად, – „საქართველოს განუყრელი მოკავშირეა, რადგან ყოველი ერის ბრძოლის მი-

ზანია – თავისუფლება“ [9, 4].

პარიზში გამომავალ გაზეთში „ბრძოლის ხმა“ ნ. ჟორდანიამ 1934 წელს გამოაქვეყნა სტატია „ერთა ლიგა და საბჭოები“, სადაც იგი წერდა: დაჟინებით ლაპარაკობენ საბჭოთა ერთა ლიგაში შესვლაზე... მოსკოველებს ამ ნიადაგზე გაჩაღებული აქვთ მუშაობა და მოსალოდნელია ახლო მომავალში ეს საკითხი უკვე ოფიციალურად დადგეს ჟენევის დღის წესრიგში. მართალია, საბჭოთა მოსკოვი თავიდანვე უარყოფდა ყოველივე ურთიერთობას ლიგასთან და მას აფურთხებდა, მაგრამ მას არაერთხელ დაუღევია ასეთი დაწუნებული წყაროსაგან და შეჭველია, ახლაც ერთა ლიგას ნექტარად გამოაცხადებს...

ლიგა მოითხოვს თავის წევრისაგან ერთა შორის დაცვას მშვიდობიანობის, სამართლიანობის, პატიოსნების, დადებულ ხელშეკრულებათა და პირობათა ასრულებას. ის უარყოფს ომს და ძალმომრეობას.

აი, ამ ლიგაში აპირებს საბჭოთა ხელისუფლება შესვლას. როგორ უხდება ეს პირობები მას? სწორედ ისე, როგორც უნაგირი ძროხას. საბჭოთა მთელი საერთაშორისო პოლიტიკა იყო და არის ყველა ამ მუხლების აშკარა დარღვევა. მან აწარმოა ომი ყველა მის მეზობლად მდებარე თვითგამორკვეულ ერებთან; მან დაიპყრო ყველა, ვისაც კი მოერია – უკრაინა, კავკასია. დასტოვა დაუპყრობელი, ვისაც ვერ მოერია – პოლონეთი და ბალტიკა... მან გამოაცხადა ძალმომრეობა საერთაშორისო რეგულატორად. კიდევ მეტი, მან დაარღვია თავისი საკუთარი ხელშეკრულება, თავისუფლად დადებული მეორე სახელმწიფოსთან – საქართველოსთან და დაიპყრო ის... მან გამოაცხადა ომით თავისი დოქტრინის განხორციელება საერთაშორისო ნორმად. მოსკოვი თავიდან დგას სავსებით ძველ საერთაშორისო მოძღვრებაზე, ხმალი არის მისთვის უმაღლესი გადამწყვეტი ერთა ურთიერთობისა“ [12].

1935 წელს, ბერლინში გამომავალ გაზეთში „კლდე“ აღნიშნული იყო: „მოსკოვი თვლის, რომ ბლოკადამოსხნილი საქართველო შავ ზღვაზე საბჭოთა რუსეთისათვის იგივეა, რაც ბალტიის ზღვაზე ლატვია და ესტონია, ე. ი. სარკმელია ევროპისაკენ“ [6].

პარიზში გამომავალ ჟურნალში „კავკასია“ ზ. ავალიშვილმა 1937 წელს გამოაქვეყნა სტატია „პოლიტიკური არაბესკები“, რომელშიც მან მიმოიხილა კავკასიისა და ბალტიის ქვეყნების ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და უახლოესი წარსული.

მკვლევარი წერდა: „მთლიანობა“ იქ, სადაც განსხვავებანი ასე

დიდია, ძნელი მისაღწევია. ამას ვერ ახერხებენ და დიდი სიძნელენი არიან გადასალახავნი იქაც კი, სადაც საქმე ეხება არა მარტო მონათესავე ერების, არამედ ხშირად ერთი ერის, მაგრამ სხვადასხვანაირად წარმართული ნაწილების გაერთიანებას (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია!). ბალკანეთზე და ბალტიკაზე ხომ ლაპარაკი მეტია. განსაკუთრებულ სახელმწიფო „გაერთიანებას“ იქ ვერცა ვხედავთ.

ბალტიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხი გადაწყდა ისე, რომ საჭირო არ იყო ისეთი ზომისათვის მიემართათ, როგორც არის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება. კავკასიის რესპუბლიკებმა კი თავისი დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს. პოლიტიკურმა, სამხედრო და სამეურნეო განცალკევებამ მათ ფრიად დიდი ვნება მოუტანა“ [1].

პარიზში გამოძვალ ჟურნალში „სამშობლო“ ე. პატარიძემ 1937 წელს გამოაქვეყნა წერილი „პეტრე დიდის ანდერძი და ისტორიის განაჩენი“, რომელშიც იგი წერდა: „რუსეთის უბედურება ის არის, რომ მას გადაჭარბებული მადა აქვს და დიდი იმპერიალისტური მიზნები. მას არა აქვს ამ დიდი მადის შესაფერისი მაგარი კუჭი და ამ დიდი იმპერიალისტური მიზნებისათვის – მაგარი ხერხემალი. მისი ეროვნული სულიერი და ფიზიკური რაობა სრულიად არ უპასუხებს მის მიერ დასახულს ამ დიდს იმპერიალისტურს მიზნებს. ერმა, რომელსაც თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარება და განვითარების უნარიც კი არა აქვს, ერმა, რომელიც თავის საკუთარს თავს ვერ უვლის, მიზნად დაისახა არა მარტო სლავიანური ხალხების, არამედ აზია-ევროპის ერებისა და სახელმწიფოების დაპყრობა და მათზე ბატონობა. ჯერ კიდევ ნახევრად ველური იყო რუსის ხალხი, რომ ასეთი ფანტასტიური მიზანი დაისახა და საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ბუნებრივ გზას ასცდა... ასეთი იყო რუსეთის ტახტის სურვილი და განზრახვა, მაგრამ ისტორიის განგებამ სულ სხვა იწება: ომში ჩაბმული რუსეთის იმპერიაში რევოლუციამ იფეთქა... დიდ ომში ოთხი წლის განმავლობაში განეული ხარჯი და დაღვრილი ზღვა სისხლი აუნახლაურებელი დაეკარგა... იმპერიის ტერიტორიიდანაც საგრძნობი ნაწილი დაჰკარგა: პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ფინლანდია საბოლოოდ გამოეყო რუსეთს და ევროპის საზღვარზედ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღდგენით გზა შეუფერხდა რუსული სლავიანიზმის ევროპისაკენ ლტოლვას“ [10, 247-251].

იმავე ჟურნალში მომდევნო წელს გამოაქვეყნებულ წერილში „პრომეთეელთა მოძრაობა“, ე. პატარიძე წერდა: „რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები ამოუნურავი ენერგიით იბრძვიან საკუთარი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენისა და დაფუძნებისათვის. ამ

ერთა შორის მრავალია ისეთი, რომლის ეროვნული სახელმწიფოებრივი არსებობა წინ უსწრებდა რუსეთისას და რომლის ეროვნული კულტურა და ცივილიზაცია ბევრად უფრო მაღლა დგას რუსეთისაზე. ასეთი ერების ეროვნული ფორმაცია სრულიად დამთავრებულია, მათი ეროვნული სული სრულიად გამოკვეთილი და მომწიფებული, მათი ეროვნული მიზანი და მისწრაფება მკაფიოდ გარკვეულია და დასახული...“

პრომეთეელთა მოძრაობა, რუსეთის მადგალვიძებული და გაუმადლარი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული, არის იმავე დროს რეალური და თავდაცვითი მოძრაობა, რუსეთის მონობიდან ახლადგანთავისუფლებული იმ ეროვნული სახელმწიფოებისა, რომელნიც რუსეთის საზღვრებზე არსებობენ უშუალოდ და რომელთა დაპყრობა და რუსეთის იმპერიის საზღვრებში ჩაჭედვა შეადგენდა პეტრე დიდის, ეკატერინე დიდის და მთელი რომანოვთა დინასტიის იმპერიალისტური პოლიტიკის მისწრაფებას და რომელიც კვლავ მეტი სიცხოველით ამოძრავებს დღევანდელ რუსეთის ხელმძღვანელთ. ისინი მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიან რუსეთის ამ სამარადისო იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად. ამ ახალ სახელმწიფოებს დიდი სიფხიზლე და თავდაცვითი ძალთა მზადება მართებთ და ურთიერთი თავდაცვითი კავშირი, რომ იმ ისტორიულ მომენტს მზად დახვდნენ და რუსეთის პირდაღებულ იმპერიალიზმს კვლავ პირში არ ჩაუვარდნენ. ის, რაც კავკასიის ერებს თავს დაატყდათ ცალ-ცალკე რუსეთის მიერ, შეიძლება ამ ერებსაც მოევილინოთ ახლო მომავალში. ფინლანდია, ბალტიის პატარა სახელმწიფოები: ესტონეთი, ლატვია და ლიტვა და თვით დიდი, განახლებული და გაერთიანებული პოლონეთიც კი მუდამ რუსული იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე დგანან. ეს აღდგენილი სახელმწიფოები თავიანთი გეოგრაფიული მდგომარეობითაც წინ ელობებიან და რუსეთის იმპერიალიზმის წინსვლას გზებს უჭრიან ევროპის ქვეყნებისაკენ. რუსეთს არ შეუძლი ამისადმი შერიგება და ამ ქვეყნებისაგან საბოლოოდ ხელის აღება.

ცხადია, ეს სახელმწიფონიც თავიანთი მდგომარეობით ჩაყენებული არიან რუსეთის იმპერიალიზმთან დაპირისპირებულ პრომეთეელთა ფრონტში. მათი თავდაცვითი მიზნები და საარსებო ინტერესები მოითხოვენ, დღეს არსებული რუსეთის იმპერიის შემადგენელ ეროვნულ ერთეულებად დაშლა-დანაწილებას და ნამდვილი რუსეთის მის ბუნებრივ-ეროვნულ საზღვრებში ჩაყენებას.

რუსეთის მოსაზღვრე აქ დასახლებულ ეროვნულ სახელმწიფოთა და რუსეთის მიერ ჯერ კიდევ დაპყრობილ ერთა მიზნის იგივეობა ბუნებრივად ჰქმნის მათ შორის თანხმობას და სოლიდარობას

და ბუნებრივად აყენებს მათ ერთ მთლიან ანტირუსულ ფრონტში“ [11, 236-239].

პარიზში გამომავალ გაზეთში „თეთრი გიორგი“ 1938 წელს „თეთრი გიორგელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი „საქართველოს საზღვრები გამოცხადებული ოფიციალურად დამოუკიდებლობის დროს“, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს თვით ის ტერიტორიაც კი, რომელს მოსკოველმა ბატონმა ყოველი მხრითგან ნაკვეცა ეროვნულ-ორგანული ნაწილები, უფრო ვრცელია, ვიდრე ტერიტორიები შემდეგი ქვეყნებისა: შვეიცარია, ბელგია, დანია, ლეტონია, ლატვია, ესტონია, ალბანეთი და სხვ.“ [5].

პარიზში გამომავალ ჟურნალში „ახალი ივერია“ 1939 წელს გამოქვეყნდა ა. ცომაიას სტატია „ფრანკოს გამარჯვება“, რომელშიც მისი ავტორი სიხარულს ვერ ფარავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დამასამარებელი სსრ კავშირისა და კომინტერნის მარცხის გამო, რაც იმხანად ესპანეთში მოხდა.

აღნიშნულ სტატიაში ვკითხულობთ: „ფრანკომ გაიმარჯვა. დამარცხდა სტალინი და კომინტერნი! ამ მოვლენის სიდიდე და მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. კომინტერნი დასავლეთ ევროპიდან იდევნება. ამიერიდან ეს ქვეყნიერების ამოხრებელი ბოროტი ძალა იძულებულია თავის ბუნაგს დაუბრუნდეს, მოსკოვში ჩაიკეტოს, ვიდრე იქვე არ ჩაჰკლავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ესპანეთში დამარცხება კომინტერნის სამარადისოდ განადგურებას გვიახლოვებს.“

საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ ევროპის ცივილიზაციისა, ყოველგვარი წესრიგისა და კანონიერების მტერი მოსკოვი, დიდი ხანია არცერთ საშუალებას არ ერიდება მსოფლიოში ახალი ომის გასაჩაღებლად. მოსკოვი თავის თავსა სთვლის მოწოდებულად ქვეყნიერებაზე იბატონოს, თუნდაც „პროლეტარიატის დიქტატურის“ დროში. ამიტომ, ევროპაზე იერიშები საბჭოთა ხელისუფლების გამაგრების პირველ დღეებიდანვე დაიწყო. 1918 წელს მან შეუტია ლიტვალატვიას. ამავე დროს, სცადა ფინლანდიაში გადატრიალების მოწყობა.

მოსკოვის რჩეული მეთოდია – სადაც ომი ვერ ხერხდება, მოსყიდული ხალხით შიგნიდან აფეთქება: 1919 წელს – არეულობა ბავარიისა და უნგრეთში; 1920 წელს – ომი პოლონეთთან; 1921 წელს – ლაშქრობა კავკასიაზე და ჩვენი ქვეყნის დაპყრობა; 1922 წელს – ისევ პოლონეთში, კრაკოვში არეულობის დაწყება; 1923 წელს – გერმანიაში გადატრიალების ცდა, სადაც კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ მოსკოვის მიერ უკვე დანიშნული იყო უფრო გვიან ჯამშუმად გამოცხადებული კარლ რადეკი; 1924 წელს – შეთქმულება და გა-

დატრიალების ცდა ესტონეთში. კომინტერნი ამავე დროს უტევს აღმოსავლეთითაც...

ფრანკოს გამარჯვება ჩვენთვის დიდად საგულისხმო იმიტომაა, რომ ეს მოსკოვის დამარცხებაა, კომინტერნის ევროპიდან განდევნა და საქართველოს ამოხრებელ კომუნიზმთან მებრძოლი ბანაკის გამაგრებაა. რამდენადაც გაძლიერდებიან მოსკოვის კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, იმდენად ვუახლოვდებით საქართველოს განთავისუფლების საათს“ [21, 106-112].

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ლატვიის, ლიტვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკების ოკუპაციის (1940 წ.) შემდეგ, ამ ქვეყნების მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მსგავსად ქართველი პატრიოტებისა, იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში გახიზნულიყო.

ქართველ, ლატვიელ, ლიტველ და ესტონელ ემიგრანტებს ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა სტატიები, საიდანაც ჩანს, თუ რას ფიქრობდნენ ქართველი ემიგრანტები სსრ კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციის შემდეგ ამ ქვეყნებსა და იქ გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე.

საგულისხმოა, რომ სსრ კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციამ და ფინეთთან ომმა ქართველ ემიგრანტებს გაახსენა საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული ფურცელი – საბჭოთა ჯარების ვერაგული თავდასხმა.

1940 წელს ჟურნალში „ბრძოლის ხმა“ გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც გაცხადებული იყო ქართული ემიგრაციის და საერთოდ, ქართველ მამულიშვილთა პოზიცია ზემოხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

მასში ვკითხულობთ: „საბჭოების მზაკვრულმა თავდასხმამ პატარა ფინლანდია მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოაქცია... აი, ამ ხალხს მოუნდომა მონობის უღელში შებმა დამარცხებული პოლონეთის ნაწილის დაპყრობით და განიარაღებული ბალტიის ქვეყნების გავასალეებით ნაქეზებულმა მოსკოვმა. 170-მილიონიანი დამონებული ბრბო მან მზაკვრულად მიუსია 3,5-მილიონიან კულტურულ ერს. პირწმინდად განმეორდა საქართველოს მაგალითი...“

ფინლანდია დღეს ცივილიზაციის ავანგარდი და ციტადელია... მთელი კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს ფინლანდიის ჯარის გამორჩეულ მამაცობას და მისი სარდლობის შეუდარებელ სტრატეგიას. ჯერჯერობით პატარა დავითი ამარცხებს დიდ გოლიათს. ვუსურვოთ

მას საბოლოო გამარჯვება...

ქართველი ერის თანაგრძნობა სავსებით მებრძოლი ფინეთის მხარეზეა. იგი აღფრთოვანებულია ფინეთის ჯარების გმირობით და იმედინად შეჰყურებს პატარა, გმირი ერის მომავალს" [3].

1953 წლიდან ნიუ-იორკში, ა. ცომაიას რედაქტორობით, ინგლისურ ენაზე გამოიცემოდა ჟურნალი „The Voice of Free Georgia“ („თავისუფალი საქართველოს ხმა“). ამ ჟურნალში გამოქვეყნდა სრული ტექსტი სიტყვისა, რომელიც ა. ცომაიამ წარმოთქვა 1956 წელს, „სსრ კავშირის შემსწავლელი ინსტიტუტის“ მიერ „კარნეგი ჰოლში“ გამართულ კონფერენციაზე.

აღნიშნულ კონფერენციაზე ა. ცომაია აცხადებდა: „რას უნდა ელოდონ აზიის ხალხები მოსკოვისაგან მას შემდეგ, რაც რუსეთი მათ ხელში ჩაიგდებს? – უდავოდ იგივე მოპყრობას, როგორც მიიღო უკრაინის, ბალტიის ქვეყნების, ბელორუსიის, თურქესტანის, კავკასიის და ყველა იმ ქვეყნების ხალხებმა, რომლებიც ასე გულმონყაღედ „გათავისუფლა“ რუსეთმა“ [21, 346].

იმავე წელს, ნიუ-იორკში გამომავალ გაზეთში „ქართული აზრი“ გამოქვეყნდა ა. ცომაიას წერილი „სტალინის მემკვიდრეობა“, რომელშიც ვკითხულობთ: „სტალინმა... დააკმაყოფილა რუსული ნაციონალისტური და იმპერიალისტური ამბიციები და რუსეთს დაუმორჩილა ისეთი ქვეყნები და ტერიტორიები, რომელთა დაპყრობას რუსეთი უკვე ოთხასი წელია ცდილობდა. წყნარ ოკეანეზე და ბალტიისა და შავ ზღვებზე გამაგრება და აღმოსავლეთ ევროპის სლავიანური ქვეყნების რუსეთისათვის დამორჩილება, უკვე დიდი ხნის ოცნება იყო რუს იმპერიალისტთათვის. სტალინმა მათ ეს ოცნება შეუსრულა. ამ მოვლენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში სტალინის რეჟიმის სტაბილიზაციისათვის. იმპერიის ასეთი ზრდით მოხიბლული რუსული ინტელიგენცია ადვილად შეურიგდა რეჟიმს და საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილება გულში ჩაიკლა. ამით აიხსნება, რომ ეთნიკური რუსეთის ტერიტორიაზე სტალინის წინააღმდეგ არცერთი აჯანყება არ მომხდარა. ამით აიხსნება, რომ ისიც, რომ სტალინის საშინაო პოლიტიკის მოწინააღმდეგე და კომუნისტების უარისმყოფელი რუსული ემიგრაცია სტალინის მიერ შექმნილი იმპერიის ტერიტორიის მთლიანობას გააფრთხილებით იცავს. ამ საკითხში ყველა რუსს ერთი პირი აქვს. წითელ და თეთრ რუსეთს აერთებს აგრეთვე სიამაყე რუსეთის მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნად და დიდ სამხედრო ძლიერებად გადაქცევისა.

სტალინმა ეს იცოდა. მან იცოდა, რომ მისი საყრდნობი მხოლოდ რუსობა იყო. ამიტომ, ყველაფერი ჰქნა, რომ რუსეთში პოპუ-

ლარული და საყვარელი გმირი გამხდარიყო...

კრემლში ამ ახალი ბატონების (იგულისხმება ნ. ხრუშჩოვი და მისი თანამზრახველები. ნ. ჯ.) დამკვიდრების შედეგად განსაკუთრებით ტრაგიკულ პირობებშია ქართველი ერი. სტალინ-ბერიას ეპოქაში ქართველობა იჟლიტებოდა იმიტომ, რომ მოსკოვში სტალინისადმი ორგულულებად სთვლიდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ ბრალდებას ჰქონდა საფუძველი – საქართველომ სტალინის წინააღმდეგ სამი შეიარაღებული აჯანყება მოაწყო. მაგრამ დღეს ქართველობას სდევნიან იმიტომ, რომ სტალინ-ბერიასადმი ერთგულულებას სწამებენ!

სინამდვილეში, გუშინაც და დღესაც მოსკოვის რეპრესიების ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა: ქართველი ხალხი იბრძვის მოსკოვის უხეში ბატონობიდან თავის დასაღწევად და ამ ბრძოლის სამართლიანობა მრავალ ქართველ კომუნისტსაც ბრძოლაში ითრევს. აი, ამ მებრძოლ, თავისუფლების ერთგულ სულს ებრძოდა სტალინი და ებრძვიან მისი მემკვიდრეებიც. ამაო შრომაა: ათასი წლობით ნაწრთობ მებრძოლ სულს მოსკოვი ვერას დააკლებს!“ [21, 336-339].

იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ნაპერწკლიდან ხანძარიც ჩნდება“ ა. ცომაია წერდა: „ომის პერიოდში, 1943-1944 წლებში ჩვენ გვექონდა ვრცელი ცნობები კრემლში ორი ბანაკის წარმომადგენელთა შორის მწვავე კონფლიქტის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, არარუსი ერების სახელით მოლაპარაკეთ გამოდიოდა თავისი წარსულის მიხედვით ასეთი როლისათვის სრულიად შეუფერებელი ლავრენტი ბერია. ის თურმე მოითხოვდა საბჭოთა კონსტიტუციით ერებისათვის მინიჭებული უფლებების განადგობას. მაშინ ეს ცნობა მე პირადად მივიჩნიე ბერიას მომხრეების მიერ შეთხზულად და არ დავიჯერე. მაგრამ უფრო გვიან მომხდარმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ ეს ბრძოლა კრემლში მართლაც არსებულა...

სიკვდილამდე სტალინი იცავდა რუსების პრიორიტეტს, მაგრამ მის სიკვდილს მოჰყვა ამ კონფლიქტის კვლავ გამწვავება და ბერიას ლიკვიდაციის ერთი უმთავრესი მიზეზი ეს უნდა იყოს. რუსული ელემენტი დღეს სავსებით გამარჯვებულია... რესპუბლიკებში მოსკოვს ჰყავს თავისი ერთგული, პარტიისა და ადმინისტრაციის მოხელეთა კადრი და მათი საშუალებით დამყარებულია სასტიკი კონტროლი. ასეთ პირობებში, პერიფერიებიდან ბრძოლას, პოლონეთი იქნება ეს, საქართველო თუ ბალტიის ქვეყნები, გამარჯვების შანსები მუდამ ნაკლები აქვს, ვიდრე თვით ცენტრში დაწყებულ ბრძოლას... მაგრამ არსებობს რუს ხალხში ასეთი განწყობილება? ამას მომავალი გვაჩვენებს“ [21, 341-342].

1961 წლის 25 თებერვალს, ნიუ-იორკში, სასტუმრო „პიერში“

აშშ-ის ქართულმა სათვისტომომ აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის 40 წლისთავი. ამ ღონისძიებაზე მონვეულ სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირის მიერ დაპყრობილი ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის – ლატვიური, ლიტვიური და ესტონური სათვისტომოების წევრები [16].

1964 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით, აშშ-ის ქართულ სათვისტომოს ბალტიისპირელებმა მიულოცეს [17].

ლიტველთა საზოგადოების თავმჯდომარის, პროფ. პ. ლეჟინის მიერ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ მისალოც წერილში ვკითხულობთ: „ლიტვიურ-ამერიკული საზოგადოების სახელით, გულწრფელად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის 26 მაისს. 1918 წელს საქართველო იყო ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მას შემდეგ, რაც 1921 წელს ნიოთელმა ჯარმა დაამარცხა ქართული შეიარაღებული ძალები და იქ კომუნისტური რეჟიმი დაამყარა, ქართველი ერი, როგორც ლიტველები და მრავალი სხვა დაპყრობილი და რკინის ფარდაში გამომწყვდეული ხალხი, ებრძვის კომუნისტურ ტირანიას. ისინი ცხოვრობენ ერთი და იგივე იდეებით, რომ თავიანთ კუთვნილ ადგილს კვლავ დაიჭერენ თავისუფალ და დამოუკიდებელ ერთა ოჯახში“ [17].

1966 წლის 22 მაისს, კავკასიელთა გაერთიანებულმა ორგანიზაციამ ნიუ-იორკში აღნიშნა კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადების 48 წლისთავი. ამ ზეიმს დაესწრნენ ლატვიის, ლიტვიისა და ესტონეთის სათვისტომოთა წარმომადგენლებიც [18].

1971 წელს გაზეთში „ქართული აზრი“ აღნიშნული იყო: „ქართული ემიგრაცია მწუხარებით შორიდან შეჰყურებდა ნიოთელი რუსეთის მიერ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვიის ანექსიას და მათ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ფიზიკურ განადგურებას“ [19].

1974 წლის 2 ივნისს, ნიუ-იორკში, სასტუმრო „რუზველტში“, ქართულმა სათვისტომომ აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 56 წლისთავი. ამ საზეიმო ღონისძიებას ლატვიის სათვისტომოს წარმომადგენელიც დაესწრო [20].

საქართველოში მომხდარი ანტიბოლშევიკური სახალხო აჯანყების ჩახშობისა და საოკუპაციო რეჟიმის მიერ მასობრივი რეპრესიების დაწყების შემდეგ, მრავალ სხვა მამულიშვილთან ერთად, მიხეილ ქავთარაძეც (1906-2008) იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში წასულიყო. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში. მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში „ივერია“ გამოქვეყნებულ ერთ წერილში მ.

ქავთარაძე შეეცადა აეხსნა რუსული იმპერიალიზმის ბუნება, რომელსაც სძულდა დასავლური ღირებულებები და ასევე, ქართველი და ბალტიელი ხალხები, რომლებიც ტრადიციულად ილტვოდნენ ევროპული ცივილიზაციისაკენ.

სტატიაში ვკითხულობთ: „რუსულ საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში მონაწილე-თურქულმა (თათრულმა) ელემენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. აი, რა უფსკრული ჰყოფს რუსეთს დასავლურ კულტურისაგან. ის ფაქტი, რომ რუსმა ერმა დიდი კულტურა შეიძინა, უმდიდრესი ლიტერატურა აქვს და მეცნიერულ-ტექნოლოგიურადაც დანიანურებულია, მას მაინც უნარს არ აძლევს ცხოვრების დასავლეთურ ყაიდაზე მონყობისას. დასავლეთი რუსებისათვის სულიერად უცხოა. კიდევ მეტი, რუსეთს სძულს ევროპა და ყოველივე ევროპული, როგორც ზანგს – თეთრი, მდაბიოს – არისტოკრატი, მახინჯს – ლამაზი.

რუსებმა ყველაფერი გადმოიღეს ევროპიდან, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ხოლო ევროპული გაგებები, როგორიცაა: შემწყნარებლობა, მონაწილეობა, თანამშრომლობა, ზომიერება, ურთიერთგაგება და შიშის ნაცვლად – შეგნებული მორჩილება, მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი დარჩა“ [13].

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული ქართველთა სათვისტომოები XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსაც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ბალტიისპირელთა სათვისტომოებთან.

1989 წლის 26 მაისს პარიზის ქართველთა სათვისტომომ ბულონში ზეიმით აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 61 წლისთავი. ზეიმს იქაურ ქართველებთან ერთად დაესწრნენ უცხოელი საპატიო სტუმრებიც, რომლებიც საგანგებოდ მიიწვიეს. მათ შორის იყო ლიტველთა სათვისტომოს თავმჯდომარე – ლიტვიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ვაჟი, რომელიც ქართველ ემიგრანტებთან მეგობრობდა.

სიტყვით გამოსულმა ლიტველმა სტუმარმა გულწრფელად განაცხადა:

– „ევროპას არა აქვს ჩვენი დარდი. ამიტომ, უმჯობესია ქართველმა და ბალტიისპირეთის ხალხებმა ერთმანეთს ჩაეჭიდოთ ხელი“ [22, 59-60].

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში გახიზნულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მეცნიერებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ბალტიისპირელ კოლეგებთან. ამის დამადასტურებელი ცნობები შემონახულია იმდროინდელ ქართულ ემიგრანტულ პრესასა და მემუარულ

ლიტერატურაში, საიდანაც ჩანს, რას ფიქრობდნენ ქართველი ემიგრანტები ბალტიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე, რომლებსაც საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთ მოკავშირეებად თვლიდნენ. აღნიშნულ პრესაში ხშირად იხსენიებიან თავისუფლებისმოყვარე ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი ხალხები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ჯერ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ხოლო სსრ კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციის შემდეგ, რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მარწმუნებისაგან თავდასაღწევად.

დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ავალიშვილი ზურაბ, პოლიტიკური არაბესკები, ჟურნალი „კავკასია“, პარიზი, 1937, № 1.
2. ამირეჯობი შალვა, კონსტანტინე აფხაზი, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, საქართველოს პოლიტიკური პარტიების გაერთიანებული ფრონტის ორგანო, პარიზი, 1926, № 5.
3. „ბრძოლის ხმა“, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ჟურნალი, პარიზი, 1940, № 14 (93).
4. დაუშვილი რუსუდან, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007.
5. „თეთრი გიორგი“, ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის გაზეთი, პარიზი, 1938, № 102.
6. „კლდე“, ქართველ ნაციონალისტთა გაზეთი, ბერლინი, 1934, № 14-15.
7. მათიკაშვილი ნიკოლოზ, კვალიაშვილი მიხეილ, იუნკრები, თბილისი, 1990.
8. მალაკელიძე შალვა, მოგონებანი, წგნ.: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში“, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994.
9. ნოზაძე ვიქტორ, ჩვენი მოკავშირენი, ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო, პარიზი, 1928, № 35.
10. პატარიძე ელისე, პეტრე დიდის ანდერძი და ისტორიის განაჩენი, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1937, № 21-22.
11. პატარიძე ელისე, პრომეთეელთა მოძრაობა, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1938, № 25-26.

12. ჟორდანიას ნოე, ერთა ლიგა და საბჭოები, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური გაზეთი „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1934, № 42.
13. ქავთარაძე მ., აპრილის დემონსტრაციის გაკვეთილი, ჟურნალი „ივერია“, პარიზი, 1978, № 20.
14. ქავთარაძე მ., ცხოვრების 100 წელი (მოგონებები, წერილები, თარგმანები, ლექსები), თბილისი, 2007.
15. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 2003.
16. „ქართული აზრი“, აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1961, № 42.
17. „ქართული აზრი“, აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1964, № 65-66.
18. „ქართული აზრი“, აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1966, № 74.
19. „ქართული აზრი“, აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1971, № 88.
20. „ქართული აზრი“, აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1974, № 96.
21. ცომია ალექსანდრე, რჩეული თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბილისი, 2000.
22. ხომერიკი მანანა, წერილები, თბილისი, 2006.
23. ჯავახიშვილი ნიკო, ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ (პოლონურ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან), თბილისი, 1998.
24. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. V, თბილისი, 2009.
25. ჯავახიშვილი ნიკო, ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. VI, თბილისი, 2009.
26. ჯავახიშვილი ნიკო, ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე), ივანე

ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. VII, თბილისი, 2010.

27. ჯავახიშვილი ლადო, მოგონებები, ჩანაწერები, თბილისი, 2004.

Niko Javakhishvili

*Doctor of Historical sciences, Professor,
Chief scientist-researcher of the Modern and
Contemporary History Department of the
Ivane Javakhishvili Institute of History and
Ethnology*

The Georgian-Baltic relations in emigration. Baltic countries in the sight of Georgian emigrants (1921-1991)

Summary

The article deals with the Georgian - Baltic relations in 1921-1991, and how the Baltic countries were reflected in the eyes of Georgian emigrants.

It has been proven, that after the occupation of Georgia by Soviet Russia, Georgian political figures and scientists in exile maintained some relationship with their Baltic colleagues. The facts supporting the above are contained in the Georgian emigration periodicals and memoir literature of the time, where we see what Georgian emigrants thought about independent Baltic republics, which they regarded as their allies in a struggle against Soviet Imperialism. In these periodicals, the freedom loving Latvian, Lithuanian and Estonian people are mentioned quite frequently, who originally fought devotedly to preserve their independence, and after the occupation of Baltic republics by Soviet Union, to free from the tongs of the modernized Russian empire.

რუსუდან დაუშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური საქმიანობა ამერიკაში XX საუკუნის 20-50-იან წლებში

პირველი ქართველები ამერიკის კონტინენტზე, ემიგრანტი მკვლევარის გივი კობახიძის აზრით XIX საუკუნის 20-იან წლებში ჩავიდნენ [1, 12], თუმცა მისი ვარაუდი დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული. თავისი ვერსია აქვს აკადემიკოს იური მოლაშხიას, რომელსაც 1972 წელს მექსიკაში კონფერენციაზე ყოფნისას, მეზიკოს ერთ-ერთ ქუჩაზე უნახავს დიდი აბრა წარწერით „ფოტო, მოლაშხია“. როცა გამოუკითხავს, საიდან იყვნენ ფოტოატელიეს მფლობელები, მოუსმენია ძალიან საინტერესო ისტორია, რომ XV საუკუნეში სამ ძმა მოლაშხიას სამეგრელოში ბატონი მოუკლავს, ერთი შეუპყრიათ, ორი გაქცეულა და ფოთში ესპანეთში მიმავალ გემზე ასულა. ესპანეთში კი ქრისტიანულ კოლუმბის ექსპედიციაში ჩაწერილი, როგორც ბასკი მეზღვაურები – საფლაგმანო გემზე „სანტა-მარია“ ამერიკის პირველად მომჩინებელი შორის მოხვდნენ. ერთი ძმა ესპანეთში დაბრუნებულა, მეორე კი მექსიკაში დარჩენილა და გვარი გაუგრძელებია. მექსიკელ მოლაშხიას საპატიო ადგილას ედო მწერალ ერსკინ კოლდუელის 1964 წელს გამოცემული წიგნი „ამერიკა სიგრძე სიგანით“, რომლის 133-134 გვერდებზე მოყვანილი იყო კოლუმბის საფლაგმანო ხომალდის „სანტა მარია“ მეზღვაურთა სია. სიაში მე-6 ნომრად მართლაც ყოფილა მოლაშხიას გვარი, ე.ი. გარკვეული თამამდებობა ეჭირა გემის მმართველთა შორის. სია გადატანილია XVI საუკუნის ესპანელი ისტორიკოსის ბართლომე ლას კასასის წიგნიდან „ინდოეთის ისტორია“. თავის მხრივ კასასს წიგნში შეუტანია კოლუმბის დღიურების მიხედვით შედგენილი კონსპექტი, პირველწყარო ახლა სწორედ ეს წიგნია, რადგან კოლუმბის დღიურები დაკარგულია. სიაში მე-4 ლაპუსკუა მკვლევარ შოთაძეს ასევე მეგრულად მიაჩნია, თუმცა ბასკოლოგი გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს სახელზე – „ლუსის ველეს დე“, რომელიც მის ბასკურ წარმოშობაზე მიუთითებს და გვარსაც „გიპუსკუად“ კითხულობს [2, 149-152]. იმ სიის გამოვლენა კი, რომელშიც მეორე ძმის გვარია შეტანილი, ჯერ კიდევ ელის მკვლევარს.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით ამერიკის შე-

In 1925 Vasil Dumbadze, the financier of the Morgans bank and the representative of the government of Georgian independent republic published the book "The Caucasian Republics" in New York. In 1926 and 1929 on his initiative, under the chairmanship of well-known politicians and diplomats, Henry and Leon Wilsons the organizations "American society for the Caucasus" and "The committee for Georgia rights protection" that were intended to familiarize American society with the Caucasian republics were established. Thanks to the efforts of these organizations senator S. Copland and deputy R. Walton-Moor put forward a resolution in the Senate and the House of Representatives twice, and the Congress published a 361 page book about Georgia.

After the World War II Georgian emigrants from Europe and former "soviet Georgians" arrived in America. Together with the Georgians who lived in America in the "Cold War" period they with the support of American government established several political organizations: In 1950 "Georgian-American League" under the chairmanship of Teimuraz Bagration-Muhraneli, In 1952 "Democratic union of Georgians" (American Council for restoration of freedom of Georgia) presided by Isidore Gadjonia and later by Vahtang Abashidze, In 1955 "Georgian national Union" (chairman Leo Dumbadze) were established. These organizations in 1953 published three magazines: "The Voice of Free Georgia" (in English), "Tsnobis Purtseli" (in Georgian), "Our Path" (in Georgian and in English). The information given by the magazines was used by The Congress when they published another book about Georgia in 1955. The establishment of Georgian section of "the Voice of America" in 1951 (presided by Erekle Orbeliani) also greatly contributed in anticommunist activity.

შორენა მურუსიძე

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერთანამშრომელი

„ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი“

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ყოფილ მოკავშირეებს შორის დაწყებული წინააღმდეგობა მსოფლიოს ბიპოლარიზაციით დასრულდა. საერთაშორისო ურთიერთობები ცივი ომის ფაზაში შევიდა. ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკებად დაყოფილი მსოფლიოს ბედს ორი ზესახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი – განსაზღვრავდა.

ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ე. წ. „ფსიქოლოგიური ომის“ მეთოდს მიმართავდა. აშშ-ში არსებობდა „ფსიქოლოგიური ომის“ განყოფილებები, რომლებიც ქვეყნის უშიშროების საბჭოს ექვემდებარებოდა. 1950 წლიდან ამერიკასა და ევროპაში დაარსდა კომიტეტები, რომელთა საქმიანობა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული და ევროპასა და ამერიკაში საბჭოთა კავშირის ერთა მშობლიურ ენაზე რადიოსადგურების დაარსებას გულისხმობდა.

მათ შორის ერთ-ერთი პირველი დასავლეთ გერმანიაში დაარსებული „თავისუფალი ევროპის“ კომიტეტი იყო. მისი წევრები ატლანტიკური კავშირის მთავარსარდალი გენერალი ეიზენჰოვერი, ამერიკის უმაღლესი კომისარი გენერალი მაკ-კლიო და რესპუბლიკური პარტიის ლიდერი სტასენი იყვნენ [1, 3].

XX ს-ის 50-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსებულ კომიტეტებს შორის გამოვყოფთ „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ამერიკულ კომიტეტს“, რადგან მას აქტიური ურთიერთობა შექონდა საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ემიგრაციასთან, მათ შორის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებთან. ამ კომიტეტის საქმიანობამ მნიშვნელოვანი დისონანსი შეიტანა დაქსაქსული ემიგრანტული მოძრაობების ისედაც წინააღმდეგობრივ ურთიერთობებში.

„ამერიკული კომიტეტის“ ისტორია და მისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ერების პოლიტიკურ ემიგრაციასთან ქართულ ისტო-

რიოგრაფიაში არ არის შესწავლილი.

„ამერიკული კომიტეტი“ 1951 წლის 8 თებერვალს დელავერის შტატში დაარსდა [2, 9-10]. ეს იყო საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა. ამერიკული კომიტეტი ანტიკომუნისტურად განწყობილი ჟურნალისტების ინიციატივით დაფუძნდა. ისინი კარგად იცნობდნენ მრავალეროვან საბჭოთა ემიგრაციას.

„ამერიკული კომიტეტის“ დამაარსებლები და წევრები იყვნენ ადამიანები, რომლებიც გამოირჩეოდნენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ კრიტიკითა და აქტიური ანტიბოლშევიკური საქმიანობით.

ორგანიზაციის დამაარსებელთა შორის იყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დაწერილი არაერთი ნაშრომის ავტორი და საბჭოთა კავშირში შემაჯავლი ერების სუვერენული უფლებების დამცველი – გენერალი უილიამ ჩემბერლენი [3, 14].

„ამერიკული კომიტეტის“ წევრთა შორის იყვნენ მწერალი უილიამ უაიტი, რომელიც 1948 წელს იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. მან დაწერა წიგნი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ იტანჯებიან მასები ბოლშევიკური რეჟიმისგან; ასევე ცნობილი ლიბერალი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ ელიოტი და ამერიკაში პოპულარული პოლიტიკური ფიგურა – ჩარლზ ედისონი, გამომგონებლის, ტომას ედისონის, შვილი [3, 14].

„კომიტეტის“ პირველი თავმჯდომარე იყო ჟურნალისტი ეუენს ლაიონსი. ის გამოირჩეოდა თავისი გამოსვლებით, რომლებშიც ცდილობდა, ამერიკული საზოგადოებისთვის დაესაბუთებინა, რომ რუსი ხალხი და სხვა ერები ბოლშევიზმის მსხვერპლნი არიან [3, 14].

1952 წლის თებერვალში „კომიტეტის“ ხელმძღვანელი გახდა მოსკოვში აშშ-ის ყოფილი ელჩი ალენ კერკი. იგი კარგად იყო გარკვეული საბჭოთა კავშირის ნაციონალურ საკითხებში. კერკის დანიშვნას ამერიკულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გავლენიანი გაზეთები ვრცელ საგაზეთო სტატიებს უთმობდნენ ამ საკითხს. ადამირალი კერკი საუბრობდა რა საბჭოთა კავშირზე, განმარტავდა, რომ ბოლშევიზმი და საბჭოთა ხალხები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ხალხი მხარს არ უჭერს რეჟიმს და მისი წინააღმდეგია, ამიტომ ალენ კერკის აზრით, ამერიკამ საბჭოთა კავშირის ერები თავის მეგობრად და მოკავშირედ უნდა მიიღოს, ხოლო ბოლშევიკური რეჟიმი მათ საერთო მტრად [4, 6-7].

ალენ კერკი რამდენიმე თვის განმავლობაში იყო თავმჯდომარე, 1952 წლის ზაფხულში იგი კვლავ სახელმწიფო სამსახურში დაბრუნდა და „ფსიქოლოგიური ომის“ ბიუროს ხელმძღვანელად დაინიშნა.

„კომიტეტის“ თავმჯდომარე გახდა ვიცეადმირალი ლესლი სტივენსი, რომელიც მანამდე (1951 წლამდე) სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა ოფიციალურ თანამდებობას იკავებდა, 1947-1949 წლებში იყო აშშ-ის ამერიკული საელჩოს საზღვაო ატაშე მოსკოვში და ფლობდა რუსულ ენას [5, 25]. 1955 წელს კომიტეტის თავმჯდომარე გახდა სარჯანტი [6, 23].

კომიტეტის ხელმძღვანელად ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ თანამდებობებზე ნამსახურები პირების დანიშვნა მიუთითებს ორგანიზაციის მნიშვნელობასა და ხელისუფლებასთან მის კავშირზე.

„ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობას ევროპაში წარმართავდა კომიტეტის აქტიური წევრი, ამერიკაში ანტიკომუნისტური საქმიანობის ვეტერანი ისააკ დონ-ლევინი, მან ჯერ კიდევ 1924 წელს დაადასტურა საბჭოთა რეჟიმი ტერორში, სიცრუესა და იმპერიალიზმში [3, 14]. 1953 წლიდან „კომიტეტის“ წარმომადგენელი ევროპაში გახდა სიეფტი.

თავდაპირველად გაერთიანებას „სსრკ ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი“ ერქვა, რომელიც მალე „რუს ხალხთა განთავისუფლების კომიტეტის“ სახელით შეიცვალა. როგორც თავად „კომიტეტის“ თავმჯდომარე და მისი წევრები განმარტავდნენ, ამის მიზეზი იყო ამერიკის საზოგადოების არასწორი ცოდნა, კერძოდ, მათთვის საბჭოთა კავშირი ასოცირდებოდა ბოლშევიზმთან და კომიტეტის დასახელებაში საბჭოთა კავშირის ხსენება ამერიკულ საზოგადოებაში ტოვებდა განცდას, რომ ეს იყო ბოლშევიზმის მხარდამჭერი ორგანიზაცია, რაც კომიტეტისა და ხალხის გაუცხოებას იწვევდა. საშუალო ამერიკელი არ იყო გაცნობიერებული საბჭოთა კავშირის ეთნიკურ ერთარებაში, მისთვის გაუგებარი იყო ასევე ცნება „რუსეთის ხალხები“. გამოსავალი მოიძებნა „რუს ხალხთა“ სახით [2, 9-10]. „კომიტეტისათვის“ ამერიკული საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულება მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის, არსებობა სწორედ საზოგადოებაზე იყო დამოკიდებული.

სახელწოდება „რუს ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი“ ორგანიზაციის მიზნის მიღწევას აფერხებდა, რადგან საბჭოთა კავშირის არარუს ერთა ემიგრანტული ორგანიზაციები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამგვარი დასახელების გამო. შედეგად გაერთიანებას 1953 წლიდან „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი“ ეწოდა [7, 4].

„ამერიკული კომიტეტის“ მიზნები ჩამოყალიბებული იყო მის ექსპლარაციაში. მიზნებიდან გამომდინარე, გაერთიანების სამოქმედო

გეგმა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: 1. მატერიალური და მორალური დახმარება იმ ემიგრანტული ორგანიზაციების, რომლებიც იბრძვიან ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ და მათი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაფინანსება; 2. რადიო „ამერიკის ხმის“ ფარგლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალურ, მშობლიურ ენაზე მაუნყებელი რადიოსადგურების დაარსება; 3. საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანების გზით ერთიანი ანტიბოლშევიკური ერთობის ჩამოყალიბება [8, 5].

ამერიკული კომიტეტიდან ფინანსური დახმარების მიღების შესახებ საუბრობს 1951 წლის 20 ოქტომბერს პარიზში დაარსებული ქართული „ეროვნული საბჭოს“¹ სარეზერვო კომისიის წევრი ლევან ფალავა, მისი თქმით, ეროვნულ საბჭოს „ამერიკული კომიტეტისაგან“ სხვადასხვა რაოდენობის თანხა მიუღია [9, 30].

„კომიტეტის“ მიერ დაარსდა და მისი დახმარებით ფუნქციონირებდა მიუნხენის „კულტურისა და ისტორიის კვლევა-ძიების ინსტიტუტი“, რომელიც 4 წლის განმავლობაში რუსული ემიგრაციის მიერ იმართებოდა. ინსტიტუტის კვლევითი საქმიანობა არარუს ერთა საკითხებს არ ითვალისწინებდა. 1954 წელს „პარიზის ბლოკის“² წამომადგენლების მოთხოვნით ინსტიტუტის მმართველობის რეორგანიზაცია განხორციელდა, აირჩიეს ახალი სამეცნიერო საბჭო და დირექცია, რომელშიც რუსი და არარუსი ერების წარმომადგენლები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი. მათ ჩაატარეს კონფერენცია, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ კონსტანტინე კანდელაკი და გრიგოლ რობაქიძე, ასევე რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რედაქტორი რ. არსენიძე.

კანდელაკის მოხსენება ეხებოდა კრემლის ეროვნულ პოლიტი-

¹ მის შემადგენლობაში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატიები, სოციალ-ფედერალისტები, საქართველოს მთავრობა, დამფუძნებელი კრება, ქართული ახალგაზრდული თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია და „თეთრი გიორგი“. ამ უკანასკნელმა აზრთა სხვადასხვაობის გამო მალე დატოვა „ეროვნული საბჭო“. „ეროვნული საბჭოს“ ბეჭედი იორგანო იყო ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“.

² დაარსდა 1952 წ. ქ. კარლსბურგში (გერმანია), საბოლოოდ ჩამოყალიბდა პარიზში. სახელიც აქედან მიიღო. მასში გაერთიანებული იყვნენ უკრაინელები, ბელორუსები, იდელ-ურალის ხალხები (თათრები, ბაშკირები და სხვ.), ჩრდილოკავკასიელები, აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები. მას ჰყავდა ბიურო, რომლის ხელმძღვანელი იყო აბრამოვიჩი. 1955 წელს 7 ოქტომბერს ჩატარდა „პარიზის ბლოკის“ კონფერენცია, რომელზეც სახელმძღვანელო შეიკვალეს და ეწოდა „საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელი ლიგა“.

კას კავკასიაში, გრიგოლ რობაქიძემ კი თავის მოხსენებაში უკმაყოფილება გამოთქვა რეორგანიზაციამდე ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. მისი აზრით, მომავალში ჯეროვანი ყურადღება უნდა დათმობოდა ბოლშევიზმის წარმოშობისა და განვითარების შესწავლას [10, 39-41].

„კომიტეტის“ პირველი წარმატებული საქმიანობა უკავშირდება რადიო-სადგურ „ამერიკის ხმის“ ეთერში საბჭოთა კავშირის ერთა მშობლიურ ენაზე მაუნყებლობის გაშვებას. 1951 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიხსნა რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია. გახსნას აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ აჩესონი გამოეხმაურა. მან მიულოცა ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე და სუვერენული უფლების აღდგენისათვის ბრძოლაში ამერიკის მხარდაჭერა აღუთქვა: „ქართველმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახეობა და არასოდეს დაუკარგავს ნებისყოფა ადამიანურ უფლებათა დაცვისათვის ბრძოლაში, ამიტომ ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე... „ამერიკის ხმა“ ამ დღიდან თქვენ, ქართველებს, გაძლევთ საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმაღლვენი“ (დევიდ აჩესონი) [11, 2-3].

„ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების, მოგვიანებით კი ე. წ. „სამხრეთ საბჭოთა კავშირის სექციის“ ხელმძღვანელი იყო ერეკლე ორბელიანი [12, 29].

საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრანტული ორგანიზაციების დაფინანსებისა და მათ მშობლიურ ენაზე რადიომაუნყებლობის ეთერში გაშვებასთან ერთად, „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტის“ წევრები ცდილობდნენ რუსი და არარუსი (ბალტიისპირეთის გამოკლებით¹) ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანების გზით ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნას. კომიტეტის ეს მიზანი აშშ-ს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის – საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის – წარმოების ნაწილი იყო.

„ამერიკული კომიტეტი“ საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრანტებს შორის თავიდან უპირატესობას ანიჭებდა რუსულ ემიგრაციას, კერძოდ კი იმ რუსულ ორგანიზაციებს, რომლებიც 1917 წლის თებერ-

¹ ამერიკული კომიტეტის საქმიანობა არ მოიცავდა ლიტვა-ლატვია-ესტონეთის ემიგრაციას. ამ ქვეყნებს ამერიკა საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკებისაგან განასხვავებდა, რადგან აშშ-ს მათი დამოუკიდებლობა ბოლშევიკების ოკუპაციამდე ჰქონდა აღიარებული. მათთან ურთიერთობის მიზნით სხვა კომიტეტი იყო დაარსებული.

ვლის რევოლუციის შემდეგ დროინდელი რუსეთის აღდგენისთვის იბრძოდნენ. „კომიტეტი“ გამორიცხავდა მონარქისტული რუსული ორგანიზაციების მონაწილეობას „ანტიბოლშევიკური ფრონტის“ შექმნაში. „ამერიკული კომიტეტი“, პირველ ყოვლისა, რუსული ემიგრაციის გაერთიანებას შეეცადა. ამ მიზნით 1951 წელს ქ. შტუდგარდში მოიწვიეს 5 რუსული ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენცია.

შტუდგარდის თათბირს მოჰყვა „კომიტეტის“ მიერ ორგანიზებული ვისბადენისა (1951 წლის ნოემბერი), შტარენბურგის (1952 წლის 19-21 ივნისი), მიუნხენის (1952 წ.) და კალსრბუგის (1953 წლის 14-15 თებერვალი) კონფერენციები, რომლებზეც რუსულ ორგანიზაციებთან ერთად საბჭოთა კავშირში შემავალი არარუსი ერების ემიგრაციული გაერთიანებების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ნოე ცინცაძე ქართული „ეროვნული საბჭოდან“. იგი აქტიურ როლს ასრულებდა კონფერენციებზე და მათ მიღმა მიმდინარე მოლაპარაკებებში.

შტუდგარდის, ვისბადენის, შტარენბურგის და კალსრბუგის შეხვედრებზე განვითარებული მოვლენები, რომლებიც რუსი და არარუსი ემიგრანტული ორგანიზაციების ურთიერთობებსა და მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებსა თუ შეუთანხმებლობას ასახავდა, სცილდება ამ ნაშრომში გათვალისწინებული საკითხის შესწავლას და ცალკე კვლევას საჭიროებს.

ზემოთ ნახსენები კონფერენციების მუშაობაში „ამერიკული კომიტეტი“ მონაწილეობას არ იღებდა, ის მხოლოდ ამ შეხვედრების ორგანიზებით შემოიფარგლებოდა.

ერთი მხრივ, რუსულ და მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის სხვა ერთა ემიგრაციას შორის არსებული დაპირისპირება იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად, საერთო შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი ეროვნული საკითხი იყო. რუსული ემიგრანტული ორგანიზაციები არ აღიარებდნენ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, დამოუკიდებლობას და ცდილობდნენ ერთა თვითგამორკვევის პროცესში მისაღები გაეხადათ არარუს ხალხთა პოლიტიკური ემიგრაციისთვის.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის სხვა ერთა ორგანიზაციები „ანტიბოლშევიკური გაერთიანების“ წინაპირობად აყენებდნენ იმ ქვეყნების სუვერენიტეტის უპირობოდ ცნობას, რომელთაც საბჭოთა რუსეთის დაპყრობამდე მოპოვებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა.

„ამერიკული კომიტეტის“ ხელმძღვანელი პირები განმარტავდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და კომიტეტი მხარს

უჭერს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. მათი თქმით, ბოლშევიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმი გადაწყვეტდა, სურდათ თუ არა დამოუკიდებობა საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს.

თავმჯდომარე ლესლი სტივენსი „პარიზის ბლოკის“ დეკლარაციის საპასუხო მემორანდუმში წერდა: „ამერიკულ კომიტეტს არ შეუძლია, გამოაცხადოს თუ იცნოს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა; ის ვერ გაიზიარებს და ვერც ხელს შეუწყობს იმ მოძრაობას, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიის წინასწარ გადაწყვეტილი დამოუკიდებლობისაკენ არის მიმართული. ამერიკულ კომიტეტს არ შეუძლია, თავს ნება მისცეს, აიღოს ისეთი პოზიცია, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს საბჭოთა ხალხების უფლებას, თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმა“ [13, 20]

„კომიტეტში“ აზრთა სხვადასხვაობა იყო ამ მრავალეთნიკური ქვეყნის ეროვნულ საკითხზე, თუმცა ყველა თანხმდებოდა, რომ გაერთიანების გარეშე ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა უპერსპექტივო იყო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ემიგრაცია, პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებების მიუხედავად, შეძლებდა გაერთიანებას [14, 21-23].

თუმცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ემიგრაციის პოზიციები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ მათი შეთანხმება ვერ მოხერხდა. შედეგად ამერიკული კომიტეტის მიზანი, შეექმნა „გაერთიანებული ანტიბოლშევიკური ფრონტი“, მიუღწეველი აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის მეთაურებისთვის ცნობილი იყო „ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობის შესახებ და მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება სათანადო რეაგირების შესახებ, კერძოდ, დისკრედიტაცია მოეხდინათ და ყველა საშუალებებით ჩაეშალათ „გაერთიანებული ფრონტის“ შექმნა [2, 10; 3, 15].

გაერთიანებისთვის ვისბადენში მოწვეულ პირველ კონფერენციაზე „ამერიკული კომიტეტის“ წარმომადგენლებმა ქართული ემიგრანტული ორგანიზაციებიდან მხოლოდ „ეროვნული საბჭო“ მიიწვიეს. ამის მიზეზი იმით შეიძლება აიხსნას, რომ „ეროვნული საბჭოს“ შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა (ისინი, ვინც განაგრძობდნენ 20-30-იან წლებში დაწყებულ ბრძოლას, მათ შორის იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ივანე გეგეჭკორი) და დამფუძნებელი კრების წევრები. „ეროვნული საბჭო“ მთავრობის სახელით მოქმედებდა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ ამერიკული კომიტეტისათვის „ეროვნულ საბჭოს“ მეტი ლეგიტიმურობა ჰქონდა.

„ეროვნული საბჭოს“ წევრები ამერიკიკული კომიტეტის ფუნქციონირებას ქართული ემიგრაციისათვის ახალ პერსპექტივად განიხილავდნენ. კონსტანტინე გვარჯალაძის სამართლიანი შეფასებით, „არასოდეს ამ 30 წლის განმავლობაში არ მომხდარა, რომ რომელიმე ქვეყნის საზოგადოებრივ წრეს გამოეჩინოს ინტერესი, აეღოს ინიციატივა და მოენოდებინოს საბჭოთა კავშირში შემავალი ერები მათი უფლებების დასაცავათ მოსკოვის ტირანიის წინააღმდეგ“ [15, 11].

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არასოდეს უღიარებია საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც კარგად ახსოვდათ „ეროვნული საბჭოს“ წევრებსაც. ისინი რეალისტურად აფასებდნენ ამერიკის ინტერესებს: „ამერიკელები პრაგმატული ხალხია. მათ იციან, რა უნდათ და ანგარიშობენ, რომ ეს თქვენთვისაც სასარგებლოა“ [16, 7]. შესაბამისად, მიაჩნდათ, რომ „ამერიკის კომიტეტის“ საშუალებით შეგვიძლია ვიმოქმედოთ პრესაზედ, რომელიც ჰქმნის საზოგადოებრივ აზრს და საზოგადოებრივი აზრი კი ერთი იმ უმთავრეს ფაქტორთაგანია, რომელიც მთავრობის პოლიტიკას ჰქმნის“ [17, 10].

„ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობამ ქართული ემიგრაციის მღელვარება გამოიწვია. სხვა ქართველი ემიგრანტები „საბჭოს“ აკრიტიკებდნენ და ეროვნული ინტერესების ღალატში დებდნენ ბრალს. მათთვის მიუღებელი იყო ურთიერთობა იმ რუსულ ემიგრაციასთან, რომელიც არ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ქართველი ემიგრაციის ნაწილს არ ესმოდა „ეროვნული საბჭოს“ პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა „კომიტეტთან“ ურთიერთობით „ქართული საქმისთვის“ სასარგებლო შედეგის მიღწევას.

შეიძლება ითქვას, რომ „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტის“ დაარსება საბჭოთა კავშირის ემიგრაციის ისტორიაში დადებითი მოვლენა იყო. „კომიტეტის“ საქმიანობამ ბიძგი მისცა ემიგრაციის გააქტიურებას და მათ წინაშე ახალი პერსპექტივა დასახა.

პირველად ქართული ემიგრაციის ისტორიაში სწორედ „ამერიკული კომიტეტის“ წამოწყების შედეგად დაუკავშირდნენ ერთმანეთს რუსი და ქართველი ემიგრანტები.

მიუხედავად იმისა, რომ „კომიტეტმა“ თავისი მთავარი მიზანი – „გაერთიანებული ანტიბოლშევიკური ფრონტის“ შექმნა – ვერ განახორციელა, მისი საქმიანობის შედეგად დაფუძნდა რადიო „ამერიკის ხმის“ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ნაციონალური რედაქციები.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დროებითი ზავი და მუდმივი ომი, ჟურნალი „ივერია“, 1952, №4, პარიზი.
2. Переименование Американского Комитета-Заявление адмирала Стивенса, жур. „Свободный Кавказ“, Мюнхен, 1953, №3, март.
3. Беседа с членом Американского Комитета г. Исааком Дон Левиным, жур. „Свободный Кавказ“, Мюнхен, 1951, №1, октябрь.
4. ადმირალი კერკი და ამერიკული პრესა, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №2, მარტი.
5. ამერიკული კომიტეტის ახალი თავმჯდომარე, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №6, აგვისტო.
6. საერთო მდგომარეობა მსოფლიოში და ჩვენი მიზნები, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1955, №21, დეკემბერი.
7. ბრძოლა გრძელდება, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1953, №10, თებერვალი.
8. ადმირალ კერკის განცხადება, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1952, პარიზი, №2, მარტი.
9. ქართული ეროვნული საბჭოს მეორე სესია, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №7, ნოემბერი.
10. წერილი გერმანიიდან, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, პარიზი, №18, ოქტომბერი.
11. დეკლარაცია, გაკეთებული 26 მაისს 1951 წ. აშშ-ის საგარეო მინისტრის აჩესონის მიერ „ამერიკის ხმის“ ქართული სექციის გახნის გამო, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №8, დეკემბერი.
12. „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილება, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1953, №14, მარტი.
13. ლ. ს. სტივენსი, ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი (პასუხი „პარიზის ბლოკის“ მემორანდუმზე), ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1953, №16, აგვისტო-სექტემბერი.
14. ამერიკული კომიტეტი ეროვნულ საკითხში, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №6, აგვისტო.
15. კონსტანტინე გვარჯალაძე, ჩვენი მუშაობა, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №1, იანვარი.
16. ვისბადენზე, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №1, იანვარი.

17. გიორგი კერესელიძე, აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური შედეგები, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №2. მარტი.

Shorena Murusidze

The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, research scientist of the Department of Modern and Contemporary History

“The American Committee for Liberation from Bolshevism”

Summary

The article is dedicated to the study of the history of the organization “The American Committee for Liberation from Bolshevism” founded after the World War II, during the cold war. The heads of the committee were persons who worked at official structures of USA in different periods. The members of this committee were well known journalists, writers, politicians who were distinguished for their anti-Bolshevik activity. The aim of the organization was: to finance emigrants’ organizations of those nations who were living in the Soviet Union, to found radio stations within the frames of “The Voice of America” broadcasting programs on the native languages of the peoples of the Soviet Union and to unite emigrants’ organizations of the peoples of the Soviet Union and form one anti-Bolshevik unit.

With the help of “The American Committee” in May 26, 1951 on the independence day of Georgia Georgian office of “The Voice of America” was opened. At that very day the foreign minister of USA David Acheson appealed to the radio listeners.

The aim of “The Committee” to form “The united front of anti-Bolshevism”, where emigrant organizations of the peoples of the Soviet Union should have been united was not fulfilled. The reason of it was many obstacles that were existed between these organizations. The main reason why they could not come to an agreement was a national problem.

Founding of “The American Committee for Liberation from Bolshevism” must be evaluated in the history of the Soviet Union emigration positively. The activity of “The committee” stimulated and made emigration more active and set an object for future perspectives.

კავკასიის ისტორია

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

დ. ლამბაშიძე

კავკასია

(მისი ხალხი, ისტორია, ეკონომიკა და თანამედროვე მდგომარეობა) (ლონდონი, 1918)*

ამ სტატიაში ავტორი ცდილობს მიანოდოს ინგლისელ მკითხველს დეტალური ინფორმაცია საქართველოს და ზოგადად კავკასიის შესახებ. აი რას ამბობს ის: „კავკასიამ გამორჩეული ყურადღება მოიპოვა ამ ბოლო დროს. რადგან მის შესახებ ბევრი არაფერი იციან არა თუ ზოგადად ხალხში, არამედ ინგლისურ პრესაშიც, საინტერესო იქნება გარკვეულ წილად დანვრელებითი ინფორმაცია მოგანოდოთ მასზე“. ამ მცირე შესავლის შემდეგ იგი გამოყოფს ქვეთავებს: ა) ფიზიკური დახასიათება (გვ.1-2); ბ) მოსახლეობა; გ) კავკასიის ისტორია (აქ ცალკეა ქართველები – 3-11 გვ., სომხები – 11-12 გვ., თათრები – 12-13 გვ., ეკონომიკა – 14-16 გვ.); დ) თანამედროვე ვითარება (გვ. 16-20).

თხრობიდან ჩანს, რომ ჯერ არ დანყებულა სომეხ-ქართველთა საომარი მოქმედებები.

ა) **ფიზიკური დახასიათება** [ჩვენ ვტოვებთ ამ ქვეთავის თარგმანს. მასში მოცემულია მდებარეობა, ფართობი, ქედები და მწვერვალები, მდინარეები და მათი სიგრძე, ჰავა, ნალექები, ფლორა (ხეების ჯიშები, სუბტროპიკული მცენარეული), ფაუნა – გ.გ.]

ბ) **მოსახლეობა.**

* ტექსტი დაცულია ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციაში – Wardr.13.84(1)

ბევრი გაუგებრობა და გაზვიადება კავკასიაში მცხოვრები ხალხების შესახებ; ზოგი ე.წ. „ექსპერტი“ ლაპარაკობს 60-ზე. სინამდვილეში სხვადასხვა ხალხთა რაოდენობა ისეთივეა, როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. კავკასიის მოსახლეობა მთლიანად დაახლოებით 11 მილიონია და ესენია:

1. რუსები: 2.400.000, ძირითადად კაზაკები ჩრდილო კავკასიაში. ამიერკავკასიაში რუსი მოსახლეობის რიცხვი რევოლუციის წინ არ აღემატებოდა 180.000-ს სამხედროებისა და მოხელეობის ჩათვლით. სულ - 2.580.000.

2. კავკასიის მთიელები: ა) ჩერქეზები - 200.000; ბ) ლეკები და ჩეჩნები - 680.000; გ) ოსები, ნოღაელები, ყალმუხები, ინგუშები - 395.000. სულ - 1.275.000. მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა მაჰმადიანია.

3. ქართველები: დაახლოებით 3.000.000. აქ ითვლება ბათუმისა და არდაზანის მხარეებში მცხოვრები 200.000 მაჰმადიანი და ტრაპიზონის მხარეში მოსახლე 300000 ლაზი.

4. სომხები: 1.490.000. ისინი თათრებთან შერეულად ცხოვრობენ ერევნის, ელიზავეტპოლის, ბაქოსა და ყარსის მხარეებში.

5. თათრები და სპარსელები: 2.300.000.

6. გერმანელები: ჩრდილოეთ კავკასიაში 42.000; ამიერკავკასიაში - 18.000. სულ - 60.000. ისინი იმპერატორ ალექსანდრე I-ის შეგულიანებით შემოვიდნენ კავკასიაში სამხრეთ გერმანიიდან.

7. ბერძნები: 60.000. ისინი გადმოსახლდნენ კავკასიაში მცირე აზიიდან.

8. ებრაელები: კავკასიის ჩრდილოეთით - 64.000. ისინი პალესტინიდან გადმოსახლდნენ პირველ საუკუნეში და საუბრობენ ძველი ებრაულისა და თათრულის ნარევიზე.

კავკასიაში მოსახლე ხალხთა მრავალფეროვნება შეიძლება აიხსნას კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც აზიასა და ევროპას შორის არსებული ხიდისა, რომელზეც მრავალმა ხალხმა გადაიარა. დასავლეთ აზიაში მომხდარი ისტორიული ტრანსფორმაციები ყოველთვის პირდაპირ გავლენას ახდენდნენ (აფერხებდნენ) კავკასიის განვითარებაზე.

გ) კავკასიის ისტორია.

უხსოვარი დროიდან, გაცილებით ადრე ალექსანდრე დიდამდე, მრავალმა ხალხმა სცადა კავკასიის დამორჩილება. დიდი ქალაქები არსებობდნენ იმ რეგიონში, სანამ ათენი და რომი გახდებოდნენ ცნობილი. ბერძნებმა, სპარსელებმა, თურქებმა, სკვითებმა, ჰუნებმა და

სხვებმა სცადეს აქ ფეხის მოკიდება. როდესაც ვსაუბრობთ კავკასიის ბოლო ხუთი საუკუნის ისტორიის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი სამი ფაქტორი: -

1. რუსეთის იმპერიის ექსპანსია სამხრეთისკენ და მუდმივი სურვილი სპარსეთსა და თურქეთში შეღწევისა. 2. თურქეთისა და სპარსეთის განუწყვეტელი ბრძოლა კავკასიაში დასამკვიდრებლად. 3. საქართველოს ძველი სამეფოს იზოლირებული პოზიცია ამიერკავკასიაში, როგორც ბუფერისა - ერთი მხრივ რუსეთისა და მეორეს მხრივ თურქეთ-სპარსეთის ამბიციების დაპირისპირებისას.

ქართველები*

....1861 წლის 13 ივნისს ჩერქეზებმა გააფორმეს კავშირი და აირჩიეს 15 უზუცვისისგან შემდგარი საბჭო. მათ დაყვეს თავისი ქვეყანა 12 მხარედ და სოხუმში მყოფი ბრიტანელი კონსულის, ბ-ნ დიქსონის მეშვეობით საშველად მიმართეს თურქეთსა და ინგლისს. ჩერქეზებს აწვებოდნენ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. სამხრეთიდან მათ წინააღმდეგ მოქმედებდა ექვსი ქართული პოლკი. იმ დროს ალექსანდრე II ჩავიდა ადგილზე და ჩერქეზთა წინააღმდეგ მოქმედი არმიების მეთაურობა მისცა ქართველ გენერალ ორბელიანს. თავადი ბარიატინსკი წავიდა რუსეთში და გენერალი ორბელიანი დაინიშნა მეფისნაცვლად.

1864 წელს ჩერქეზები საბოლოოდ დაამარცხეს და გარეკეს (დაახვეინეს) უკან ზღვისპირეთისკენ. მათ მისცეს არჩევანი - დამორჩილება, ან გადასახლება თურქეთში.

მხოლოდ 90.000 დათანხმდა დარჩენილიყო, მეტწილად ხანში შესულები; 418.000 გადასახლდა თურქეთში. ამით დასრულდა მთიელებთან ომი, რომელიც 40 წელი გრძელდებოდა. რუსულმა მთავრობამ ზედმეტი გულქვაობა (სიმკაცრე) გამოიჩინა ჩერქეზების მიმართ, როცა აიძულა ქვეყნის დატოვება და თურქეთში გადასახლება. მათი

* ავტორს მოჰყავს მოკლე პოლიტიკური ისტორია ფარნავაზიდან დანქებული XX ს-ის დასაწყისის ჩათვლით. განსაკუთრებით ეხება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობებს ივანე IV-დან ნიკოლოზ II-მდე. შედარებით ვრცელადაა ვახტანგ VI-ის და ერეკლე II-ის დროინდელი კავშირები. განსაკუთრებულ ადგილს უთმობს 1783 წლის ტრაქტატს, მის პუნქტებს, საერთაშორისო მნიშვნელობას, რომელიც შემდგომ ვერაგულად დაარღვია რუსეთმა. შემდეგ გადმოსცემს რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომებსა და ზავებს; ყირიმის ომს, შამილის ამბებს და მათში ქართველთა მონაწილეობას (გვ.3-8). ეს ყოველივე ჩვენ გამოვტოვეთ და მოგვყავს ტექსტის თარგმანი 1861 წლის შემდგომი ამბებიდან - გ.გ.

ავჯანყება რუსული მთავრობის წინააღმდეგ ძირითადად გამოწვეული იყო ეკონომიკური მიზეზებით – კაზაკები მათ თანდათან ართმევდნენ მიწებს, რომლებიც დამუშავებული ჰქონდათ დიდი მზრუნველობით. დღესაც გვხვდება მთებში ძველი მშენიერი ხილის ბაღების ნაშთები – მონმე ჩერქეზთა მშვიდობიანი საქმიანობისა. პოლიტიკურადაც ეს არაგონივრული იყო, რადგან თურქეთში არსებული ჩერქეზთა კოლონია ყოველთვის იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ომში და იბრძოდა უდიდესი ფანატიზმით. უნდა გავიხსენოთ, მაგალითად, როგორ ჭკვიანურად შექმნა **აბდულ შამიდი** ჩერქეზული კოლონიები ბალკანეთში და როგორ გამოიყენა ისინი ბულგარელთა წინააღმდეგ.

1864 წელს გააუქმეს ქართული პროვინციის აფხაზეთის ავტონომია და ქართველი გენერალი **ჯომარჯიძე** დანიშნეს დალესტინის გენერალ-გუბერნატორად. იმავე წელს კავკასიაში გაუქმდა ბატონყმობა. 1867 წლის 4 იანვარს გააუქმეს ქართული პროვინციის სამეგრელოს ავტონომია. 1877 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ქართულმა პოლკებმა გენერალ **ამირეჯიბის** სარდლობით აიღეს არდაჰანის სიმაგრე. 6 ნოემბერს აიღეს ყარსის ციხე ხელმოწერილ იქნა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. შემდგომ ბერლინის კონგრესმა გააუქმა ეს ხელშეკრულება და რუსეთი აიძულეს დაეთმო თურქეთისთვის ერზრუმი, მაგრამ მიიღო ყარსის, არდაჰანის და ბათუმის მხარეები; 59-ე მუხლით კი ბათუმი უნდა გამოეცხადებინა თავისუფალ ნავსადგურად.

ეს ანექსირებული პროვინციები იყო საქართველოს სამეფოს ძველი ტერიტორიები, რომელიც ეკავა თურქეთს ორი საუკუნის მანძილზე. ამ მხარეთა ქრისტიანი ქართული მოსახლეობა თურქეთმა ძალით გაამაჰმადიანა, მაგრამ ისინი ყოველთვის თავიანთ თავს ქართველებად თვლიდნენ; როცა მოხდა მათი ანექსია, ქართველმა წარჩინებულებმა (მონინავე ქართველებმა) სთხოვეს ნება რუსულ მთავრობას, რომ გაეხსნათ იქ ქართული სკოლები და გაემყარებინათ მათი ნათესაობა თავის ქრისტიან ძმებთან. ეს ბრძნული წინადადება არ გაიზიარეს და რუსულმა მთავრობამ ზედმეტი უხეშობით დაიწყო ქართველ მაჰმადიანთა შევიწროება – აიძულეს 100.000-მდე მათგანი თურქეთში გადასახლებულიყვნენ. 1880 წელს ისინი უდიდესი პატივით მიიღო თურქეთის მთავრობამ და დაასახლა ბურსას ირგვლივ. ამრიგად ქართველთა ეს საუკეთესო წარმომადგენლები გაემიჯნეს თავის სამშობლოს თურქეთისთვის სამომავლო სასარგებლოდ.

იმპერატორმა **ალექსანდრე III**-მ გააუქმა კავკასიის მეფისნაცვლობა და დანიშნა გენერალ-გუბერნატორი. 1886 წელს გაუქმდა ბა-

თუმის თავისუფალი ნავსადგურობა.

სამხედრო ოპერაციებმა კავკასიაში მთელი მოსახლეობა აქცია მებრძოლთა საზოგადოებად; 1874 წლამდე ქართული ეროვნული არმია რჩებოდა ხელუხლებელი და სოლიდური ძალის. 1887 წელს დაანესეს განწვევა, მაგრამ ის ეხებოდა მხოლოდ ქრისტიან მოსახლეობას და ათავისუფლებდა მაჰმადიანებს სამხედრო მოვალეობისგან. 1900 წელს თავადმა **გოლიცინმა** შემოიღო კანონი, რომელიც აიძულებდა ქართველებს გაეფლოთ სამხედრო სამსახური რუსეთის იმპერიის უშიშროების მხარეებში, სადაც ისინი იტანჯებოდნენ მეტწილად ცივი ჰავის გამო.

1901 წლის 26 სექტემბერს ტფილისში იზეიმეს საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი; ამ ამბავთან დაკავშირებით ტფილისში ჩამოვიდა დიდი მთავარი **მიხეილ ნიკოლოზის ძე** და წიკითხა იმპერატორ **ნიკოლოზ II**-ის შემდეგი მანიფესტი: „საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების ამ დიდებულ დღეს მე აღსავსე ვარ უდიდესი სიხარულით, როცა ვიხსენებ ჩვენი ისტორიის ამ დიად მოვლენას. ასი წლის წინ ქართველმა მეფემ ერეკლე II-მ ნებაყოფლობით მოაქცია თავისი სამეფო ჩვენი მფარველობის ქვეშ, შეუერთა ის ჩვენ იმპერიას უწყვეტი კავშირებით. თავიდანვე ქართველმა ხალხმა და დიდებულებმა გამოავლინეს უდიდესი ერთგულება და თავისი სიმამაცით დაგვეხმარნენ საერთო მტრის დამარცხებაში. გამოვხატავ რა მოწონებას მათ მიერ განეული ძვირი სამსახურის გამო, გთხოვთ გადასცეთ ჩემი იმპერატორული მადლობა ქართველ ხალხს და აღუთქვათ ჩემი საგანგებო ყურადღება და მზრუნველობა ამ მასაც ხალხს, რომელიც გაერთიანებულია ჩვენთან საერთო რელიგიური კავშირებით“.

ტრაგიკულია, რომ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევისა და ქართველი ხალხისთვის მათი კანონიერი უფლებების წართმევის შემდეგ, მეფე **ნიკოლოზ II**-მ ვერაფერი მოძებნა სათქმელად, გარდა რამდენიმე არაფრისმთქმელი (ცარიელი) კომპლიმენტისა, რომლებიც არ შეიძლებოდა მიეღო ქართველ ხალხს, როგორც მათი ეროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილებად.

ასევე გახსენების ღირსია ის, რომ რომანოვების დინასტია, განსაკუთრებით მთელი XIX საუკუნის მანძილზე ყოველთვის საგანგებოდ აღიარებდა, თითქოს იქცეოდა როგორც ორთოდოქსი ქრისტიანი ხალხების დამცველი. ჯერ კიდევ 1811 წლის 26 მაისს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (რომელიც არსებობდა 542 წლიდან და თითქმის ყველა მაჰმადიან დამპყრობს გადაურჩა) გაუქმდა გენერალ **ტორმასოვის** ნაქეზებით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ანტონ II გაიწვიეს პეტროგრადში წმინდა სინოდთან მოთათბირების საბაბით და საქართველოში დაბრუნების ნება აღარ მისცეს. ქართულ ეკლესიას 700.000.000 მანეთის ქონება ჩამოართვეს, ხოლო 28 საეპისკოპოსოდან მხოლოდ ექვსს დართეს დარჩენის ნება. საქართველოს ეგზარქოსს ნიშნავდა რუსეთის წმინდა სინოდი; XIX საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესია ემორჩილებოდა რუსეთის წმინდა სინოდს.

უსამართლობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა შესამჩნევ პროგრესს მიაღწია, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. საგრძნობლად დაწინაურდა მისი ლიტერატურა; ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთების რიცხვი 1913 წელს იყო 24, ხოლო სხვადასხვა თემებზე გამოცემული წიგნების რაოდენობამ იმავე წელს შეადგინა 240 – 460.000 ტირაჟით. უნდა გავიხსენოთ, რომ მთელი მოსახლეობის 75 პროცენტს შეუძლია წერა-კითხვა და იქ არის ბევრი სკოლა და ბიბლიოთეკა. მოსახლეობის 85 პროცენტი გლეხობაა, რომლის უმთავრესი საქმიანობაა ძალზე ინტენსიური სოფლის მეურნეობა – მოჰყავთ თამბაქო, ღვინო, ბამბა; [მისდევენ] მეაბრეშუმეობას და უმაღლესი აგრიკულტურის სხვა სახეობებს.

საქართველოში ძალზე ძლიერია კოოპერაციული მოძრაობა. აქ არის დაახლოებით 400 კოოპერაციული საზოგადოება, რომლის წევრებია გლეხობის 70-მდე პროცენტი.

ბოლო რვა საუკუნის მანძილზე ქართველი წარჩინებულების ყურადღება ძირითადად მიმართული იყო სამხედრო საქმისკენ. რუსეთის არმიაში იყო 5700-მდე ოფიცერი – მათ შორის ძალზე გამოჩენილი გენერლები: თავადები **ბაგრატიონი**, **ამილახვარი**, **ჭავჭავაძე**, **ორბელიანი**, **ამირეჯიბი** და სხვები. თავადი **იმერეთინსკი** იყო პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი და თავისი გონიერი მმართველობით მოიპოვა პოლონელების დიდი პატივისცემა. მან იმპერატორისგან მიიღო ნებართვა ვარშავაში დიდი პოლონელი პოეტის – **მიცკევიჩის** ძეგლის აღმართვის. გენერალი **ყაზბეგი** იყო ვლადივოსტოკის სიმაგრის სარდალი; გენერალი **ორბელიანი** კი – ფინეთში რუსული ჯარების მთავარსარდალი.

ქართველ ეპისკოპოსთა შორის ყველაზე გამოჩენილი იყო ეპისკოპოსი **გაბრიელი**, რომლის განთქმული ქადაგებანი ოქსფორდში ინგლისურად თარგმნა რევ. **დ. მაღანმა**. აგრეთვე ძალზე ბევრი ქართველი პროფესორი მოღვაწეობდა რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში – მათ შორის გამოჩენილი ფიზიოლოგი, პროფესორი **თარხანოვი**; ფილოლოგი პროფესორი **დ. ჩუბინოვი** და ოდესის უნივერსიტეტის დეკანი **მ. პეტრიევი**. გამოჩენილი ქართველები, როგორცაა

თავადები **ჭავჭავაძე** და **ერისთავი**, იყვნენ რუსეთის ლორდთა პალატის წევრები. **წერეთელი** – დუმის ცნობილი ქართველი დეპუტატი, იყო ამჟამინდელი რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი და სახელმწიფო მინისტრი.

საქართველოსთვის დიდ ავტორიტეტებს შორის შეიძლება დავასახელოთ განსვენებული მისს **მარჯორი უორდროპი** და მისი ძმა, მისტერ **ოლივერ უორდროპი**, რომლებმაც ერთად ინგლისურად თარგმნეს XII საუკუნის განთქმული ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მათ გადასცეს ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკას დიდი რაოდენობით ქართული წიგნები.

სომხები

სომხები, ქართველების მსგავსად, არიან უძველესი ქრისტიანი, ცივილიზებული ხალხი, რომლებმაც მაჰმადიანთა შემოსევების გამო საქართველოზე ბევრი საუკუნით ადრე დაკარგეს სამეფოს დამოუკიდებლობა. მათი ნამდვილი საცხოვრისი არის თურქეთში; მხოლოდ მცირე ნაწილი მდებარეობს ამიერკავკასიის განაპირა სამხრეთით. სანამ ქართველების სამეფო დამოუკიდებელი იყო, ქართველები ყოველთვის სტუმართმოყვრულად ექცეოდნენ სომეხ ლტოლვილებს. ქართველმა მეფე **ერეკლე II**-მ საგანგებოდ დაუჭირა მხარი მათ გადასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე. სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია იყო ერზიანი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარამდე ქართველებსა და სომხებს შორის ძალზე მეგობრული ურთიერთობა იყო. მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ სომეხი ლტოლვილების დიდი რაოდენობა შემოვიდა ამიერ-კავკასიაში და ასევე დასახლდა საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში. მათმა საკმაო რაოდენობამ კომერციისადმი გამოიჩინა ყურადღება. ამ და აგრარული საკითხის გამო თანდათან გაიზარდა მტრობა ორ ხალხს შორის, რასაც ბევრთად უწყობდნენ ხელს ექსტრემისტული სომხური ჯგუფები (პარტიები). რადგან სომხებს ამიერკავკასიის გარდა არ ჰქონდათ თურქეთიდან წასასვლელი სხვა ადგილი, ხოლო ქართველ გლეხებს საკმარისი საკუთარი მიწები, ეს ბუნებრივად იწვევდა დიდ დაძაბულობას. ეს უფრო გაიზარდა, რადგან ოცი წლის მანძილზე ზოგიერთმა სომხურმა პოლიტიკურმა პარტიამ წამოაყენა გაუმართლებელი პრეტენზია საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მიმართ.

რუსული მთავრობა საკმაოდ მეგობრულად ექცეოდა სომხებს XIX საუკუნის ბოლომდე, სანამ თავადმა **გოლიცინმა** არ წამოიწყო ძალზე მკაცრი (უხეში) პოლიტიკა მათ წინააღმდეგ – ძალადობრივად

ართმევდა მათ საეკლესიო ქონებას და ხურავდა სომხურ სკოლებს. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობისას რუსეთის ხელისუფლება მფარველობდა სომხებს.

თათრები

თათრები, რომლებიც ცხოვრობენ ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, XIX საუკუნის მანძილზე რჩებოდნენ ნაკლებ ცივილიზებულ ხალხად. 1906 წელს მათ დაინყეს თავისი პირველი ყოველდღიური გაზეთის „ირმად“-ის გამოცემა. ამჟამად მათი ყოველდღიური და ყოველთვიური გაზეთების რიცხვი 20-მდეა. 1906 წლამდე არც ერთი წიგნი არ ჰქონდათ პრაქტიკულად გამოქვეყნებული; 1913 წელს კი მათი რაოდენობა სხვადასხვა საკითხებზე შეადგენდა 73-ს – 126.000 ტირაჟით.

ბაქო იქცა თათრების ეროვნული კეთილდღეობის უდიდეს ცენტრად, სადაც მათ აქვთ ნავთობის საბადოების ძალზე დიდი მარაგი; ის გახდა აგრეთვე პან-ისლამური პროპაგანდის სულიერი ცენტრიც. ისინი ძალზე ახლოს არიან კონსტანტინოპოლის „ახალგაზრდა თურქებთან“, მნიშვნელოვნად ეხმარებოდნენ რევოლუციას სპარსეთში და შეასრულეს ძალზე გამოკვეთილი როლი ყოფილ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა მაჰმადიანის ფართო ორგანიზებაში. რადგან ამიერ-კავკასიაში სომეხთა ძალზე დიდი რაოდენობაა შერეული თათრებთან, ამან წარმოქმნა მეტად მნიშვნელოვანი დაძაბულობა მათ შორის. ამას ჭკვიანურად აქეზებდა თავადი გოლიცინი, რასაც 1904 და 1905 წლებში მოჰყვა სომეხ-თათართა უღელტა.

რელიგიური თვალსაზრისით თათრებს სრული თავისუფლება ჰქონდათ რუსული ხელისუფლებისგან; უფრო მეტიც, 1916 წლის ბოლომდე მათ არ იწვევდნენ სამხედრო სამსახურში.

კავკასიისა და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რუსულ მმართველობაზე 1903 წლიდან რევოლუციამდე ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა გრაფ ვორონცოვის პოლიტიკას, რომელიც ცდილობდა სხვებთან შედარებით მეტი მფარველობა გაენია ამიერ-კავკასიის ერთ-ერთი ხალხისთვის. მაგრამ 1905 წლის რევოლუციამ და სომეხთათართა უღელტამ ის ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, რომ იმპერატორს გაუგზავნა კონფიდენციალური მემორანდუმი, რომელშიც უხსნიდა, რომ არ შეიძლებოდა იმპერიის ცენტრიდან ასე შორს მდებარე დიდი პროვინციების მართვა, თუ არ მიეცემოდა მათ ერთგვარი თვითმმართველობა. ამ მემორანდუმის შედეგად მისი ძალაუფლება საგრძნობლად გაიზარდა და იქცა კავკასიის პატარა მეფედ. მან გარ-

კვეული ყურადღება მიაქცია რუსული გავლენის გავრცელებას სპარსეთის ჩრდილოეთ მხარეებზე, სადაც მისმა ცდებმა სავალალო შედეგები მიიღო სპარსული ვითარებისთვის და კერძოდ სპარსეთის ერთიანობისთვის. ის ასევე შეუდგა შავი ზღვის სანაპიროზე რკინიგზის მოწყობას და საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ ელექტრო რკინიგზის გაყვანის საქმეს, რათა მომავალში გაეზარდა ცენტრალიზებული სისტემა, რაც ასე აუცილებელი იყო რუსეთის პროგრესისთვის. პრაქტიკულად ამას აკონტროლებდნენ კავკასიის გენშტაბის წევრები, საიდანაც ადგილობრივი ხალხების წარმომადგენლები მოიცილეს.

გენერალური შტაბი უფრო მეტად დაკავებული იყო პოლიტიკური ამბებით და არა სამხედრო საქმიანობით; კერძოდ, აქეზებდა ქურთებს სომხების წინააღმდეგ, ზრდიდა პოლიციელთა რაოდენობა კავკასიაში და კვლავ ათავისუფლებდა ადმინისტრაციიდან ადგილობრივ ელემენტებს.

1905 წლის რევოლუციას დიდი შედეგი მოჰყვა ამიერ-კავკასიაში, სადაც ყველა ხალხებმა, ქართველებისა და სომხების მსგავსად, წამოაყენეს თვითმმართველობის მოთხოვნები. განსაკუთრებით სასიცოცხლო იყო აგრარული საკითხი რუსული მთავრობის ძალზე უსამართლო პოლიტიკის გამო – ქართველ გლეხებს ყრიდნენ შავი ზღვის ნაპირებიდან და მათ ადგილზე ასახლებდნენ რუსეთის შიდა მხარეებიდან წამოსულ გლეხებს; ასევე საუკეთესო მიწებს აძლევდნენ გადაამდგარ რუს გენერლებს. ნათელი იყო, რომ ასეთი პოლიტიკა მტრობას ჩამოაგდებდა, რადგან ქართველ გლეხებს თავისთვისაც არ ჰქონდათ საკმაო მიწა. ქართველებმა, სომხებმა და თათრებმა მკაცრად მოითხოვეს მათი ენების აღიარება. ზედმეტი იმაზე ლაპარაკი, რომ რუსულმა მთავრობამ არც ერთი სამართლიანი მოთხოვნა ყურად არ იღო და გააძლიერა ზენოლის პოლიტიკა. თანამედროვე ომის დაწყებისთანავე ყველა კავკასიელი ხალხი გაიწვიეს. ქართველებმა და სომხებმა მთავრობას მიანოდეს აზრი, რომ მათი რეზერვები დაეხანდებიანათ თურქეთის მხრიდან კავკასიის დასაცავად, რადგან მთიანი გარემო საჭიროებდა საგანგებო ცოდნას, რაც მათ, როგორც ადგილობრივებს, საკმაოდ ჰქონდათ. მაგრამ, ამის მაგივრად, დაახლოებით 300.000 ქართველი რეზერვისტი გაგზავნეს პოლონეთსა და გალიციაში.

ეს პოლიტიკა შეიცვალა, როცა დიდი მთავარი ნიკოლოზი დაინიშნა კავკასიაში მეფისნაცვლად; მან დაიწყო ახალი ქართული და სომხური რეზერვების გაგზავნა თურქეთის ფრონტზე. ამის შედეგი იყო ფაქტიური შეტევა, რასაც მოჰყვა ერზრუმისა და ტრაპიზონის

და თურქული სომხეთის დიდი ნაწილის დაკავება.

სანამ დიდი მთავარი მონოდებული იყო დათანხმებოდა ხალხების მოთხოვნებს, რამდენადაც ამის საშუალებას აუტოკრატია აძლევდა, გენერალმა იუდენიჩმა დაიწყო ძალზე აგრესიული პოლიტიკის გატარება სომხებისა და ქართველების სანიანალმდეგოდ. როგორც კი ქართველებისა და სომხების აქტიური მონაწილეობით დაიკავეს თურქული სომხეთი, გასცა ბრძანება, რომ ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სომხებსა და ქართველებს ეკრძალებოდათ დასახლება და გადაწყვიტა ამ მხარეში კაზაკთა კოლონიის შექმნა. ძნელად გასაგებია, ასეთი გეგმა რამდენად შეესაბამება ანტანტის ფართოდ გახმაურებულ პოლიტიკას – მცირე ერების მფარველობას!

ომთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუმცა კავკასია ფლობს დეპოზიტებს და ნედლეულს უამრავი ამუნიციის სანარმოებლად, რუსულ მთავრობას ნება არ დაურთავს ამუნიციის დამამზადებელი ერთი ფაბრიკის გასახსნელად. ამდენად, კავკასიის ფრონტი დამოკიდებული უნდა იყოს არხანგელსკიდან ამუნიციის ტრანსპორტირებაზე. ომის დროს აუტოკრატული რეჟიმის წყალობით კიდევ სხვა ანომალიებს ჰქონდა ადგილი იმავე მიზეზებით, როგორც რუსეთის სხვა მხარეებში. დღეს ეს ცნობილია მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვის და არ გჭირდება მათი ჩამოთვლა.

[ეკონომიკა]

რომ მიეუბრუნდეთ ეკონომიკურ ვითარებას კავკასიაში, უნდა ავლნიშნოთ, რომ აქ ძველი რუსული მთავრობა არასდროს აძლევდა საშუალებას ადგილობრივებს სათანადოდ დაემუშაებინათ ქვეყნის თითქმის აურაცხელი ბუნებრივი რესურსები. სანამ რუსეთის მთავრობა ხელს უშლიდა მთელი რუსეთის ეკონომიკურ განვითარებას, არაჩვეულებრივად შეზღუდა კავკასიის ეკონომიკის განვითარება მაგრამ, მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ბოლო ოცი წლის მანძილზე იქ შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი აქტიურობა. უკეთესად რომ წარმოვაჩინოთ ვითარება, ჩვენ მოგანვდით გარკვეულ (სანდო) მონაცემებს: 1913 წელს ხორბლეულის მოსავალმა მთელ კავკასიაში შეადგინა 204 მილიონი ბუშელი*. მაგრამ, სამინათმოქმედო თანამედროვე მეთოდების სწორი გამოყენებით პროდუქცია შეიძლება გაზრდილიყო სულ მცირე 20-მაგად. იმავე წელს 190.000 აკრი** იქნა კულტივირებული ზერებად; იქ იყო დაახლოებით 210.000 მცირე ვენახი გლეხების სა-

* ბუშელი = დაახლ. 27 კგ. - გ.გ.

** აკრი = 4047 კვ.მ. (მიწის საზომი ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში) - გ.გ.

კუთრებაში. დააყენეს 40 მილიონი გალონი* ღვინო. ღვინის ხარისხი საუკეთესოა, ხოლო როცა გამოიყენეს თანამედროვე ქიმიის ისეთივე კარგი იყო, როგორც ფრანგული და იტალიური ღვინოები.

იმავე წელს იქ იყო თამბაქოს 19.188 პლანტაცია, უმეტესად კავკასიის დასავლეთ ნაწილში, რომელმაც მისცა დაახლოებით 23 მილიონი ფუნტი** თამბაქოს ფოთოლი. ამ მოსავლის მეტი წილი მიიღეს თურქული თესლიდან და იყო კარგი ხარისხის; შეიძლება ის შერეულიც იყო მაღალი ხარისხის თურქულ თამბაქოსთან. აღსანიშნავია, რომ პოპულარული რუსული სიგარეტები ყველა დამზადებულია კავკასიური თამბაქოთი.

იმავე წელს ამიერ-კავკასიაში 112.000 აკრი გამოიყენეს ბამბის მოსაყვანად და მიიღეს 150 მილიონი ფუნტი განმწმენილი ბამბის ბოჭკო. მორწყვის წესიერად ორგანიზების შემთხვევაში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, მოსავალი გაიზრდებოდა სულ მცირე 30-მაგად. აგრიკულტურის სხვა დარგებიდან ამიერ-კავკასიაში ძალზე განთქმულია მეაბრეშუმეობა. ეს წარმოება არსებობს ბოლო 13 საუკუნეა. აქ არის 3000-მდე სოფელი და 400000 ოჯახია მასში ჩაბმული. 1913 წელს 14.400 ფუნტი ბოჭკო დაამუშავეს და მიიღეს დაახლ. 433 მილიონი ფუნტი აბრეშუმის პარკი, რაც უმთავრესად გაიტანეს მარსელსა და მილანში.

ბათუმის ირგვლივ, შავ ზღვაზე, არის ჩაის პლანტაციები. 1895 წელს მათ მხოლოდ 6 აკრი ეკავათ; 1912 წელს – 1700 აკრი. 1895 წელს მიიღეს მხოლოდ 85 ფუნტი ფოთოლი, 1912 წელს – 1.106.597 ფუნტი. 1895 წელს აწარმოეს 20 ფუნტი ჩაი, 1912 წელს – 268.540 ფუნტი. კულტივაციის ეს დარგი ჯერ კიდევ ექსპერიმენტის დონეზეა, მაგრამ არის დიდი შესაძლებლობები ახლო მომავალში მისი განვითარებისა.

მეფუტკრეობაც ასევე ერთერთი უძველესი დარგია კავკასიაში. 1912 წელს იქ იყო დაახლოებით 26.067 საფუტკრე 596.924 სკით; პროდუქციამ კი შეადგინა 5.653.302 ფუნტი თაფლი და 656.820 ფუნტი ცვილი (სანთელი). აღსანიშნავია, რომ რუსულმა წმინდა სინოდმა არ მისცა ქართულ ეკლესიას მცირე წარმოების მნიშვნელოვნად განვითარების საშუალება. საქმე რომ შებრუნებულიყო, კავკასია შეიძლებდა სანთლებისთვის ცვილზე ეკლესიების ყველა მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა მთელ რუსეთში. მაგრამ ე.წ. ცვილის დიდი რაოდენობა შემოჰქონდათ უცხოეთიდან.

* გალონი = დაახლ. 4,5 ლიტრს - გ.გ.

** ფუნტი = 409,5 გრამს - გ.გ.

1913 წელს კავკასიაში იყო შინაური ცხოველების შემდეგი რაოდენობა: ცხენები 1,5 მილიონი; ჯორი - 160.000; ძროხა და ხარი 5,5 მილიონი; კამეჩი - 638.160; ცხვარი - 15 მილიონი; თხა - 767.613; აქლემი - 16.000; ღორი - 980.000. ყველა ერთად დაახლოებით - 20 მილიონი. ქვეყანას აქვს დიდი შესაძლებლობები მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გამრავლების.

იმავე წელს 10 მილიონი აკრი დაფარული იყო ტყეებით, უმთავრესად მუხის, ნაძვის, არყის და ა.შ. იქ იყო აგრეთვე ბზის და კაკლის მშვენიერი მრავალფეროვნება. ეს წარმოება კავკასიაში სუსტად განვითარდა ზემოხსენებული მიზეზის გამო. 1913 წელს იყო დაახლ. 17.700 მცირე საამქრო, აგრეთვე ცოტა მსხვილი ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო დაახლ. 127.846 მუშა და უშვებდნენ 20 მილიონამდე ფუნტი სტერლინგის პროდუქციას (საქონელს).

სამთო საქმე ამჟამად ძალზე სუსტადაა განვითარებული, მაგრამ, კავკასიის ეკონომიკური აქტივობისას, ის შეიძლებოდა გამხდარიყო უმნიშვნელოვანესი დარგი. რეგიონის მინერალური რესურსები უზარმაზარია. ხალხში დადის ლეგენდა, რომ, როცა ყოვლისშემძლე ღმერთმა შექმნა ქვეყანა, მან ყველა მინერალი დააპნია იმ ადგილას, სადაც კავკასიაა. სპილენძის დაუშუშავებელი მარაგი პრაქტიკულად აურაცხელია. 1912 წელს იქ იყო სპილენძის 15 დასანმენდი, რომელთაგან მხოლოდ 9 მუშაობდა. ესენი იძლეოდნენ 9.656 ტონა სპილენძს. იმავე წელს მიიღეს 26.000 ტონა ვერცხლი, ტყვია და თუთია, 900 ტონა რკინა, 9000 ტონა გოგირდი და 68.000 ტონა ქვანახშირი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მანგანუმის ლითონს, რომელიც მხოლოდ საქართველოში იწარმოება; 1912 წელს საზღვარგარეთ გაიტანეს 885.000 ტონა. აქედან გერმანიამ წაიღო 275.000 ტონა. მთლიანობაში გერმანიამ ომის წინა 10 წელში გაიტანა მთელი საექსპორტო რაოდენობის 41-დან 47 პროცენტამდე. ბაქოს ნავთობის დიდი საბადოების მნიშვნელობა კარგადაა ცნობილი. ბაქო რკინიგზითა და მილსადენით უკავშირდება შავი ზღვის ნავსადგურს ბათუმს. კავკასიის რკინიგზის მთლიანი სიგრძე დაახლ. 3500 მილია. მაგისტრალური ხაზი ბათუმიდან ბაქოსკენ გადის ტფილისზე; ხოლო ტფილისიდან ასევე მიდის პირდაპირი ხაზი სპარსეთში თავრიზისკენ.

დ). თანამედროვე ვითარება

რევოლუციის დაწყებას 1917 წლის მარტში ენთუზიაზმით შეხვდა კავკასიის მთელი ხალხი, რომლებიც სრულიად დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი სამართლიანი სადავო მოთხოვნები ბოლოს და ბოლოს განხორციელდებოდა. ისინი რამდენიმე თვე მოთმინებით უც

დიდნენ, მაგრამ, სამსუხაროდ, აღმოაჩინეს, რომ პეტროგრადის მთავრობის მეთაურები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ რუსეთის სასიცოცხლო პრობლემებს და ამჯობინებდნენ ჩაძირულიყვნენ ლამაზი ფრაზეოლოგიის ოკეანეში.

პირველი ორი თვე, სანამ კადეტები იყვნენ დროებითი მთავრობის ფაქტიური ლიდერები, ეროვნებათა საკითხი არ იქნა ყურადღებით განხილული. კადეტები იყვნენ ნამდვილი პატიოსანი პატრიოტები, მაგრამ ვერ ამჟღავნებდნენ გონიერებას პრაქტიკულ პოლიტიკაში. იმის მაგივრად რომ რუსეთი გადაექციათ სახელმწიფოთა ერთობად (რაც მოასწავებდა მის გადარჩენას ქვეყნად ეროვნებათა შერევის გამო), მათ გამოაცხადეს მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა. მათ დანიშნეს საგანგებო კომიტეტი (კომისია) დუმას ოთხი წევრისგან - ბ-ნი ხარლამოვი (რუსი) თავმჯდომარე, ბ-ნი ჩხენკელი (ქართველი), ბ-ნი ჯაფაროვი (თათარი) და ბ-ნი ფარაჯანოვი (სომეხი) - რომელსაც უნდა ემართა კავკასია მეფისნაცვლის, დიდი მთავრის ნიკოლოზის მაგივრად (ეს უკანასკნელი გაიწვიეს). ამ კომიტეტს მიეცა ძალზე მცირე ძალაუფლება ადგილობრივი საქმეების მოსაგვარებლად; გადანყვეტილების მისაღებად უნდა მიემართათ პეტროგრადისთვის.

შემდეგ მოვიდა კერენსკის მთავრობა და ეროვნული საკითხი გამწვავდა. გარდა ფინელებისა და პოლონელებისა, რომლებმაც მოითხოვეს სრული დამოუკიდებლობა, შემდეგმა ეროვნებებმა წამოაყენეს მოთხოვნა თვითმმართველობის შესახებ: ესტონელებმა, ლატვიელებმა, უკრაინელებმა, მოლდაველებმა, თათრებმა და ქართველებმა. სომხებმა გამოაცხადეს, რომ მათი მომავლის საკითხი ინტერნაციონალური ხასიათის იყო და ამდენად უცდიდნენ სამშვიდობო კონფერენციას მის გადასაჭრელად.

კავკასიის ხალხების მოთხოვნას თვითმმართველობასთან დაკავშირებით სრული უარყოფით შეხვდნენ; ესენიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, თუ თავის თავს არ მიხედავდნენ, პეტროგრადი მათზე თავს არ შეინუხებდა. ამიტომ ქართველებმა, სომხებმა და თათრებმა შექმნეს თავიანთი ეროვნული ასამბლეები (კრებები), რომელთანაც თითოეულმა ერმა აირჩია უმაღლესი ეროვნული საბჭო. ეს ეროვნული საბჭოები ძალიან ცდილობდნენ შეთანხმებით ემოქმედათ ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებთან, მაგრამ ეს აღმოჩნდა ყოვლად უიმედო ამოცანა. ისეთ ქვეყანაში, როგორც რუსეთია, სადაც გლეხთა 85 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, სრული სიგიჟეა ჩაატარო სოციალისტური ექსპერიმენტები; მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს მთელ რუსეთში თავის აღმასრულებელ კომიტეტებში პრაქტიკულად შეეცადათ ყველა კლასი მუშებისა და გლეხების გარდა. კულმინაცია

იყო, როცა მოსკოვის კონფერენციაზე თავადმა **კროპოტკინმა** მგზნებარედ განაცხადა, რომ რუსეთი გარდაქმნილიყო ფედერაციულ რესპუბლიკად. მაგრამ ეს განცხადება ამაოდ გაკეთდა – ჩანდა, რომ არავის სურდა მასზე ზრუნვა.

ამასობაში კავკასიის ხალხები აგრძელებდნენ ნაციონალიზაციის პროცესს. სკოლები გახადეს ეროვნული; ქართველებმა აღადგინეს თავიანთი ეკლესიის დამოუკიდებლობა, რომელიც ამდენ დამცირებას განიცდიდა რუსეთის წმინდა სინოდისგან 1811-1917 წლებში; ეპისკოპოსი **კირიონი** აკურთხეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. რუსულმა წმინდა სინოდმა ისევ დაიწყო საშინელი კამპანია ქართული ეკლესიის წინააღმდეგ და მოსკოვის საეკლესიო კრებაზე წამოაყენეს წინადადება ქართული ეკლესია გამოცხადებულიყო სქიზმურად. კრების დაახლოებით ოცმა წევრმა, ძალზე ცნობილი უფელი ეპისკოპოსი **ანდრეით** სათავეში, გააფთრებით გააპროტესტა ეს წინადადება, როგორც ქრისტიანული ტრადიციის საწინააღმდეგო და უსამართლო ქართული ეკლესიის მიმართ, რომელიც ათი საუკუნეა იცავს ქრისტიანობას. ამის შემდეგ მათ დატოვეს კრება. სასიამოვნოა როცა იგებ, რომ რუსული ეკლესიის მსახურებში, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იმართებოდნენ ჭკუასუსტი **რასპუტინის** მიერ, ჯერაც არიან შესანიშნავი პიროვნებები.

კერენსკის რეჟიმის დასაწყისში ქართველები და სომხები თვლიდნენ, რომ ყველა მათი შენაერთები გადმოყვანილი იქნებოდნენ ავსტრიისა და გერმანიის ფრონტებიდან თავიანთ სამშობლოში, სადაც ისინი შექმნიდნენ ეროვნულ სამხედრო კორპუსებს. ამ ძალზე სამართლიან მოთხოვნას მხარი დაუჭირეს მოკავშირეთა მთავრობებმა, მაგრამ ეს არ დაუშვეს კერენსკის კაბინეტის გადადგომამდე სამი დღით ადრე.

გასული წლის ნოემბერში ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს პეტროგრადი და დაამხეს კერენსკის მთავრობა. ეს იყო ნიშანი ამიერ-კავკასიის ერებისთვის, რომ გაენწყვიტათ ყოველგვარი ურთიერთობა ცენტრალურ მთავრობასთან და უკრაინელებისა და დონელი კაზაკების მსგავსად შექმნეს (გააფორმეს) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. არჩეულ მთავრობას შეადგენდნენ 3 ქართველი, 3 სომეხი, 3 თათარი და 2 რუსი; პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ქართველი ბ-ნი **გაგეჭკორი**. ქართული და სომხური შენაერთები იყვნენ ამ მთავრობის ბრძანებათა ქვემდებარე; ამიერ-კავკასია იმართებოდა როგორც ცალკე რესპუბლიკა.

კავკასიის მთიელები და ყუბანელი კაზაკები გაერთიანდნენ ერთ რესპუბლიკად, საერთო მთავრობით, მაგრამ შეუძლებელი აღ

მოჩნდა ერთად საქმიანობა; ჯერ კიდევ ცოცხლობდა შამილის ტრადიციები და დაუძლეველი იყო მათ შორის სხვაობა – განსაკუთრებით მინის საკითხში. ოთხიოდ თვის მანძილზე წარმოებდა სისხლისმღვრელი შეტაკებები მათ შორის, რაც მუდამ აძლიერებდა სიმწარეს.

ბოლოს, გასული წლის დეკემბერში მთიელები გამოეყვნენ კაზაკებს და შექმნეს დაღესტნის დამოუკიდებელი რესპუბლიკა კავკასიის ჩრდილოეთით. ახალი სახელმწიფოს პრეზიდენტი იყო პოლკოვნიკი **ტ. ჩერმოვევი**, მებრძოლი პიროვნება და ერთი ყველაზე პროგრესული მაჰმადიანთაგანი. მისი კაბინეტის წევრები ასევე მტკიცე ხასიათის ადამიანებია. მან მიიწვია საქართველოს ეროვნული კრების წარმომადგენლები, რომ დასწრებოდნენ მთიელთა კონგრესს დაღესტანში, იმ ისტორიულ პუნქტში, სადაც **შამილი** უკანასკნელად იცავდა თავს.

ამ კონგრესს ესწრებოდნენ მაჰმადიანი სასულიერო პირები ცნობილ შეიხ **ნაჯმუდინთან** ერთად. ეს უკანასკნელი მაღალჩინოსანი ძალზე აქტიურობდა მთიელებს შორის და ქადაგებდა „წმინდა ომს“ ქრისტიანების წინააღმდეგ. პოლკოვნიკი **ჩერმოვევი** დაჟინებით მკაცრად უარყოფდა მის ფანატიზმს, არა მარტო როგორც არასასურველსა და საბიფათოს, არამედ როგორც მაჰმადიანური რელიგიის დიდად შეურაცხმყოფელს. ამ გზით ღირსსახსოვარმა შეკრებამ კარგი გაკეთილი ჩაუტარა კონსტანტინოპოლელ „ახალგაზრდა თურქებს“, რომლებსაც სურდათ თავისთვის აენაზღაურებინათ მოწყობილი ხოცვა-ყლეტით გამოწვეული სამხედრო უბედურება. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკამ, განსაკუთრებით საქართველოს უმაღლესმა ეროვნულმა კრებამ (საბჭომ), მიიღო დიდ წარმატებებს პოლკოვნიკ **ჩერმოვევის** და სხვა ლიდერების გონიერი თანამშრომლობის წყალობით.

ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების და ბოლშევიკური კომედიის დაწყებისას უკრაინელებმა გაგზავნეს საგანგებო დელეგაცია, რათა თავდაცვის მიზნით ეწარმოებინათ საზავო მოლაპარაკება მთავარ ქვეყნებთან, რომ არ გაყიდულიყვნენ ბოლშევიკების მიერ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, რომელიც თურქეთს ესაზღვრება, შეეჯახა ბოლშევიკების ძალადობრივ პროპაგანდას; ბოლშევიკების საგანგებო აგენტებმა შეაღწიეს თურქეთის საზღვარზე მყოფ სუფთა რუსულ ნაწილებში, დაიწყეს კრიმინალური პროპაგანდა მათ შორის და აქეზებდნენ დაეხოცათ ქართველები და სომხები, რომლებიც უარს ამბობდნენ კლასობრივ ბრძოლაზე, როგორც ნაციონალური საკუთარი ღირსების გრძობის შემცველზე. საუბედუროდ, რუსულმა ნაწილებმა დაიწყეს დატაცება, მაგრამ ისინი დროულად განაიარაღეს ქართულმა და სომხურმა ძალებმა და უმეტესობა წავიდა შიდა რუსე-

თისკენ. ამიერ-კავკასიის დაცვა მთლიანად დაეკისრათ ქართულ და სომხურ ნაწილებს. ერთადერთი საფრთხე იყო ბაქოს თათრების მხრიდან, რომელთა ლიდერები ძალზე ენერგიულად უწევდნენ პროპაგანდას პან-ისლამურ და პან-თურქულ მოძრაობას. ამ ვითარებაში ამიერ-კავკასიის მთავრობამ ხელი მოაწერა თურქეთის სამხედრო სარდლობასთან დაზავებაზე, იმ პირობით, რომ სანამ გაფორმდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულება, თურქული ნაწილები არ გადავიდოდნენ მესოპოტამიისკენ.

როცა ბოლშევიკებმა ბოლოს და ბოლოს ხელი მოაწერეს ზავს მთავარ სახელმწიფოებთან და თურქეთთან, ისინი დათანხმდნენ მაჰმადიანი ქართველებით დასახლებული საქართველოს განუყოფელი ნაწილების – ბათუმისა და არდაჰანის მხარეთა, აგრეთვე მეტწილად სომხებით დასახლებული ყარსის მხარის დათმობას. ასევე დათანხმდნენ თურქული სომხეთის შიდა ტერიტორიების რეოკუპაციას თურქეთის მხრივ. ამ კრიმინალურმა აქტმა ქართველებისა და სომხების დიდი აღშფოთება გამოიწვია; უფრო მეტიც, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა არ ცნობდა ბოლშევიკებს და არ აძლევდნენ ნებას თავის მაგიერ ვინმესთან ენარმოებინათ მოლაპარაკებები. თურქეთის მთავრობას არ ჰქონდა გამბედაობა, რომ ზემოდასახლებული ტერიტორიული დათმობა პირდაპირ მოეთხოვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისთვის, მაგრამ მის ზურგს უკან მოახერხა თავზნებულად ბოლშევიკებთან შეთანხმებით. როგორც კი ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებები დასრულდა, პორტამ გაუგზავნა ნოტა ამიერ-კავკასიის მთავრობას – ჩაერთობოდნენ საზავო მოლაპარაკებაში ზემოდასახლებული ტერიტორიების გადაცემის შემდეგ, რომელთა ფართობი 4000 კვ. მილია. ეს მოთხოვნა აღშფოთებით უარყვეს.

ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო შავი ზღვის ფლოტის დემორალიზებულ მეზღვაურებთან, რათა მათ დაებრძოთ შავი ზღვისპირა ქართული ქალაქები. ამრიგად, უნამუსო ცდა ჩაატარეს სოხუმის დაუცველ ნავსადგურზე, სადაც ჰოსპიტალებში თავმოყრილი იყო დაჭრილი და დასნეულებული ჯარისკაცების დიდი რაოდენობა. ამის შემდეგ თურქული ძალები უმალ დაიძრნენ ტრაპიზონისა და არზრუმისკენ და მიაღწენ ამიერ-კავკასიის ძველ საზღვრებს. ამ გაუთვალისწინებელ შემოსევას მაშინვე უპასუხეს: საქართველოსა და სომხეთის ეროვნულმა საბჭოებმა (კრებებმა) შეკრეს თავდაცვითი კავშირი და, როგორც ცნობილია, ცხარე ბრძოლა გაუმართეს თურქებს. ქართული და სომხური ძალები ერთად მოქმედებენ და საქართველოს მთელი მოსახლეობაა მობილიზებული ეს გამირული აქცია აღტაცების ღირსია, რადგან ქართველები და

სომხები მთლიანად მონყვეტილი არიან მოკავშირეთა რაიმე დახმარებას, ხოლო ზურგიდან ემუქრებიან თათრები, რომლებიც სიმპათიით არიან თურქებისადმი განწყობილი. ომი იქნება დაუნდობელი. ქართველები და სომხები უწვევენ სიმამაცეს ენვერ და თალათ ფაშების მსგავსად, რომ საკუთარი ღირსების გრძნობის მქონე ერები, რაც არ უნდა მცირენი იყვნენ, არ დაუშვებენ ისე მოექცნენ, როგორც ბოლშევიკების ხროვა.

საინტერესოა აღინიშნოს მიზეზები, რამაც აიძულა თურქეთი დაენყო ეს სახიფათო ოპერაცია. პირველი – ის ცდილობს აინაზღაუროს ის დანაკარგი, რაც დიდმა ბრიტანეთმა მიაყენა მას მესოპოტამიის, მთელი არაბეთისა და პალესტინის გამოყოფით. მეორე – მას სურს დაამყაროს პირდაპირი კავშირი ბაქოელ თათრებთან, რათა შემდგომ განავრცოს გავლენა თურქესტანზე და რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ მაჰმადიანებზე. მესამე – სურვილი, გამოიყენოს ამიერ-კავკასიის რკინიგზები და ბაქოს გავლით შეაღწიოს ავღანეთში. ის ამტკიცებს აგრეთვე, რომ ბათუმის მხარეში მცხოვრები მაჰმადიანები, რაც საქართველოს განუყოფელი ნაწილია, უნდა ითვლებოდნენ თურქებად. მაგრამ მას ავიწყდება, რომ თვით მაჰმადიანთა შორისაც ეროვნულობაა უმთავრეს საფუძვლად დადგენილი. ბალკანეთის ომის დროს ალბანეთი ჩამოშორდა თურქეთს, მიუხედავად იმისა, რომ ალბანელთა 75 პროცენტი მაჰმადიანი იყო. ამ ომში მესოპოტამიელი არაბები და არაბეთიც ებრძვიან მას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თურქებზე უკეთესი მაჰმადიანები არიან; ხომ უეჭველია, რომ არაბები არა მარტო ისლამის რელიგიის შემქმნელები არიან, არამედ თურქებზე გაცილებით მაღლა მდგომი ხალხია.

ბათუმისა და არდაჰანის მხარეების ქართველ მაჰმადიანთა რიცხვია 200.000. ისინი ძალით მოაქციეს ქრისტიანობიდან ისლამზე თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებული გამაჩანაგებელი ომების შემდეგ. მათ იგივე სისხლი აქვთ, რაც ქრისტიან ქართველებს და არასოდეს დათანხმდებიან თავისი ერისაგან გამოყოფას. ამის საკმაო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ თურქების წინააღმდეგ მიმდინარე ომში მთელ ქართულ ჯარში არის სამი დივიზია მხოლოდ ქართველი მაჰმადიანებისგან შემდგარი.

ამ ომს ცხოველი ინტერესით დააკვირდება მთელი ცივილიზებული მსოფლიო და მცირე ერების ყველა მეგობარი. ის დიდ ტანჯვას მოუტანს ქართველებსა და სომხებს, მაგრამ ეს ორი ერი დავანახებს (გვიჩვენებს) თავდაცვის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. განსაკუთრებით კიდევ ერთხელ წარმოჩნდება ქართველთა განთქმული სიმამაცე.

მოკავშირეთა წმინდა მოვალეობა ყოველმხრივ დაეხმარონ ქართველებსა და სომხებს, რათა მათაც არ გაიზიარონ ის უბედურება, რაც მცირე ერებმა, რომლებიც ასე მწარედ დაიტანჯნენ თანამედროვე ომში.

Gia Gelashvili

Doctor of History, The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

D. Gambashidze, The Caucasus [Its people, history, economics and present position] (London, 1918)

Summary

The english article belongs to D. Ghambashidze, who was the author of several other sketches about economics and politics of Georgia and Caucasus. Here we give the Georgian translation of this article. As D. Ghambashidze says – “ as there is considerable ignorance about Caucasus... in the English Press, it will be interesting to give rather detailed information on the subject“.

He describes Physical features of Caucasus, its people – Georgians (with their short history from 4-th century b.C. till 1918), Armenians, Tartars – their population and character. Author gives Present position in 1917.III – 1918 : relationship with Russian governments; Turkish and German policy in Caucasus, position of Georgian Government; tells about Georgian Mohammedans and offers the Allies to help the Georgians and Armenians in their present struggle.

მზია ტყავაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

დაღესტანელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში

ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შემდეგ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის წინაშე კავკასიის ომის სწრაფი დამთავრების საკითხი დადგა. კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკისა და კავკასიის მარცხენა ფლანგის მთავარსარდლის გენ. ედუკიშვილის პროექტის მიხედვით, ომის სწრაფი და სამუდამო დამთავრების ყველაზე ეფექტური მეთოდი კავკასიელთა დაბლობზე, რუსეთისთვის უკეთ კონტროლირებად რაიონებში, დიდ 250-300 კომლიან აულებში, მასიური ჩასახლება, კავკასიაში კი კაზაკთა გაძლიერებული გადმოსახლება იყო. რუსეთის იმპერია მიგრაციულ პოლიტიკას კავკასიის დაპყრობის მთელ მანძილზე წარმატებით იყენებდა, თუმცა ამ პროცესმა განსაკუთრებული მასშტაბები კავკასიის ომის დამამთავრებელ ეტაპზე მიიღო.

საიმპერატორო კარმა კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების სტრატეგიაც შეცვალა. მიღებულ იქნა გადანყვებილება, ძირითადი შეტევა თავდაპირველად ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაზე განხორციელებინათ. მართლაც, კავკასიის მთავარსარდლობამ 1857 წლისთვის რუსეთის შეიარაღებული ძალების უმეტესობას კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთაზე, ჩეჩნეთსა და დაღესტანთან, მოუყარა თავი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთზე გეგმაზომიერი იერიშები ხორციელდებოდა ამიერკავკასიიდანაც, ე. წ. ლეკეთის საკორდონო ხაზიდან.

ჩეჩნებისა და დაღესტნელების წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების პარალელურად კავკასიის არმიის მთავარსარდლობა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ერთ-ერთ ნაცად და ეფექტურ მეთოდს – მთიელთა დაბლობზე ჩასახლებასაც – მიმართავდა. 1857-1858 წლებში ჩეჩნებთან წარმოებული სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ რუსებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაბლობზე და მდინარე დონის ნაპირებზე იძულებით გადაასახლეს ჩეჩნეთის მოსახლეობის უმეტესობა. რუსების სამხედრო ოპერაციებსა და იძულებით

ბით მიგრაციებს 1858 წელს ჩეჩნების მხრიდან წინააღმდეგობის შეწყვეტა მოჰყვა. ჩეჩნეთი წარმოადგენდა დაღესტნისთვის პურის ბელეს და სტრატეგიულ გასაღებს. მისი დამორჩილება დიდი დარტყმა იყო იმამ შამილის ხელმძღვანელობით მიმდინარე ჩრდილო კავკასიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის [5, 78].

პარალელურად მიმდინარეობდა სამხედრო ექსპედიციები ჯერ კიდევ დამოუკიდებელი მთის საზოგადოებების დასამორჩილებლად.

1857, 1858, 1859 წლებში რუსეთი განუწყვეტლად უტევდა მაღალმთიან დაღესტანს. მოსახლეობა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა მოძალადეს. რუსები ნვაგდნენ და ანგრევდნენ მდიდარ და ხალხმრავალ აულებს, ანადგურებდნენ სარჩო-საბადებელს და მოსახლეობას ზამთარში შიმშილითა და სიცივით სიკვდილისთვის სწირავდნენ. სისტემატური ხასიათი ჰქონდა დამორჩილებულების მშობლიური ადგილებიდან აყრას და მათ დაბლობში, კერძოდ კი კახეთში, ლეკეთის საკორდონო ხაზზე, ჩასახლებას [6, 1047-1048, 1050, 1053, 1093-94, 1096, 1102; 2, 103-133].

შამილი უკან იხევდა და სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებს ტოვებდა. 1859 წლის 14 თებერვალს მან ვედენოდან მცირერიცხოვანი მიურიდებით ლუნიბში გადაინაცვლა [6, 1131]. რუსეთის არმია მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. აგვისტოში ლუნიბი რუსეთის 10 000-იანი გარნიზონით იყო გარშემორტყმული. 1859 წლის აგვისტოს ლუნიბთან კავკასიის მეფისნაცვალის ბარიატინსკი მივიდა და შამილის ტყვედ ჩაგდების ოპერაციას უშუალოდ უხელმძღვანელა. 1859 წლის 25 აგვისტოს დღის 4 საათზე შამილი ბარიატინსკის ტყვედ ჩაბარდა [8, 449].

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელები წინააღმდეგობას აგრძელებდნენ და რუსებს უბრძოლველად არ ნებდებოდნენ, შამილის ტყვედ ჩავარდნა მთელი კავკასიის მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებად იქნა აღქმული.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილი სწორედ იმამ შამილის ტყვედ ჩავარდნას მიიჩნევს მუჰაჯირობის, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში ოსმალეთში გადასახლების პროცესის, დაწყების უმთავრეს ფაქტორად.

ამ პროცესის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებას გამოთქვამს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი გრიგოლ ორბელიანი. მისი აზრით, კავკასიელთა მუჰაჯირობა რუსეთის ხელისუფლების მიერ მათი უკიდურესი შევიწროვებით იყო გამოწვეული. მთიელთა აულებების გარშემო, სახსრე-

სათეს სავარგულებზე და საძოვრებზე კაზაკთა დასახლებით, რუსეთის ხელისუფლება მათ ცხოვრების პერსპექტივას უსპობდა. არც დაბლობზე ჩასახლებული მთიელები აღმოჩნდნენ კარგ დღეში. ისინი რუსეთის ხელისუფლებამ იმდენად შეავიწროვა, რომ მათი ნაწილი იძულებული გახდა უკან – მთაში გაქცეულიყო. უმეტესობამ კი ოსმალეთში გადასახლება არჩია [11, 193].

ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ რუსეთის ხელისუფლება სამხედრო ექსპედიციებით გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ კავკასიელებს უყენებდა ულტიმატუმს ან დაბლობზე ჩასახლებულიყვნენ, ან ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. ამ პირობების მიუღებლობის შემთხვევაში მათ სრული განადგურებით ემუქრებოდნენ [4, 61-62]. კავკასიელები იძულებულნი იყვნენ სამშობლო დაეტოვებინათ.

თავდაპირველად ოსმალეთში რუსეთის ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგეები წავიდნენ. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ნაქეზების, კავკასიაში კაზაკთა გაძლიერებული ჩასახლების და სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად 1858-1865 წლებში მიგრაცია უმართავი გახდა და თურქეთში კავკასიელთა მასობრივ გადასახლებაში გადაიზარდა. როგორც ისტორიკოსი ზ. ხორავა აღნიშნავს: „რუსეთის მიერ კავკასიელ მთიელთა ძალდატანებითი გადასახლება თურქეთში, რუსეთის მიერ მთიელთა მიმართ გატარებული გენოციდის პოლიტიკის გაგრძელება იყო“ [10, 6].

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ აქ ადმინისტრაციული რეფორმის გატარება დაიწყო. მხარის სამართავად შეიქმნა რუსული მმართველობა, რაც მიუღებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მათ საზღვარგარეთ, ძირითადად ოსმალეთში, საცხოვრებლად წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს.

უცხოეთში გადასახლების მოთხოვნები თავდაპირველად, 1859 წლის ოქტომბრის ბოლოს, დერბენტის გუბერნიაში გაისმა და რუსეთის ხელისუფლებისგან მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრას მოჰყვა. დერბენტელებს სპარსეთში გადასახლება სურდათ. ისინი რუსეთის ხელისუფლებისათვის სამშობლოდან წასვლის ნამდვილი მიზეზის გამხელას ვერ ბედავდნენ და უცხოეთში გამგზავრებას ახლობლების მონახულებითა და წმინდა ადგილების მოლოცვით ხსნიდნენ [6, 1189].

1859 წლის ნოემბრიდან დარგოსა და ყაიჭალის მოსახლეობაში დაიწყო ოსმალეთში გამგზავრებისკენ ლტოლვა. დერბენტის სამხედრო და სამოქალაქო საქმეების მმართველი გენ. მაიორი ასევეი კასპისპირეთის ჯარებისა და სამოქალაქო საქმეების უფროს გენ. ლეიტე-

ნანტ თავად მელიქოვს 1859 წლის 18 დეკემბრით დათარიღებულ წერილში სწერდა, რომ „ოსმალეთში გადასახლებისკენ მოწოდებები დალესტინის ამ ხალხში კავკასიის ხაზის ცენტრალური ნაწილიდან გავრცელდა. ამ მოძრაობას ადგილზე აღვივებდა სასულიერო წოდება და ზოგიერთი პატივმოყვარე სამოქალაქო პირი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ მოძრაობის სათავეში დგომას, იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთში დალესტინელთა გადასახლება წარმატებით დამთავრდებოდა, პორტას ხელისუფლება მათ სათანადოდ დაუფასებდა. ისინი ხალხს არწმუნებდნენ, რომ ერთმორწმუნეობიდან გამომდინარე, მათ მექას სიახლოვეს დაასახლებდნენ, ექნებოდათ მნიშვნელოვანი პრივილეგიები და მდიდარი და ვრცელი მიწის სავარგულები. ვრცელდებოდა ხმები, რომ მომდევნო წელს ოსმალეთის ხელისუფლება დალესტინში გამოგზავნიდა 5 ფაშას, რომლებიც უხელმძღვანელებდნენ მსურველთა გადასახლებას“ [6, 1189].

ბაშლის საზოგადოების მოსახლეობამ წერილი გაუგზავნა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ თანამემამულე – ვინმე აკაის. მას სთხოვდნენ, რომ სულთნისგან ყაიხალელებისა და დარგელების ოსმალეთში გადასახლების ნებართვა გამოეთხოვა, რომელთა ნაწილსაც თავისთან დაასახლებდა [6, 1190].

დალესტინის უმაღლესი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ არ ჰქონდათ კავკასიის მეფისნაცვლის მითითება, თუ რა პასუხი გაეცათ სამშობლოდან სამუდამო გადასახლების მსურველთათვის. ისინი, როგორც ძველთაგანვე იყო დაწესებული, საზღვარგარეთის (6 თვიდან 1 წლამდე ვადით) ნებართვებს მხოლოდ მექაში წმინდა ადგილების მოსალოცად წამსვლელებს აძლევდნენ [6, 1190], დანარჩენებს კი სხვადასხვა მიზეზით აფერხებდნენ.

კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკისგან შესაბამისი ბრძანების მიღებამდე, რუსი მოხელეები ფარულად უთვალთვალდებდნენ მოვლენებს და საზღვარგარეთ გადასახლების აქტიური წამქეზებლების მიმართ მსუბუქ ადმინისტრაციულ ზომებს მიმართავდნენ. მაგალითად, 1860 წლის დასაწყისში ყაიხალის მოსახლეობას ოსმალეთში გადასახლებისკენ მოუწოდებდნენ აჰმედ-ფაშა და მისი ვაჟი. ვინაიდან მათთან მოლაპარაკებამ – ბარიატინსკისგან ბრძანების მოსვლამდე შეწყვიტათ ოსმალეთში გადასახლებაზე მოსახლეობის წაქეზება, არავითარი შედეგი არ გამოიღო, დერბენტის სამხედრო და სამოქალაქო მმართველმა ასევე მელიქოვს აცნობა, რომ საჭირო იყო მცირე დროით აჰმედ-ფაშა მოსახლეობისგან ჩამოეშორებინათ და ბრძანების მიღებამდე თემირ-ხან-შურაში გამოეძახებინათ [6, 1191].

ასევეის რჩევა მელიქოვის მიერ გათვალისწინებულ იქნა. ახმედ-ფაშა მცირე ხნით თემირ-ხან-შურაში შეაყოვნეს, შემდეგ კი 1860 წლის გაზაფხულზე რუსეთის ხელისუფლებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების გამო, ნება დართეს გაეყიდა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და ოჯახიანად ოსმალეთში გადასახლებულიყო. წამქეზებლების მოსახლეობისგან იზოლაციასთან ერთად რუსი მოხელეები მოსახლეობაში გადასახლების საწინააღმდეგო პროპაგანდასაც ეწეოდნენ [6, 1209].

აჰმედ-ფაშასგან განსხვავებით ტრაგიკულად წარიმართა დერბენტის გუბერნიის აულ ბაშლის მცხოვრები შაჰმარდან-ყადის ცხოვრება, რომელიც ოსმალეთში გადასახლების აქტიური პროპაგანდისტი იყო. იგი კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის 1860 წლის 2 ნოემბრის ბრძანებით რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა და ტამბოვში გადაასახლა. მოგვიანებით ის ვოლოგდაში გადაიყვანეს. შაჰმარდან-ყადიმ არართგზის მიმართა რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით, რომ თუ არ შეიწყალებდნენ, სამშობლოსთან ახლოს, ასტრახანის გუბერნიაში, მაინც გადაეყვანათ, რათა ოჯახის ნახვა შესძლებოდა. იგი სასულიერო პირი იყო, რის გამოც რუსეთის ხელისუფლება მას არ ენდობოდა. ამის გამო მის თხოვნას არ აკმაყოფილებდნენ [3, 1, 2, 4, 6, 7, 8, 9, 11-12, 15, 17]

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულმა ამ ღონისძიებებმა ყაიხალისა და დარღოს მოსახლეობის დამშვიდება გამოიწვია. როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, მოსახლეობამ შეწყვიტა ოსმალეთში გადასახლებისთვის საჭირო ნებართვების მოთხოვნა და „ნანობდა თავის საქციელს“ [6, 1209].

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მუჰაჯირობის პროცესის შეფერხების მცდელობამ მხოლოდ მცირე ხნით შეაფერხა ოსმალეთში გადასახლების პროცესი. დალესტინში მალევე განახლდა ოსმალეთში წასვლის სამზადისი. 1860 წლის მარტისთვის მექაში წასვლის ნებართვას უკვე დალესტინელთა 3 ათასი ოჯახი ითხოვდა. ბარიატინსკი თურქეთში რუსეთის ელჩს ლობანოვ-როსტოვსკის 1860 წლის მარტში წერდა: „გადასახლების მსურველებს ნებას ვრთავ ოსმალეთში გაემგზავრონ ამიერკავკასიის გავლით. თქვენ კი გთხოვთ იზრუნოთ, რომ ოსმალეთის ხელისუფლებამ დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები [6, 1192].

ბარიატინსკიმ 1860 წლის 23 მარტს გამოცემულ ბრძანებაში ჩამოაყალიბა წესები, რომელსაც მუჰაჯირთა შეუფერხებელი გადაადგილება და წესრიგი უნდა უზრუნველყო:

1. გადასახლების მსურველები უნდა გამგზავრებულიყვნენ მცირე პარტიებად ამიერკავკასიის გავლით და თავი მოეყარათ სამ სასაზღვრო პუნქტთან: ყარსთან, ბაიაზეთთან და არდაგანთან. ადგილობრივ სასაზღვრო მხარის ხელმძღვანელობას (რუსეთის) უნდა მიეღო ზომები, რომ მათ გამზადებული დახვედროდათ საჭირო რაოდენობის პასპორტები, რათა არ მომხდარიყო საზღვარზე მათი შეფერხება;

2. პარტიაში არ უნდა ყოფილიყო 100 ოჯახზე მეტი. თითო ოჯახს მხოლოდ ორი ურმის ყოლის უფლება ჰქონდა, რომელშიც შებმული იქნებოდა ორი ხარი (ე. ი. პარტიაში სულ 200 ხარი). მუჰაჯირთა თითო პარტიისთვის საკვებად განსაზღვრული იყო დამატებით 60 ხარი.

3. მგზავრობის მარშრუტი უნდა განსაზღვრულიყო კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის შტაბის მიერ, ისე, რომ მუჰაჯირებს ყოველდღიურად გაველოთ 25 ვერსი და საზღვარი 30 დღეში, ახალი პარტიის მოსვლამდე, გადაეკვეთა [1192].

4. გადასახლებულებს უფლება ჰქონდათ სხვა წაელოთ იარაღი: თოფი, ხიმტი, პისტოლეტი, ხმალი. ოღონდ ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ყოფილიყო განთავსებული სხვა ბარგთან ერთად, ურმებზე.

5. მათი გაცილება და მათზე მეთვალყურეობა დაევალა ადგილობრივი წარმომობის რუსული ენის მცოდნე ოფიცერს, რომელსაც უნდა მოეგვარებინა მგზავრობისას წარმომობილი სირთულეები, დაეცვა წესრიგი და საჭიროების შემთხვევაში დახმარება ეთხოვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის.

6. გადასახლებულებს უფლება ჰქონდათ გზაში ესარგებლად საძოვრებით, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისა და მამასახლისებისთვის. მათთვისვე უნდა გამოყოფილიყო ღამისთვისთვის მოსახერხებელი ადგილები.

7. სასაზღვრო პუნქტებისთვის დროულად უნდა ეცნობებინათ გადასახლებულთა პარტიის მისვლის დროის შესახებ, რათა მოემზადებინათ შენობები, პასპორტები და დროულად მოეხდინათ მათი საზღვარზე გადაყვანა.

8. გამცილებელ ოფიცერს ყველა საფოსტო სადგურზე მზად უნდა დახვედროდა ცხენი. იგი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საგზაო ფულითაც [6, 1192].

ბარიატინსკის ბრძანებას ოსმალეთში დაღესტნელთა გადასახლება მოჰყვა. ისევე, როგორც სხვა კავკასიელების, მათი მდგომარეობაც თურქეთში უმძიმესი იყო. ისინი რუსეთის იმპერიის საზღვრებისგან მოშორებით დაასახლეს. მრავალი მუჰაჯირი ცდილობდა უკან

სამშობლოში დაბრუნებას, თუმცა რუსეთის ხელისუფლება მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. ზოგიერთი მათგანი მაინც ახერხებდა საზღვრის გადმოკვეთას. მათ იჭერდნენ და ისევ უკან გზავნიდნენ. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი გვაუწყებს: „По официальному доверению Самиха Паши, все чеченцы и лезгинцы, как приближается к нашей границе, чтобы при случае перейти и, так и приживающиеся там горские семейства, волею не волею заброны и доставлены местными властями в окрестности Сивана.

Пробирающих по направлению на Кавказ чеченских бродяг местные власти, по указанию консульства, задерживают дорогою и оттесняют их на нарочно отведенные для них места в Анатолии,- т. е. по возможности дальше от нашей границы“ [9, 1].

დაღესტნელები ოსმალეთის იმპერიაში მომდევნო წლებშიც გადასახლდნენ. ეს პროცესი განსაკუთრებით 1877-78 წწ.-ის რუსეთ-თურქეთის ომის და XIX საუკუნის მიწურულს გააქტიურდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირობამ მთელი რიგი მიზეზების გამო გაცილებით ფართო მასშტაბები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მიიღო. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელები შედარებით მცირე რაოდენობით წავიდნენ ოსმალეთში. ჩვენი აზრით, ეს განსხვავება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული, მათგან ძირითადი შემდეგი იყო: როგორც მუჰაჯირობის პროექტის ავტორებმა და სულის ჩამდგმელებმა ბარიატინსკიმ და ევდოკიმოვმა აღნიშნეს, მთიელთა ოსმალეთში გადასახლება და მათ ნაცვლად, კავკასიაში კაზაკური ელემენტის გაძლიერებული გადმოსახლება იყო კავკასიის ომის სწრაფი და საბოლოო დამთავრების ყველაზე საიმედო და ეფექტური საშუალება. ვინაიდან ამ პროექტის ძალაში შესვლის მომენტში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ომი უკვე დამთავრებული იყო, რუსეთის ხელისუფლებას აღარ სჭირდებოდა აქედან მოსახლეობის მასიური გადასახლება. მეორე მიზეზი კავკასიის ამ მხარეების ეკონომიკურ სარგებლიანობაში მდგომარეობდა. ჩრდილო-დასავლეთი კავკასია საკურორტო ზოლს წარმოადგენდა და აქ რუსი მოსახლეობის დასახლებით ძირეულად იყო დაინტერესებული რუსეთის ხელისუფლება.

დაღესტნის დაბლობ, ნაყოფიერ რაიონებში რუსი მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისიდან ნელ-ნელა დასახლდა. 50-იანი წლების ბოლოსთვის დაღესტნის კასპიისპირეთში არსებულმა რუსულმა ციხე-სიმაგრეებმა (თემირ-ხან-შურა, პეტროვსკი...) [7, 84-86] უკვე ქალაქების სტატუსი მიიღო. რუსი მოსახლეობისთვის აქ არსებული ნაყოფიერი მიწის ფონდის ხაზინის ხარჯზე შესყიდვას რუსეთის ხელისუფლება იმამ შამილთან ომის დამთავრების შემდეგაც შეუდგა, რა-

მაც საგრძნობლად შეცვალა ამ მხარის ეთნიკური მდგომარეობა. ამდენად, რუსეთის იმპერია დაღესტნის დაბლობ რაიონებში უკვე ფეხმოკიდებული იყო. სულ სხვა ვითარება იყო მაღალთიან დაღესტანში. მისი მწირი და მოუსაველიანი მიწები ნაკლებ მიმზიდველი იყო რუსი მოახალშენეებისთვის. ამიტომ აქედან მოსახლეობის გადასახლების შემთხვევაში დაღესტნის მთიანი ზოლი დაუსახლებელი დარჩებოდა, რაც არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში. ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა და მოახერხა კიდევ, რომ აქ მუჰაჯირობას ფართო მასშტაბები არ მიეღო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლება ფლობდა მუჰაჯირობის როგორც გამომწვევ, ასევე მისი შეჩერების ბერკეტებს. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ოსმალეთში კავკასიელთა მასიურ გადასახლებაში მთავარი დამნაშავე რუსეთის ხელისუფლება იყო.

დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ე. ანთელავა, კავკასია და რუსეთი, ტ. I, ნაწ. I, თბილისი, 2007.
2. ნ. ომარაშვილი, კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბილისი, 2008.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 5, საქმე № 187.
4. მ. ტყავაშვილი, კაზაკთა ყოფა-ცხოვრება ჩრდილო კავკასიაში და მათი გადასახლების სისტემა, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №2, თბილისი, 2007.
5. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. II, რედ. ზ. ანჩაბაძე, თბილისი, 1978.
6. Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. XII, ч. 2, ред. Тифлис, 1904.
7. История народов Северного Кавказа (конец XIX – 1917г), ред. Нарочницкий, Москва, 1988.
8. П. Ковалевский, Покоренный Кавказ, С-Петербург, 1904.
9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 12, აღწ. 1, საქმე № 3048.
10. ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, თბ., 2004.
11. მ. ტყავაშვილი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა მიგრაცია თურქეთში XIX საუკუნის 60-იან წლებში და გრიგოლ ორბელიანის კრებულში: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, რედ. ვ. კიკნაზე, თბ., 2008.

Mzia Tkavashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research-scientist of the Department of Modern and Contemporary History

Muhajirism of Dagestanians in the 60s of the 19th Century

Summary

During the whole war of the Caucasus Russian empire together with the military expeditions was actively carrying on the migration policy. On the final stage of the Caucasian War the Muhajirism became of massive character. The Caucasians were forced into exodus and were sent to Ottoman Empire that was provoked by Russian government. Aspiration for migration among Dagestanians to Ottoman Empire and Persia took place after Shamil's captivity. In March, 1860 already 3.000 Dagestanian families wanted to migrate. In the order issued in March 1860 by Al. Baryatinsky, governor of the Caucasus, all rules of Muhajirs' deportation were given.

Baryatinsky's order caused deportation of the north-east Caucasians in the Ottoman Empire. Like other Caucasian people their situation was extremely difficult in the Ottoman Empire. They were settled far from the boarders of the Russian Empire on useless for living lands. Many of Muhajirs tried to return back home, but Russian government was preventing this possibility. Some of them were managing to cross the frontiers. They were caught and sent back.

Dagestanians migrated in the Ottoman Empire in following years too. The process intensified especially in 1877-1878 during the war of Russia – Turkey and the end of the 19th century.

ავთანდილ სონლულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

ადამიანის უფლებები – ისტორიული „შტრიხები“

ცნება ადამიანის უფლებები განუყრელად დაკავშირებულია ესპანელი იეზუიტი ბერების მოღვაწეობასთან სამხრეთ ამერიკაში. ეს ტერმინი გახდა საფრანგეთის რევოლუციისა და გაეროს დეკლარაციის შემადგენელი ნაწილი [1, 69].

საერთოდ, ადამიანის უფლებები და დემოკრატია ერთად მოიპოვება, რადგან დემოკრატია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ქვეყანაში მალალ დონეზეა დაცული ადამიანის უფლებები. იმისათვის, რომ თავისუფლება, რომელიც ადამიანის ღირსეული არსებობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, იყოს ჭეშმარიტად, რეალურად არსებული, აუცილებელია მთელი რიგი უფლებების დაცვა და განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მისდევენ ცხოვრების სხვადასხვა წესს და განსხვავებულად აზროვნებენ, მათ მაინც ერთნაირი ინტერესები აქვთ:

- სიცოცხლის უსაფრთხოება;
- საკუთრების ხელშეუხებლობა;
- პიროვნული დამოუკიდებლობა;
- შრომის უფლება და სხვა.

ყველა ამათ ადამიანის ბუნებრივი უფლებები ჰქვიათ. ბუნებრივი უფლებების ეს ცნება უპირისპირდება სამართლებრივი უფლებების ცნებას, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლობითა და კონკრეტული წესებით და რომლებიც დამკვიდრებულია და მიღებულია სახელმწიფოში. ბუნებრივი უფლებები განსხვავდება მორალური უფლებებისაგანაც, რომლებიც ეფუძნებიან გარკვეულ მორალურ კოდექსს.

ბუნებრივი უფლებები თანამედროვე გაგებით ჩამოაყალიბდა ჯონ ლოკმა და სწორედ მისმა თეორიამ განსაზღვრა ძირითადად ამერიკის ადამიანთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც მიიღო ფილადელფიის კონგრესმა 1771 წელს, სადაც მოთხოვნის სახით და

ფიქსირდა „სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების“ უფლება, ადამიანის ბუნებრივი უფლებები აღიარებულ იქნა ევროპაშიც. ამავე საუკუნეში საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში ვკითხულობთ: „ყველა პოლიტიკური გაერთიანების მიზანია დაცვა ადამიანის უფლებები და აუცილებელი უფლებები; ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება, ჩაგვრისადმი წინააღმდეგობა“.

მიუხედავად ამისა, მთელ მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომამდე არ დამკვიდრებულა ადამიანთა ბუნებრივი უფლებების ხელშეუხებლობის რწმენა [2, 106]. ადამიანის უფლებების იდეამ საყოველთაო აღიარება და გავრცელება მოიპოვა მხოლოდ 1945 წლიდან. კერძოდ, ნაცისტური გერმანიის ლიდერების გასამართლება მოხდა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ეწოდა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული“ და რომელიც არ ფიგურირებდა არც ერთი ქვეყნის სასამართლო კოდექსში.

1948 წელს გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა შეადგინა, ხოლო გენერალურმა ასამბლეამ ამავე წლის 10 დეკემბერს გამოაქვეყნა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. დეკლარაცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც აცხადებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემას და მოიცავს ამ უფლებათა ჩამონათავს: პიროვნების ელემენტარული უფლებები – თანასწორობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება (1-12 მუხლები), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები: მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, თავშესაფრის უფლება, აზრის, სინდისის, რელიგიის, მრწამსის თავისუფლება, მშვიდობიანი შკრებებისა და ასოციაციების შექმნის უფლება (14-21 მუხლები); სოციალურ-ეკონომიკური უფლებები: შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, დასვენების, განათლების, საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება (22-27 მუხლები).

დეკლარაციის თანახმად, ამ უფლებებით და თავისუფლებებით უნდა სარგებლობდეს ყოველი ადამიანი განურჩევლად რასისა, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, ეროვნული და რელიგიური წარმომავლობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეკლარაციას აქვს რეკომენდაციის ხასიათი. მის საფუძველზე გაერომ მიიღო იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ. მისი მიღე-

ბის დღე - 10 დეკემბერი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულია ადამიანის უფლებათა დღედ და აღინიშნება ყოველწლიურად. საქართველო დეკლარაციას შეუერთდა 1991 წელს [3, 10-11].

XX საუკუნის 60-იან წლებში უფლებების სფეროში დამკვიდრდა ახალი ტერმინი - ლირსების დაცვის უფლება, რომლის გავრცელება ამერიკელი ფილოსოფოსის დვორკინის დამსახურებაა, რომელმაც თავის პოლიტიკის თეორიაში უპირატესობა მიანიჭა მორალურ უფლებებს და კერძოდ ორ მორალურ უფლებას - თანასწორი მოპყრობის უფლებას ყველა მოქალაქის მიმართ და ადამიანური ღირსების დაცვის უფლებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ეს უფლებები ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ადამიანი უნდა დაიცვას და აღიაროს მისთვის დაკანონებული უფლებები სხვისთვისაც, ანუ შეიგნოს, გააცნობიეროს, რომ როგორც ის მოითხოვს თავისთვის თანასწორობასა და თავისუფლებას, ასეთივე უფლებების ღირსია და უნდა ფლობდეს მათ სხვა სხვების მიერ პიროვნება, რომელიც მასავით თავისუფალია, ღირსულია და უფლებამოსილი.

ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უნდა იყოს შემწყნარებელი სხვა ადამიანების მიმართ და არ უნდა შელახოს სხვისი უფლებები იმის გამო, რომ ის ხასიათდება სხვა თვისებებით, არ ჰგავს მას. ე.ი. ყველა მოქალაქის უფლებები ლოგიკურად მოითხოვენ ისეთი ღირებულებების აღიარებას, როგორიცაა ტოლერანტობა (შემწყნარებლობა).

1966 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენციები:

ა) „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელიც ეხება ადამიანის დღეს უკვე ტრადიციულ ისეთ უფლებებს, როგორიცაა ადამიანის ნამების, დაუსაბუთებლად დასჯისა და დაპატიმრების აკრძალვა, აზრის, რწმენისა და ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლება.

ბ) „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების შესახებ“, სადაც საუბარია კვების, საცხოვრებლის, განათლების, სამედიცინო მომსახურების უფლებებზე [2, 107].

დასვენების უფლება საზოგადოების ნაწილმა მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის შემდგომ პერიოდში. თუმცა არის სახელმწიფოები, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს კანონმდებლობა მკვებულების შესახებ. დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში შვებულების დრო ძალიან მცირეა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შვებულების ძირითად დროდ დადგენილია 5 სამუშაო დღე, ი-

ტალიაში-6, იტალიაში-12, გერმანიაში-15 დღე. მოსამსახურეთა კატეგორიები საერთოდ არ სარგებლობენ შვებულების უფლებით.

ამავე დროს მკაცრი მეთვალყურეობაა შრომის პროცესზე, რათა მუშამ სამუშაო საათებში დრო არ დაკარგოს. მაგალითად, იაპონის ქალაქ ნაგოიში (სადაც არის საავტომობილო მშენებლობის გიგანტი ფირმა „ტოიოტა“) მოქმედებს წესი: მუშებს ევალებათ ატარონ მანქანის ტერმინალზე ჯიბეებიანი და მოკლე შესაკრავიანი შარვლები, რომ ზედმეტი დრო არ დახარჯონ ტუალეტში [4, 80-81].

ევროპის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი ხელი-სწიდება არცთუ დიდი ხალხით ანიჭებდა საარჩევნო უფლებას ქალებს. მაგალითად, ქალებს საარჩევნო უფლება შეეციათ მიენიჭათ 1921 წელს; ესპანეთში-1931 წ; იტალიაში-1945 წ; ხოლო შვეიცარიაში მხოლოდ 1971 წელს.

ირლანდიაში 300 ათასზე მეტი მოსამსახურე ქალიდან გასული საუკუნის 70-იან წლებში 80 პროცენტზე მეტი გაუთხოვარი იყო ირლანდიაში არსებული კანონის გამო; რომლის ძალითაც სახელმწიფო დასჯებულელებსა და მრენველობაში დასაქმებულ ქალებს, როგორც წესი გათხოვებისას ათავისუფლებენ. ასეთი კანონის გარდა არის სხვა ობიექტური მიზეზებიც: ირლანდიაში არ არის ბავშვთა ბაგა-ბაღები, კერძო პანსიონების გამოკლებით, სადაც ბავშვის მოვლისთვის მაღალ გადასახადებს ითხოვენ.

მართალია, 1957 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც რამდენიმე ცვლიდა გაუთხოვარი ქალების მდგომარეობას. მათ მიენიჭათ უფლება ჰქონოდათ საკუთრება და აღედრათ საქმე სასამართლოში, მაგრამ ასეა თუ ისე ირლანდიელი ქალი დღემდე რჩება ქრის საკუთრებად.

ირლანდიის კონსტიტუციით აკრძალულია განქორწინება. უმუშევრობის დროს ათობით ათასი ირლანდიელი მამაკაცი სამუშაოს საძებნელად მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც მრავალი მათგანი ახალ ოჯახს ქმნის, მაგრამ მიტოვებულ მეუღლეებს, რომლებიც ირლანდიაში დარჩნენ, უფლება არ აქვთ ხელმეორედ დაქორწინდნენ [5, 81, 85].

ამერიკული ცივილიზაციის ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი იყო პროცენტების უფლებების დამკვიდრება და გაფართოება - როგორც მოქალაქობრივი, ასევე პოლიტიკური. ამერიკის ისტორიის დიდ მანძილზე 1890-იანი წლების ჩათვლით მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებების გაფართოება ეხებოდა მხოლოდ თეთრკანიანი მამროსთი სქესის მოსახლეობას.

1860-იანი წლებიდან, მონობის გაუქმების შემდეგ, ეს უფლებები გავრცელდა მამრობითი სქესის შავკანიან რასაზეც. ეს პროცესი ვითარდებოდა მტკივნეულად და დასრულდა მხოლოდ 1970-იან წლებში [6, 184-185].

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა ამერიკაში საერთო ევროპულ დონეს მიჰყვებოდა და საარჩევნო ხმის უფლება ამერიკელმა ქალებმა მხოლოდ 1920 წელს კონსტიტუციის მე-19 შესწორებით მიიღეს. ქალთა ქვემარტივი თანასწორობა კი 1970-იანი წლებიდან თუ გამოიკვეთა. ეს პირველ რიგში სამუშაოზე მიღებისა და მამაკაცების თანაბარ ანაზღაურებას ეხება. თუმცა, დღეს უდიდესი პროგრესი სახეზეა [7, 12].

ძირითადი საერთო-სახელმწიფოებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ აშშ-ში ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, არის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კონსტიტუცია-დამატებებით. ხაზგასასმელია, რომ ორი საუკუნის მანძილზე მიღებული 27 კონსტიტუციური შესწორებიდან 15 პირდაპირ შეეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ჯერ კიდევ 1776 წლის 4 ივლისს მიღებულმა დამოუკიდებლობის დეკლარაციამ დააფიქსირა, რომ ადამიანები თანასწორები არიან და ისეთი ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა, მათ ღვთის მიერ აქვთ ნაბოძები [8, 15].

მიუხედავად ადამიანის უფლება-თავისუფლებების საკანონმდებლო სრულყოფის ხანგრძლივი პროცესისა, რეალობა ისეთი ჩამოყალიბდა, რომ აშშ-ის უმთავრესი იურიდიული აქტები – დამოუკიდებლობის დეკლარაცია, შეერთებული შტატების კონსტიტუცია და „უფლებათა ბილი“ ტექსტობრივად არ ემთხვევა საერთაშორისო შეთანხმებებით ცნობილ უფლებებსა და თავისუფლებებს. ერთგვარი შეუთანხმებლობის პრობლემა აშშ-ში წესრიგდება სხვა ნორმატიული აქტებით, კონსტიტუციური ჩვეულებებით, სხვადასხვა შტატების კონსტიტუციებით და სხვა აქტებით [8, 18].

70-იან წლებში კარტერის თეთრ სახლში მოსვლისთანავე, ადამიანის უფლებების დაცვა (დირექტივა №28, 1977 წ.) გახდა ერთ-ერთი მძლავრი სტიმული, რომელმაც ფართო გასაქანი მისცა დისიდენტურ მოძრაობას სოციალისტურ ქვეყნებში და კერძოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში.

კარტერი არც საკუთარი ქვეყნის პრობლემებზე ხუჭავდა თვალს ამ სფეროში. 1979 წლის 23 იანვარს კონგრესში წაკითხულ იქნა პრეზიდენტის გზავნილი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. გზავ-

ნილში ნათქვამი იყო, რომ სიტყვები, რომლებიც დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორთა გამონათქვამებში ისმოდა „ახლა ძნელად შეიძლება გაერკვე“. „ეს სიტყვებია: „პატიოსნება, თანასწორობა, ერთიანობა, შეგედლოს მსხვერპლის გაღება, თავისუფლება, რწმენა, სიყვარული“ [9, 173].

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დიდ ბრიტანეთში მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, რომელთა ფესვებს ქვეყნის ისტორიის წარსულში მივყავართ. რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იყო 1689 წელს მიღებული „ბილი უფლებათა შესახებ“. ამ აქტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა 1215 წელს მიღებული „თავისუფლების დიდი ქარტიის“, „უფლებათა შესახებ“ 1682 წლის პეტიციის და მთელი რიგი სხვა ისტორიული დოკუმენტების შედარებით სრულყოფილ ინტერპრეტაციას. პ ი ტ ე რ ბ რ ო მ ჰ ე ტ ი ს სიტყვებით ბილის ავტორები ხელმძღვანელობდნენ იმ სამართლიანი მოსაზრებით, რომ „არ არის საჭირო რაიმე დამატებითი ხასიათის გარანტიების გათვალისწინება, თუკი დაფიქსირდება პარლამენტში თავისუფალი არჩევნების პრინციპი, უზრუნველყოფილი იქნება სიტყვის თავისუფლება და პარლამენტის კომპეტენციას დაექვემდებარება გადასახადების შემოღებასთან და აკრებასთან, კანონშემოქმედებასა და ჯარის შენახვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა“.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა აღიარებს სიცოცხლის უფლებას. სიკვდილით დასჯა 1965 წელს დროებით, ხოლო 1969 წლიდან საბოლოოდ გაუქმდა [8, 92].

საერთოდ, ადამიანის უფლებების დარღვევა იმდენად მრავალსახელმწიფოში შეიძლება იყოს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობასა და უძლიერეს ქვეყნებს ფიზიკურად არ შეეძლოთ ჩარევა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში [10, 126]. მაგალითად, სინგაპური XX საუკუნის ბოლოს ცნობილი გახდა მცდელობებით ჩაეხშო კრიტიკა პრესის მხრიდან და რეჟიმის პოლიტიკური ოპონენტების ადამიანური უფლებებიც შეელახა. ამასთანავე, სინგაპურის ხელისუფლება სისტემატურად ერევა მოქალაქეების პირად ცხოვრებაში, თან ისეთი ინტენსივობით, რაც დასავლეთში სრულიად მიუღებელი იქნებოდა; ასე მაგალითად, სახელმწიფო ადგენს, რამდენზე შეიძლება მოუშვან ბიჭებმა თმა, კანონგარეშე აცხადებს ვიდეო სალონებს და მაღალ ჯარიმებს ასწესებს ისეთი უმნიშვნელო დანაშაულისათვის, როგორცაა ქუჩის დანაგვიანება თუ საზოგადოებრივ ტრუალეტში წყლის არჩამოშვება [11, 151].

ადამიანის უფლების ერთ-ერთი კომპონენტია მის გარშემო და

უპირველესად მის შესახებ არსებული ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა. ეს არ ეხება სახელმწიფო და სხვა ადამიანების პირად საიდუმლოებას. არსებობს სამხედრო-პოლიტიკური, უსაფრთხოების და სხვა სახის ცნობები, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელია. ასევე არსებობს ეკონომიკური და საფინანსო ინფორმაციები, რომლებიც მათი მფლობელების საიდუმლოს წარმოადგენენ და იგი ასეთად რჩება მანამ, სანამ უფლებამოსილი პირი ან დაწესებულება მათ საჯაროდ არ გამოაცხადებს.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში დაწესებულია მკაცრი კონტროლი ინფორმაციის გავრცელებაზე, ცენზურა კრძალავს ყველაფერს, რაც არსებული რეჟიმის სანინაალმდეგოდაა მიჩნეული. დემოკრატიულ საზოგადოებაში ცენზურა არ არსებობს და ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი ნებისმიერ ინფორმაციაზე სახელმწიფო საიდუმლოების გარდა [2, 79].

იტალიაში გამოიგონეს ახალი მონწყობილობა (მოყურადე-გადამცემი), რომელსაც ადამიანის კანქვეშ ამგვრებენ. იგი პიროვნების გაუჩინარების შემთხვევაში პოლიციას მის ადგილსამყოფელს ოპერატიულად მიაგნებინებს. მონწყობილობას ადამიანის სხეულში გამოიშვება ელექტრობა ჰყოფნის. ორგანიზმში მისი აღმოჩენა რენტგენის საშუალებითაც შეუძლებელია [12, 252].

ბუნებრივია, ადამიანის უფლებები ყველაზე მეტად ირღვეოდა სოციალისტურ ქვეყნებში. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) საიდუმლო პოლიცია (შემოკლებით „შტაზი“) ყოველი ფენის ნაბიჯზე არღვევდა ადამიანის უფლებებს აშკარად თუ საიდუმლოდ. ეს იყო უდიდესი ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც საზოგადოების ყველა სფეროში შეაღწია: მას ჰყავდა 85 ათასი მუშაკი სრულ შტატზე. აქედან, 6 ათასის ერთადერთი ამოცანა იყო სატელეფონო საუბრების მოსმენა, 2 ათასი – ორთქლზე ხსნიდა წერილებს, კითხულობდა მათ, კვლავ ლუქავდა და ისე უგზავნიდა ადრესატს. შტაზის დაქირავებული ჰყავდა, 150 ათასი აქტიური ინფორმატორი და ჰყავდა ასეულ ათასობით დამსმენი. საქმეები შედგენილი იყო 4-5 მილიონ ადამიანზე (ქვეყნის მოსახლეობა 16 მილიონი იყო). მიუხედავად იმისა, რომ გდრ-ს დიდი არმია გააჩნდა, შტაზის არსენალში 250 ათასი იარაღის ერთეული იყო [2, 68].

თანამედროვე რუსული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიან ისტორიას სამ მთავარ პერიოდად ყოფს: რეპრესიების წლები (სტალინი), ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პერიოდი (ხრუშჩოვი) და უძრაობის პერიოდი (ბრეჟნევი).

ანდროპოვი). ეს დაყოფა აშკარად ხელოვნური და მიუღებელია. განა 30-40-იანი წლების რეპრესიები შეიძლებოდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გარეშე? ანდა ბრეჟნევის დროს არ იყო რეპრესიები? ეს ხომ არსებითად ნეოსტალინიზმის ბატონობის ეპოქაა. მართალია სტალინის ეპოქისაგან განსხვავებით, შენედა დახვრეტები, ციმბირში გადასახლება, სამაგიეროდ, პოლიტიკურ მონინაალმდეგეთა მიმართ შემოიღეს ახალი მეთოდები (ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსება, საზღვარგარეთ გაძევება და სხვ. [13, 11-12].

ბოლშევიკებმა საკუთრებისა და ეკლესიების დანგრევის შემდეგ დაინყეს ოჯახების რღვევა. პავლიკ მოროზოვის მიმდევრები, ბავშვები-დამსმენები, მეზობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყიდდნენ მამებს, დედებს, ძმებს, დებს. მშობლები მიჰყავდათ საპრობილეში, ხოლო „გმირი ბავშვები“ – „არტეკში“. საგულისხმოა ომამდელი პერიოდის „პიონერსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია: დამსმენი ბავშვები ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ერთმანეთს ინვედნენ სოციალისტურ შეჯიბრში ვინ უფრო მეტს დაასმენდა. „არტეკში ყოფნის დროს ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, თუ როგორ ეთვალთვალათ და სადაც საჭირო იყო იქ ეცნობებინათ“ [14, 53].

უმალესი სასწავლებლებიდან რიცხავდნენ ვაჭრის, შეძლებული (კულაკი) გლეხის შვილებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა ვაჭრობისთვის თავი დაენებებინა. თუმცა ასეთებასაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მაინც ართმევდნენ. ოჯახის სოციალური და მატერიალური მდგომარეობა უშუალოდ მოქმედებდა თითოეულ წევრზე. კერძოდ, სასწავლებლიდან გარიცხვა, სამსახურიდან დათხოვნა... [15, 24].

1935 წელს გამოვიდა კანონი მცირეწლოვანთა სასჯელის გაძლიერებაზე. იგი იმავე წლის 7 აპრილის დადგენილებით შევიდა ძალაში და სისხლიანი ასობით დარჩა კომუნისტური კანონების ისტორიაში. კანონი მცირეწლოვანთა, 12 წლის ზევით დახვრეტასაც ითვალისწინებდა. 13 წლის დახვრეტეს რუსეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ალექსი, თუმცა მაშინ, კანონები არ უძებნიათ. 7 აპრილის კანონს უფარდებდნენ პოლიტბატმართა შვილებს, ამ კანონით ამხრებდნენ ძიებაში მყოფთ. შვილის სიცოცხლით თამაში კი აღემატებოდა წამებას, ტანჯვას, ყველა სისასტიკეს, ყველა სისაძაგლეს ერთდროულად [16, 218].

ადამიანის რომელ უფლებებზე, შემოქმედებასა და ნიჭზე შეიძლებოდა ლაპარაკი ასეთ სისტემაში? აქ, ადამიანი, როგორც პიროვნება იგნორირებული იყო, ის მხოლოდ სამუშაო ძალას წარმოადგენდა. ამ ანტიჰუმანური და ანტიადამიანური ცხოვრების წესიდან მო-

ვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს: დისციპლინის ორჯერ დარღვევისათვის მოქალაქეს სასამართლოს გადასცემდნენ, ხოლო მესამე დარღვევისათვის ეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. 21 წუთამდე დაგვიანებისათვის „დამნაშავეს“ უსჯიდნენ შრომა-გასწორების კოლონიაში 6 თვის პატიმრობას. 21 წუთზე მეტი დაგვიანებისათვის კი სასჯელი ითვალისწინებდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთას. ასე გრძელდებოდა 1954 წლამდე [17, 64].

გლეხობის მიწაზე მიმაგრებას ისახავდა მიზნად საბჭოური საპასპორტო სისტემა. საბჭოთა კავშირში 1932 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა განსაკუთრებული საპასპორტო რეჟიმი. პასპორტებს აძლევდნენ მხოლოდ ქალაქების, რაიონული ცენტრების, ახალი მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს – ბისა და ასევე რამდენიმე საგარეუბნო ზონის მოსახლეობას. ყველა სასოფლო დასახლებანი (კოლმეურნეები) პასპორტებს არ იღებდნენ. ისინი სასოფლო საბჭოში სიით იყვნენ აღრიცხულნი. ეს ფაქტი ზღუდავდა გადაადგილების თავისუფლებას. ასე გაგრძელდა 60-იანი წლების დასაწყისამდე.

აღსანიშნავია, რომ 1932 წლამდე საბჭოთა კავშირში პასპორტები, საზღვარგარეთულის გარდა, საერთოდ არ იყო. პასპორტი ანუღირებული იქნა 1923 წელს, რაც თურმე დაკავშირებული ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან. პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლებოდა გამოგეყენებინა ნებისმიერი მოწმობა (პროფკავშირის ბილეთი, წითელარმიელის, მატროსის წიგნაკი და სხვ.).

1923 წელს პასპორტების ნაცვლად რსფსრ და ზოგიერთ სხვა შოკავშირე რესპუბლიკაში შემოვიდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, თუმცა მისი მიღება აუცილებლობას არ წარმოადგენდა (კანონში ნათქვამი იყო, რომ მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მისი ქონებისა). მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე, ასეთ მოწმობებს ავსებდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. მოწმობაში არ იყო სურათი (მაშინ ფოტოგადაღება იშვიათად ხდებოდა და დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული), არ იყო არც მფლობელის სიტყვიერი აღწერილობა, როგორც 1917 წლამდე პერიოდში [18, 276-277].

მხოლოდ 1974 წელს იქნა შემოღებული ახალი საპასპორტო რეჟიმი, ანუღირებულ იქნა გრაფა „სოციალური წარმოშობა“, რითაც გამოირიცხა ქალაქისა და სოფლის დისკრიმინაცია [18, 278].

საბჭოთა რეჟიმის დროს სახელმწიფოს მიღებული ჰქონდა მონოპოლია ყოველი ადამიანის სიკვდილსა და სიცოცხლეზე, მაგრამ არცერთ ლიდერს არც ხრუშჩოვამდე და არც ხრუშჩოვის შემდეგ მშვიდობიანი დემონსტრაციები არ დაუხვრეტია. ხრუშჩოვმა კი ორ-

ჯერ – 1956 წელს თბილისში და 1962 წელს ნოვოჩერკასკში მოაწყო მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტა [19, 31].

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გასაიდუმლოებული იყო საზოგადოებისაგან 1962 წლის 2 ივნისს ნოვოჩერკასკში მომხდარი მოვლენები. ამ დღეს დემონსტრანტთა მძლავრი კოლონა, რომელიც შედგებოდა ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშებისაგან, გაემართა ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ. ქუჩაში გამოვიდნენ მუშები ანტიხრუშჩოვული ლოზუნგებით. ხელისუფლება მოემზადა დემონსტრაციის დასახვრეტად. მობილიზებულ იქნა ჯარის ნაწილები არმიის გენერლის პლიევის ხელმძღვანელობით. მოსახლეობისათვის სროლის ხმა რომ ძალიან მაღალი არ ყოფილიყო, დილიდან რადიოქსელით ტრანსლირებული იყო მუსიკა. პარალელურად სამხედრო ნაწილები სატანკო შემადგენლობასთან ერთად მიემართებოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ დემონსტრანტებთან შესახვედრად. ავტომატური იარაღიდან მასირებული ცეცხლის გახსნის შემდეგ დაიღუპა 22 ან 24 ადამიანი. მათ შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვი, დაიჭრა 30 კაცი. მოკლულები მალულად დაკრძალეს, მაგრამ ხელისუფლებისათვის ეს მსხვერპლი საკმარისი არ აღმოჩნდა. იმავე წლის აგვისტოში ნოვოჩერკასკში ჩატარდა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის ღია სასამართლო პროცესი, სადაც განიხილეს „14 წესრიგის დამრღვევი ორგანიზატორის საქმე“. მათგან შვიდს დახვრეტა მიუსაჯეს. სინამდვილეში ამ მოვლენების ორგანიზატორი და მთავარი დამნაშავე იყო ხრუშჩოვი. მუშათა დემონსტრაცია დაიწყო საკვებ პროდუქტებზე ფასების აწევის გამო, რასაც ერთდროულად მოჰყვა შრომის ანაზღაურების შემცირება 1962 წლის ზაფხულში. 1961 წელს გატარებულმა ფულის რეფორმამ ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე [20, 26-27]. თუმცა ეს არ იყო ხრუშჩოვის მიერ სიტყვის თავისუფლების ჩახშობის პირველი მცდელობა. მაგალითად, 1957 წლის 10-11 ივნისს მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკში 3 ათასი ადამიანი გამოვიდა, რომელსაც „მთვრალ მოქალაქეთა ჯგუფის“ გამოსვლა უწოდეს. 9 პიროვნება მისცეს პასუხისმგებამი.

მეორე მასობრივი „უნესრიგობა“ დაფიქსირდა 1961 წლის 15 იანვარს ქალაქ კრასნოდარში. მონაწილენი 1300 შეადგენდნენ. გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი ადამიანი. სისხლის სამართლის პასუხისმგებამი მისცეს 24 მოქალაქე.

ნახევარი წლის შემდეგ, 21 ივნისს ალტაის მხარის ქალაქ ბიჰსკში მასობრივ გამოსვლებში 500 კაცი მონაწილეობდა. მილიციასთან შეტაკებაში დაიღუპა ერთი, ერთი დაიჭრა, 15 აქტივისტი დააპატიმრეს.

ცხრა დღის შემდეგ ვლადიმირის ოლქის ქალაქ მურომში ორჯონიკიძის სახ. ქარხნის 1500-ზე მეტი მუშა გამოვიდა პროტესტით. მილიციასთან შეტაკებაში ორი დაიჭრა, 12 სასამართლოს გადასცეს...

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდეგ მხოლოდ 30 წლის განმავლობაში სსრკ-ში დაფიქსირდა მასობრივი გამოსვლების 24 შემთხვევა, რომელიც მიმართული იყო ხელისუფლების წინააღმდეგ. 11 შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან გამოყენებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა 43 ადამიანი და დაიჭრა 166. 590 პირის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1956-1987 წლებში ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის სხვადასხვა ფორმით რსფსრ სსკ 70-ე მუხლით გაასამართლეს 6543 ადამიანი, ხოლო 190-ე პრიმა მუხლით – 1609 კაცი [14, 299].

ადამიანის უფლებები ირღვეოდა სექსობრივ-ასაკობრივი თვალსაზრისითაც – იჩაგრებოდნენ ქალები და ბავშვები. 1967 წლის 7 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის დეკლარაცია, ხოლო 1979 წელს – კონვენცია. 1989 წელს მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის თანახმად ბავშვები და მოზარდები ისეთივე ადამიანებია, როგორც დიდები და მათაც გააჩნიათ ღირსებები, პიროვნული ღირებულებები და აქვთ თავიანთი უფლებები. ყველა ბავშვს აქვს უფლება, იზრდებოდეს უსაფრთხო პირობებში, მათი აზრები და გრძნობები პატივისცემით უნდა იქნენ მიღებული.

როგორც აღვნიშნეთ, გაერო-მ 10 დეკემბერი დაანესა, როგორც ადამიანის უფლებათა დღე. ადამიანის უფლებებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მატერიალური მოიცავს ადამიანის კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებს).

2. საპროცესო (ადამიანისათვის კუთვნილი მოქმედების მეთოდი და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების, რომლის დახმარებითაც ადამიანი აიძულებს ხელისუფლებას დაიცვას თავისი უფლებები).

განარჩევენ აგრეთვე პოზიტიური და ნეგატიური უფლებები. პოზიტიურია ის უფლებანი, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების აქტიურ მოვალეობებს თითოეული მოქალაქის მიმართ, ხოლო ნეგატიურია ის უფლებები, რომლებიც უკრძალავს სახელმწიფოს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ჩარევას.

ამრიგად, ადამიანის უფლება – ეს არის ადამიანისათვის მიუცილებელი კონკრეტულ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობა,

რომლის წართმევა ან რამენაირი დაბრკოლება დაუშვებელია სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ცალკეული პირების მხრიდან [2, 107-108].

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს მიეკუთვნება ომბუდსმენის ინსტიტუტი. „ომბუდსმენი“ შვედური სიტყვაა და სხვა პირის ინტერესების წარმომადგენელს ნიშნავს. სხვადასხვა ქვეყნებში მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ. ომბუდსმენი – სკანდინავიის ქვეყნებში, სახალხო დამცველი – საქართველოში, შუამავალი – საფრანგეთში, სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო რწმუნებული – უნგრეთში, ხალხის დამცველი – ესპანეთში, ბუნდესტაგის სამხედრო რწმუნებული – გერმანიაში, ადამიანის უფლებების რწმუნებული – რუსეთის ფედერაციაში, ხალხის ადვოკატი – რუმინეთში და სხვ.

ომბუდსმენი, სახალხო დამცველი თანამდებობის პირია, რომელსაც ირჩევენ (მაგალითად, საფრანგეთში შუამავალი ინიშნება მინისტრთა საბჭოს დეკრეტით. დიდ ბრიტანეთში ადამიანის უფლებათა საპარლამენტო რწმუნებულს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით ნიშნავს მონარქი) რათა გამოიძიოს მოქალაქეთა საჩივრები ხელისუფლების ორგანოებისა და ოფიციალური თანამდებობის პირების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც, მოქალაქეთა აზრით, ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლებები და თავისუფლებები. ომბუდსმენი ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლინებასა და უფლებების დაცვაზე კონტროლს. პროკურატურისაგან განსხვავებით, იგი ახორციელებს კონტროლს და „გამოიძიებს“ არა მხოლოდ კანონიერების, არამედ კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. ომბუდსმენს აქვს უფლება განიხილოს საქმეები და აწარმოოს „გამოძიება“ საკუთარი ინიციატივით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მოქმედებს მოქალაქეების საჩივრების საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყნებში კი მოქმედებს „საპარლამენტო ფილტრის“ პრინციპი; ომბუდსმენი მოქალაქეთა საჩივრებს იღებს პარლამენტისაგან. ომბუდსმენის მიერ მიღებულ აქტებსა და გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ სავალდებულო ძალა სახელმწიფო ორგანოებისათვის.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველის რეგულირება ხდება 1996 წლის 16 მაისის ორგანული კანონით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ [21, 141-142].

შვედური ომბუდსმენის ბუმბა შეერთებულ შტატებშიც შეაღწია.

აქ პირველი ომბუდსმენი 1969 წელს შეიქმნა ჰავაის შტატში, შემდეგ კიდევ 18 შტატში, 15 ტერიტორიასა და ქალაქში სხვადასხვა სპეციალიზაციის ომბუდსმენები დაფუძნდა. ამას გარდა მრავალ შტატში შეიქმნა ადმინისტრაციული აპარატისაგან დამოუკიდებელ თანამდებობის პირთა ინსტიტუტი, რომელიც მოქალაქეთა საჩივრებს იხილავს და რომელსაც „აღმასრულებელ ომბუდსმენსაც“ უწოდებენ. ბუფალოს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ინიციატივით დამკვიდრდა საქალაქო ომბუდსმენი, რომლის გამოცდილება შემდგომ ქვეყნის მრავალ ქალაქში გავრცელდა და ახლა ქვეყნის 100-ზე მეტ ქალაქში მოქმედებს ე.წ. „საუნივერსიტეტო ომბუდსმენი“. ამერიკის რამენიმე შტატში არის რეგიონული ომბუდსმენი, ზოგან მათი სპეციალიზაცია კონცენტრირებულია ადმინისტრაციის საქმიანობის ცალკეულ სფეროებზე, იქნება ეს განათლება, ბიზნესი თუ სხვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანებში ომბუდსმენმა ერთგვარად დაკარგა პოპულარობა და მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ეს უცხოური მოდელი ვერ შეერწყა ამერიკულ რეალობას. შესაძლებელია, მაგრამ იქნებ მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ ამერიკელმა ომბუდსმენმა მუშაობის კაბინეტური სტილი ირჩია და საჩივრების 90%-ს ტელეფონის მეშვეობით აგვარებს [8, 18-19].

ამდენად, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები იდენტურია თავისი იურიდიული ბუნებითა და გარანტიათა სისტემით. ერთი ცა და მეორეც არის პირის შესაძლო ქმედებების, უფრო სწორად, ყოფაცხოვრების კანონდებულებები. თუმცა, მათი დაცულობის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი პირობა: როდესაც საუბარია სუბიექტურ უფლებებზე, სავალდებულოა იმ სუბიექტის დამაბალანსებელი მოვალეობის არსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოცემული უფლების რეალიზაცია; მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება თავისუფლებებს, სავალდებულოა ნებისმიერი უფლებამოსილი სუბიექტის მიმართ გარკვეული აკრძალვების შემოღება, რათა მან თვითნებურად უარყოს, თუ არადა, შესაბამისი აქტით შეზღუდოს სხვათა უფლებებში ჩარევის თავისუფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები და კონსტიტუციური სამართლის სხვა წყაროები არა მხოლოდ აღიარებენ სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების უფლებებს და თავისუფლებებს, არამედ ქმნიან ნორმათა სისტემას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო აპარატმა უნდა უზრუნველყოს მათი შესრულება [22, 176-177].

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. А. Бушков, Россия, которой не было, М., 1997.
2. ვ. შუბითიძე, ო. დავითაშვილი, პოლიტოლოგია პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბ., 2002.
3. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტომი 1, თბ., 1997.
4. Р. Цивилев, Право на социальную необеспеченность, М., 1984.
5. Ю. Устименко, Познакомьтесь Ирландия, М., 1978.
6. ნ. ციხისთავი, მოსაზრებანი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის უმაღლესი სკოლის ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნის თაობაზე, „კლიო“, 2005, №25.
7. ვ. კაჭარავა, ამერიკა 1920-იან წლებში, თბ., 2008.
8. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008.
9. Б. Большаков, Бизнес на правах человека, М., 1983.
10. ქ. ჯიჯეიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბ., 2010.
11. ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999.
12. გ. ჯოლია, დიპლომატიური და საქმიანი ეტიკეტი, თბ., 1999.
13. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998.
14. Н. Зенкович, Тайны уходящего века Т.2, М., 1998.
15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 471, ანან. 1, საქ. 295.
16. რ. ჭეიშვილი, რკინის სახკომი, თბ., 1992.
17. Социализм Между прошлым и будущим, М., 1989.
18. Историки спорят, М., 1989.
19. უ. ბლუაშვილი, უცნობი ლავრენტი ბერია, თბ., 2003.
20. Н. Барнабишвили, Кризис, Тб., 1997.
21. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2005.
22. ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2006.

Avtandil Songhulashvili

Doctor of Historical sciences, The Head of the Department of Modern and Contemporary History of The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Human Rights - Historical „features“

Summary

Concept of „human rights“ related from activities of the Spanish monks iezuiti in South America. Human rights and democracy is considered in the same Meaning.

In 1948 the UN Special Committee create and General Assembly In the same year on December 10 issued a Universal Declaration of „Human Rights“. In the 60-th of XX century Human Rights established a new term - protection of dignity.

Foreign countries' Constitutions, constitutional law and other sources, also Georgian main state law recognize the character and different nature of the rights and freedoms, all this structure Set up a system of norms Through which the state ensure their implementation.

ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ევროკავშირი და საქართველო (კონფლიქტების მოგვარების ევროპული გზა)

ევროპის კავშირი (ევროკავშირი, ასევე ევროპის გაერთიანება) 27 ევროპული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელსაც ერთიანი სავაჭრო სივრცე, საერთო საზღვრები და ერთიანი ვალუტა აქვს.

ევროკავშირი დასაბამს იღებს რამდენიმე ხელშეკრულებიდან, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა, ასევე ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება. 1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის დეკლარაციაში მოცემული იყო წინადადება ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების შესახებ. პირველი ხელშეკრულება - ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების თაობაზე, 1951 წლის 18 აპრილს, პარიზში დაიდო. ხელშეკრულებით დაარსდა ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზარი ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფოსათვის (ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) [1, 9]. იგი მიზნად ისახავდა, მეორე მსოფლიო ომის დროს, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ქვანახშირის და ფოლადის პროდუქცია ერთიან, შესახელმწიფოებრივ კონტროლს დაქვემდებარებოდა. რომელიმე ქვეყანას არ უნდა მისცემოდა საშუალება გაეძლიერებინა საკუთარი შეიარაღება. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებასთან დაკავშირებულმა ხელშეკრულების წარმატებამ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს საშუალება მისცა, 1957 წლის 25 მარტს, დაედოთ ახალი ხელშეკრულება ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების შესახებ („ევრატომი“). იგი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბევრად უფრო მრავალმხრივი ხელშეკრულება იყო, რომელიც რომის

ზეკლეცია. ეკლესიის ისტორია

ხათუნა ქოქრაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რუსეთის საეკლესიო-ადმინისტრაციული და რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან შიდა ქართლის მთიანეთში (XIX ს-ის 10-20-იანი წლები)

1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა, დაწესდა ეგზარქოსის თანამდებობა, შეიქმალა ეკლესიის სტრუქტურულ-ადმინისტრაციული წყობა, ის უნმინდეს სინოდს დაექვემდებარა. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ასახული ცარისტული რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შედეგები და ის უზარმაზარი ზიანი, რაც საქართველოს ეკლესიასა და მის მრევლს მიაღდა: შეილახა ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა, ეკლესია და სამღვდელოება პირდაპირ დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე; დაირღვა ეკლესიის მრევლთან მჭიდრო კავშირი; შეიქმალა საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან. ეკლესია საქართველოში გარუსების საშუალებად იქცა [6; 10; 11].

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკით განსაკუთრებით მძიმე შედეგები მივიღეთ იმ რეგიონებში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების მოსახლეობა სახლობდა. ამ მხრივ, უნდა გამოვყოთ შიდა ქართლის ტერიტორიის მთიანეთსა და მთისწინეთში გატარებული საეკლესიო პოლიტიკა, სადაც ძირძველ ქართულ მოსახლეობასთან ერთად ოსები ბინადრობდნენ. XIX-XX ს-ის განმავლობაში რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა, რათა ამ რეგიონში მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, დემოგრაფიული სურათი შეექმნა, ხელი შეეწყო ქართულ-ოსური დამორისპირებისა და გაუცხოებისთვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის წარმოჩენილი რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის როლი შიდა ქართლში დასახლებულ ოსებში სეპარატიზმის გაღვივების საქმეში. შევეცდებით ვუჩვენოთ, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, XIX ს-ის 10-20-იან წლებში, თუ რა საფუძველი

შეუმზადა ამ რეგიონში, (მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და ლეხურას, მეჯუღას, ფრონეს ხეობები (დღევანდელი ცხინვალის რეგიონი)) გატარებულმა საეკლესიო-ადმინისტრაციულმა და რელიგიურმა პოლიტიკამ ქართველებისა და ოსების ერთობის რღვევას და ოსური სეპარატიზმის გაღვივებას.

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერატორის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ქართველ სამღვდელოებას აღუთქვამდა პრივილეგიების, სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებების და საკუთრების უფლების შენარჩუნებას [6, 14; 16, 201]. თუმცა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პირველივე წლებიდან რუსი სახელმწიფო მოხელეები უხეშად ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის შიდა საქმეებში, იჭრებოდნენ ქართლ-კახეთის კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის კომპეტენციაში, ცდილობდნენ ეპარქიების და სასულიერო პირთა რიცხვის შემცირებას და ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიის მართვა-გამგეობის სისტემაზე გადაყვანას [7, 30-31], 1801 წელს, საქართველოს ეკლესიის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით [14, 529-530], გენერალი კნორინგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – ანტონ II მიმართავდა წერილით, რომელშიც მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის შესახებ დანვრილებით ცნობებს. სხვა საკითხებთან ერთად რუსულ მხარეს აინტერესებდა ქართლ-კახეთში ეპარქიების დასახელებისა და რაოდენობის, ეპარქიათა მმართველების ვინაობის, მათი უმაღლეს სასულიერო და საერო ხელისუფლებასთან დამოკიდებულების, თითოეულ ეპარქიაში მონასტრების, ტაძრებისა და სამრევლო ეკლესიების რაოდენობის, ეკლესია-მონასტრების, სამღვდელო პირების შემოსავლის წყაროებისა და საეკლესიო გადასახადების ფორმების შესახებ ინფორმაცია და ა.შ. [14, 529].

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილ დოკუმენტებში დაცულია ამ წერილზე კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორეს პასუხი (იქვე მითითებულია, რომ ამ წერილის პირველი პირი არ აღმოჩნდა). აღვნიშნავთ, რომ ანტონ II-ს გამოხმაურება არ არის დათარიღებული, მის ზუსტ თარიღს ვერ მივუთითებთ. თუმცა ცხადია, რომ ის გენერალ კნორინგის წერილის მიღების მერე, 1801 წლის თებერვლის შემდეგ უნდა შედგენილიყო. ანტონ II გენერალ კნორინგს აუწყებდა საქართველოს გაქრისტიანების, მისი ეკლესიის ისტორიის შესახებ მოკლე ცნობებს, ხაზგასმით მიუთითებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ სტატუსს. კათოლიკოს-პატრიარქის პასუხი შეიცავს ინფორმაციას, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის პირველ წლებში, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობისა და საეკლესიო-ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ.

ყურადღებას შეემაჩერებთ კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II გამობხაურების იმ ნაწილზე, რომელიც ქართლს შეეხება. წერილის მიხედვით ქართლში ამ დროისთვის კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდნენ: სამთავროს, თბილისის, რუისის, წილკნის მიტროპოლიტები; მანგლისის არქიეპისკოპოსი; ურბნისის, სამთავისის, ნიქოზის ეპისკოპოსები; [14, 530]. ანუ შესაბამისად იყო ოთხი სამიტროპოლიტო კათედრა: სამთავროს, თბილისის, რუისის, წილკნის, ერთი საარქიეპისკოპოსო – მანგლისის; სამი საეპისკოპოსო – ურბნისის, სამთავისის, ნიქოზის. უმაღლეს სასულიერო პირებს, არქიმანდრიტის ხარისხის ჩათვლით, შემოსავალი საეკლესიო გლეხებისა და საეკლესიო მამულებისგან ჰქონდათ; სამრევლოების სამღვდელოების ძირითად შემოსავალს კი საკუთარ მიწებზე თავისი შრომით მოპოვებული მოსავალი და მრევლის მიერ გაღებული გადასახადი შეადგენდა. კათოლიკოს-პატრიარქის ცნობით სასულიერო წოდების მიღება ხდებოდა როგორც მემკვიდრეობით, ასევე ღირსებით და არჩევით. სასულიერო განმგებლობა ან დიკასტერია საპატრიარქოს გარდა არსად არ იყო. ეპარქიების საქმეებს განაგებდნენ თვით ეპარქიის მიტროპოლიტები ან ეპისკოპოსები სამღვდელო პირების დახმარებით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, პრობლემების გასარკვევად მიმართავდნენ საპატრიარქოს და დიკასტერიას.

წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომელ ეპარქიებს ექვემდებარებოდა შიდა ქართლის მთიანეთისა და მთისწინეთის, კერძოდ, მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და ლეხურას, მეჯღუდას, ფრონეს ხეობების (დღევანდელ ცხინვალის რეგიონი) მრევლი. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტი (დათარიღებული არ არის) შეიცავს მონაცემებს შიდა ქართლში, უშუალოდ, საპატრიარქოს კუთვნილი მამულების შესახებ [14, 531]: საპატრიარქო ამ რეგიონში ფლობდა მდინარეების დიდი ლიახვისა და რეხულოს (ლეხურა) შორის დაახლოებით 60 სოფელამდე, სადაც მის სამრევლოში ორი სათავადო და 24 აზნაურთა გვარი შედიოდა. სამწუხაროდ, სამიტროპოლიტოებისა და საეპისკოპოსოების საზღვრები წყაროში დაზუსტებული არ არის, მაგრამ მასზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც მდ. დიდი ლიახვიდან რეხულომდე (ლეხურა) ვრცელდებოდა უშუალოდ საპატრიარქოს განკარგულებაში იყო. ამასთანავე, შიდა ქართლის მთიანეთის გარკვეული ნაწილი ნიქოზის ეპისკოპოსის განმგებლობაში იყო [14, 531].

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ საინტერესო ცნობები წილკნის ეპისკოპოს იოანეს წერილში საქართველოს კათოლიკოს-

კოს-პატრიარქის ანტონ II-სადმი [14, 531-534]. წერილი თარიღდება 1800 წლის 1 მარტით. მასში გადმოცემულია წილკნის ეპარქიის დაარსებისა და მისი მოღვაწეობის ისტორია, საეპისკოპოსოს სამწყსოს საზღვრები და მისი იურისდიქცია. ეპისკოპოს იოანეს წერილის მიხედვით, წილკნის ეპარქიის დაარსებისთანავე, მის განმგებლობაში შედიოდა მდინარეების არაგვისა და ქსანს შორის მდებარე სოფლები, ეპისკოპოსს დაუდგინდა ასევე ორივე არაგვისა და კავკასიის მთების ბინადართა მწყემსობა, რომლებიც მაშინ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ: მთიულები, გუდამაყრელები, ჭართლელები, ხანდოელები, მოხვევები და ა.შ. მათი გაქრისტიანების შემდეგ წილკნის სამწყსოში ალევის ხეობაც შემოვიდა. ამგვარად, წყაროს მიხედვით მდ. ალევის ხეობა, მდ. არაგვისა და ქსნის ხეობები მდ. მტკვრის შესართავამდე – ქმნიდა წილკნის საეპისკოპოსოს ტერიტორიას. მეფე თამარის დროს წილკნის ეპისკოპოსს კავკასიის მთების ჩრდლოეთ კალთის ბინადართა გაქრისტიანება დაევალა, მის სამწყსოში შევიდა აგრეთვე, თრუსოს ხეობა, სადაც მთავარანგელოზის ეკლესია აიგო და ზახას ხეობა.

იოანე წილკნელის წერილიდან ირკვევა, რომ გუდამაყრის, თრუსულის და ზახას ხეობების მობინადრეთა და საერთოდ კავკასიელ მთიელთა გაქრისტიანებას დიდ ყურადღებას უთმობდა მეფე ერეკლე II, რომელიც ამ მიზნისთვის ყოველწლიურად ხაზინიდან 200 მანეთს გამოყოფდა. XVIII ს-ის ბოლოს ერეკლე II-ს სწორედ ამ წერილის ავტორი, იმუამად არქიმანდრიტი იოანე (შემდგომში წილკნის არქიეპისკოპოსი), გაუგზავნა კავკასიის მალაღმთიან ხეობებში ოსებისა და ფშავეების გასაქრისტიანებლად. კაცალის ხეობაში მოხვევებმა 2 მღვდელი მოითხოვეს, რომელთა დახმარებით 100 კომლი გაქრისტიანდა. ამის შემდეგ გაქრისტიანებულან გუდამაყარი – ბაკურხევის და თრუსოს ხეობის ბინადარნი.

წილკნის არქიეპისკოპოსის იოანეს სამწყსო კავკასიის მთების მოსახლეობის ჩათვლით შედგებოდა ქრისტიანი მართლმადიდებლებისგან, რომელთა რიცხვი დაუზუსტებელი მონაცემებით დაახლოებით 3000 კომლს აღწევდა. წერილში ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებიც კავკასიის ხეობების ბინადართა გარდა, შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოში: ანანური, ზემო კაზისხევი, ქვემო კაზისხევი, ცხისძირი, აფხავი, არგუნი, მთიულთანთ კარი, ტონჩა, გრემისხევი, ებნისი, ჩილურთი, ბაზალეთი, გრიგოლიანთ კარი, ჩრდილელიანთ კარი, აში, ყვავილი, იორი, ლაბაურთ კარი, ეთვალისი, არანისი, არაგვისპირი, ქვემო არაგვისპირი, ბოდორნა, ხოდა, საშაბურო, ბაგა, წინდუშეთი, კოძიანთ კარი, ტვარელიანთ კარი, ჭიბრინანთ კარი, კარიაულთ

კარი, დუშეთი, ზემო ალევი, ქვემო ალევი, კორინთა, იკოთი, ზემო იკოთი, ახალგორი, ძეგლვევი; ოძისი, ქერანა, ქსოვრისი, დამპალა, მჭადიჯვარი, მუხრანი, ნილკანი. დასახლებული სოფლების ნაწილი, მდ. ლეხურასა და ქსნის ხეობებში მდებარეობს და ნილკნის საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა.

ამგვარად, XIX ს-ის დასაწყისისათვის შიდა ქართლის მთიანეთის ის მართლმადიდებლური სამრევლოები, რომელიც მდინარეების დიდი და პატარა ლიხვის, ქსნისა და ლეხურას, მეჯუდას, ფრონეს ხეობებს მოიცავდა, შედიოდა ნილკნისა და ნიქოზის ეპარქიებში; მდინარეების ქსნისა და ლეხურას ხეობის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი კი უშუალოდ საქართველოს საპატრიარქოს მფლობელობაში იყო.

საქართველოს ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან შეერთების პროცესი რუსეთის ხელისუფლებამ აქტიურად წარმართა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან ერთად უპირველეს ყოვლისა მოხდა ქართული-ეკლესიის სტრუქტურულ-ადმინისტრაციული რეორგანიზაცია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსეთის კოლონიური ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის რესტრუქტურის პროცესის სამი ეტაპია გამოყოფილი [8, 17-19]. 1811 წლის 30 ივნისს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა პროექტი, რომლის მიხედვით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია [6, 22]. აღმოსავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს მაგივრად დაარსდა საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარა. საეგზარქოსოს დაარსებით შეიქმნა ისეთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას იძლეოდა საქართველოს ეკლესია რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით და იმპერიის სრული კონტროლთა მართულიყო. საქართველოს საეგზარქოსოს მმართველად ეგზარქოსი დაინიშნა, რომელსაც რუსეთის უწმინდეს სინოდში მეოთხე ადგილი მიაკუთვნეს. რეორგანიზაციის ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ცამეტი ეპარქია გაუქმდა და მის ნაცვლად შეიქმნა ორი ეპარქია: მცხეთა-ქართლის და ალავერდ-კახეთის, რომელთა მართვისთვის დაარსდა სასულიერო დიკასტერიის ეგზარქოსის თავჯდომარეობით [15, 22].

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი 1814 წელს, მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის მიხედვით, განხორციელდა. ამ პროექტით, რუსეთის მიერ დაპყრობილი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობაც გაუქმდა. ქართლ-კახეთის მსგავსად, ყოფილი იმერეთის სამეფოს, აგრეთვე გურიის და სამეგრელოს სამთავროების საეკლესიო გამგებლობაც სა-

ქართველოს ეგზარქოსს დაექვემდებარა. სასულიერო დიკასტერიის ნაცვლად 1815 წელს გაიხსნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. აღმოსავლეთ საქართველოში, ამჯერად, შეიქმნა სამი ეპარქია: ქართლის, ოსეთის და სიღნაღის [17, 53-54, 56].

1817 წელს კოლონიურმა ხელისუფლებამ საქართველოს ეგზარქოსად თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821) დანიშნა, რომელსაც საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ბოლომდე მიყვანა დაევა. მის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე, 1818 წლის დეკემბერში, ქართლ-კახეთში არსებული ეპარქიები გაუქმდა და შეიქმნა ერთი ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქია. დასავლეთ საქართველოში რეორგანიზაციამდე არსებული 8 ეპარქიის ნაცვლად დაარსდა მხოლოდ სამი – იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეპარქიები. რეფორმა ითვალისწინებდა ასევე საეკლესიო მოსამსახურეთა შტატის შემცირებას, ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლას, საეკლესიო ქონებისა და შემოსავლების სრულ აღწერას. [6, 24, 27-29] ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პროექტით გატარებული გარდაქმნები საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის მესამე ეტაპად არის შეფასებული.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოს საეგზარქოსოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიებისა და მთელი რიგი ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამისიონერო ინტერესების შესაბამისად იცვლებოდა. საეგზარქოსოსა და მასში შემავალი ეპარქიების მართვა-გამგეობის ყველა დეტალი, აგრეთვე, რუსეთის უწმინდეს სინოდთან მათი ურთიერთობა მკაცრ იერარქიასა და კონტროლს ემყარებოდა. ეპარქიათა მმართველები, ეპისკოპოსები, რუსეთის უწმინდეს სინოდთან ურთიერთობას საქართველოს ეგზარქოსისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით ამყარებდნენ [17, 57-59, 65]. საქართველოს საეგზარქოსოს ბიუროკრატიული აპარატის ხარჯები მთლიანად საეგზარქოსოს შემოსავლებიდან და ადგილობრივი საეკლესიო ხაზინიდან იფარებოდა [17, 63-64].

ყურადღებას შევაჩერებთ 1814 წელს ქართლში საეკლესიო რეფორმით დაარსებულ ეპარქიებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტერიტორიაზე ქართლის ეპარქიასთან ერთად საგანგებოდ შეიქმნა ოსეთის ეპარქია.

ოსი ხალხი, ძირითადად, რამდენიმე ერთმანეთისგან გათიშული თემის სახით ჩრდილოეთ კავკასიის ქადის მაღალმთიან ხეობებში მკვიდრობდა. ყაბარდოელთა ზენოლის შედეგად ისინი იძულებული იყვნენ ამ ხეობებში კარჩაკეტილი ცხოვრებით ეცხოვრათ. შიდა ქარ-

თლის მთიანეთში, კერძოდ დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, ოსების მიგრაცია XVII ს-ის II ნახევრიდან იწყება. XVIII ს-ის დასასრულისთვის ოსები, ძირითადად, შიდა ქართლის მთიან ადგილებში იყვნენ დასახლებულნი. XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დამდეგიდან იწყება შიდა ქართლის მთიანეთიდან მთისწინეთისა და ბარის სოფლებში ან ნასოფლარებში ოსების ჩასახლება, სადაც, ძირითადად, ქართულ მოსახლეობასთან ერთად შერეულად სახლობდნენ. XVIII ს-ის ბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსების რაოდენობა (საქართველოს ისტორიული პროვინციის დვალეთის გამოკლებით) დაახლოებით 2130 კომლს შეადგენდა [4, 165, 167].

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის კავკასიაში დამკვიდრების პოლიტიკა, სამხრეთით საზღვრების გაფართოების, მეზობელი ხალხების დამორჩილებისა და რუსიფიკაციის სურვილი მოითხოვდა სამისიონერო საქმის განსაკუთრებულ გააქტიურებას. სხვადასხვა ხალხის თავის ქვეშევრდომად გადასაქცევად და ტერიტორიების ასათვისებლად, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის მოხერხებულად იყენებდა რელიგიურ ფაქტორს, რომელსაც იმ პერიოდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა ხალხებისა თუ ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ მეზობელი ტერიტორიებისა და ქვეყნების მოსახლეობაზე ზემოქმედების გარკვეული მოდელები კი შემუშავდა. ეს მოდელები სქემატურად შესაძლოა ასე წარმოვიდგინოთ: თავდაპირველად მოგზაურების, ვაჭრების, სხვადასხვა დარგის მეცნიერების საშუალებით ხდებოდა ასათვისებელი ტერიტორიებისა და ქვეყნების ხალხის რწმუნის, ზნე-ჩულებების, ტრადიციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა; ამგვარი „დაზვერვის“ შემდეგ იმპერიის მეზობელი რეგიონების „ინოვაციების“ მენტალობაში და დამოკიდებულებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პრორუსული განწყობის გაღვივებას, რაშიც ერთ-ერთი უმთავრესი როლი სარწმუნოებას, კერძოდ, მართლმადიდებლობის ქადაგებას უნდა შეესრულებინა. ამ ხალხის გასაქრისტიანებლად მისიები იგზავნებოდა. „ერთმორწმუნეობა“, მართლმადიდებლობაზე მოქცევა იყო ის იდეოლოგიური ბერკეტი, რომელსაც უნდა განესაზღვრა ამა თუ იმ ტერიტორიაზე დასახლებული ხალხის რუსული პოლიტიკური ორიენტაცია და კურსი. ბუნებრივია, ქრისტიანობის გავრცელება ამ ხალხებში ცივილიზაციის შეტანასაც გულისხმობდა, მაგრამ რუსეთის იმპერიის რელიგიური პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, მათი რუსიფიკაციისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის საშუალება ხდებოდა.

ჯერ კიდევ, XVIII ს-ის II ნახევარში, 1745-1792 წლებში რუსეთის

იმპერიამ დააარსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედებდა „ოსეთის სასულიერო კომისია“. მისი ცენტრი იყო მოზდოკი. სამისიონერო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის მიზანი ოსი ხალხის მართლმადიდებლობაზე მოქცევა იყო, მოასწავებდა, რომ რუსეთის მიერ კავკასიაში გაბატონების საყრდენად საგანგებოდ სწორედ ეს ხალხი შეირჩა და XVIII ს-ის II ნახევარში რუსეთმა კავკასიის კოლონიური ათვისების მიმართულება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაგეგმა. თუმცა, აღნიშნული კომისიის მოღვაწეობა სხვა კავკასიელი ხალხის წინააღმდეგობის გამო ეფექტური არ გამოდგა. ეს გეგმა წარუმატებელი აღმოჩნდა და კომისიამ არსებობა შეწყვიტა.

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, კავკასიის მთიელებში სამისიონერო მოღვაწეობის გააქტიურება რუსეთის რელიგიური პოლიტიკის აქტუალური პრობლემა გახდა. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ დოსითეოს ფიცხელაურის მიერ შედგენილი პროექტი, რომელსაც 1814 წელს 30 აგვისტოს იმპერატორმა მოაწერა ხელი, სხვა საკითხებთან ერთად „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენასაც ითვალისწინებდა. 1815 წლის 15 სექტემბერს სინოდის განკარგულებით აღნიშნულმა სამისიონერო ორგანიზაციამ მოღვაწეობა განაახლა. ამჯერად, მისი ცენტრი გახდა თბილისი [5, 54; 9, 234; 18, 27]. ამჯერად, შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ათვისებისა და მისი გაქრისტიანების მიმართულება რედიკალურად შეიცვალა და დაიგეგმა – სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. საყრდენად მართლმადიდებელი აღმსარებლობის მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანა – საქართველო შეირჩა. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ქართველი სასულიერო პირების დახმარებით მომხდარიყო კავკასიის მთიელების, განსაკუთრებით, ოსების გაქრისტიანება. მისიის ფუნქციაში შედიოდა – თავდაპირველად შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე დასახლებული ოსების გაქრისტიანება. კომისიის სახელწოდება იგივე დარჩა – „ოსეთის სასულიერო კომისია“. მისი საქმიანობა გულისხმობდა: მთიელთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად მისიების გაგზავნას, ეკლესიების მშენებლობას, სასულიერო სასწავლებლების დაარსებას, ადგილობრივ ენებზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნას. „სასულიერო კომისიას“ სათავეში ჩაუდგა არქიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური და დაექვემდებარა უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს [15, 70]. მისიის ფუნქციონირებისთვის თავდაპირველად სახელმწიფომ გამოყო 14750 მანეთი, კაზაკთა ასეული და 30 გამცილებელი [15, 69].

სწორედ, ამ პროცესის პარალელურად, 1814-1818 წლებში შიდა ქართლის მთიანეთში შეიქმნა საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ოსეთის ეპარქია“ ეწოდა [17, 53-54, 56; 15, 24]. ოსეთის ეპარქიას განაგებდა არქიეპისკოპოსი – დოსითეოს ფიცხელაური, რომელიც ამავე დროს იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ხელმძღვანელი. ამგვარად, „ოსეთის ეპარქიის“ შექმნით მოინიშნა ის ტერიტორია, სადაც უნდა ემოქმედა „ოსეთის სასულიერო კომისიის“, ახლად აღდგენილმა „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ სწორედ ამ ეპარქიიდან დაიწყო ოსების გაქრისტიანება. ტერმინი – „ოსეთი“, საქართველოს ძირძველი ტერიტორიების აღსანიშნავად, უკვე ოფიციალურ ორგანიზაციებში დამკვიდრდა. აქ მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობაში ყალიბდება აზრი, რომ ეს ტერიტორია საქართველოში არაა, ოსეთია. ოსი მოსახლეობის მთიანი რეგიონიდან სამხრეთით ჩამოსახლებასთან ერთად, ნელ-ნელა ფართოვდება ამ ტერმინით აღნიშნული ტერიტორია. 1818 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის ეპარქიის შექმნით ოსეთის ეპარქია გაუქმდა. ოსეთის ეპარქიამ 1814-1818 წლებში იარსება.

ამგვარად, XIX ს-ის 10-20-იან წლებში რუსეთის საეკლესიო-ადმინისტრაციული და რელიგიური პოლიტიკის წყალობით თითქოს შეფარულად, მაგრამ მეტად ეფექტურად ხდება ტერმინის „ოსეთის“ დამკვიდრება და დამაგრება საქართველოს ონომასტიკურ ველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ოსეთი“ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე შიდა ქართლის ოსი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების აღსანიშნავად საკმაოდ აქტიურად მკვიდრდება და ამ პროცესს ხელს რუსი სახელმწიფო მოხელეები უწყობდნენ. ჯერ კიდევ, 1802 წელს, გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ პატაკში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სათავეებთან, ოსებით დასახლებულ მთიან რაიონებს „ოსეთი“ უწოდა [2, 38; 12, 86]. შემდგომში სხვადასხვა რუსი მოხელეები ამ ტერმინს იყენებენ უკვე მდინარეების – ქსნის, მეჯუდას, ლეხურას და ფცას ზემონელში ოსებით დასახლებული ტერიტორიების მიმართ. XIX ს-ის 30-იან წლებამდე რუსული დოკუმენტები შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიებს შემდეგი სახელებით იხსენიებენ: საქართველოს ოსეთი, ქართლის ოსეთი, საქართველოს ოსები, ჩრდილოეთ ქართლის ოსები, იმერეთის ოსები, ან იმერეთის კუთვნილი ოსები და ა. შ. [2, 39] ამ ტერმინის ხსენება, ძირითადად, პირად მომწერებში, ანგარიშებში, პატაკებსა და არაოფიციალურ განცხადებებში ხდებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისით, რუსე

თის ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიაში ტოპონიმი „ოსეთი“ ოფიციალურად XIX ს-ის 40-იანი წლებიდან შემოიტანა, როდესაც 1843 წელს დაარსდა „ოსეთის ოკრუგი“, ის დაიყო სამ უბნად – ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დვალეთის ტერიტორია, არდონის ხეობა) უბნებად; [3, 58] თუმცა რეალურად ირკვევა, რომ ტერმინი „ოსეთი“ საეკლესიო-ადმინისტრაციულ ლექსიკონში დაახლოებით 3 ათეული წლით ადრე გაჩნდა, ვიდრე შიდა ქართლის ტერიტორიაზე დაარსდებოდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული – „ოსეთის ოკრუგი“ (1843 წელს). ამგვარად, შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ ტერმინი – „ოსეთი“ ოფიციალურად პირველად რუსეთის სამისიონერო ორგანიზაციისა და საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებაში გაჟღერდა. ამ ტერმინოლოგიის დამკვიდრებას რუსეთის საეკლესიო-რელიგიურმა პოლიტიკამ შეუშაბდა საფუძველი, ხოლო შემდეგ ის საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რუკაზე გაჩნდა. ეს იყო ე. წ. ტოპონიმიკური დივერსია, რომელსაც ქართულ მინა-წყალზე ოსთა ტერიტორიულ პრეტენზიებისათვის ნიადაგი უნდა შეემზადებინა. და ეს ხდება საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის დაარსებით, რასაც შემდეგ პოლიტიკური ერთეულის შექმნა მოჰყვა.

ამგვარი პოლიტიკა მთელი XIX-XX ს-ების განმავლობაში გრძელდება. 1859 წელს თბილისის გუბერნიის ოსეთის ოკრუგს ნარის უბანი ჩამოაშორეს და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ოსეთის სამხედრო ოკრუგს მიუერთეს. შემდგომ პერიოდში ნარის უბანი თერგის ოლქს გადაეცა, 1924 წელს კი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შევიდა. ამგვარად, საქართველომ ისტორიული დვალეთის ტერიტორია დაკარგა [3, 58].

1830 წელს გაზეთმა „ტიფლისკიე ვედომოსტიმ“ შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ პირველად ახსენა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ [2, 39; 13, 124]. ეს ტერმინი კორესპონდენტმა საკუთარი ინიციატივით გამოიყენა. ოფიციალურად კი ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ XIX ს-ის 60-იან წლებში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ ანგარიშში გვხვდება [1, 270-272]. რუსული პოლიტიკით, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შემზადდა ნიადაგი „ოსეთად“ და „სამხრეთ ოსეთად“ სახელდებულ ქართულ მიწებზე ოსების ტერიტორიული პრეტენზიებისთვის. ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგის“, ხოლო კავკასიონის სამხრეთით „ოსეთის ოკრუგის“ დაარსებამ საფუძველი მოუშაბდა ტოპონიმიური წყვილის – „ჩრდილოეთ ოსეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ გაჩენას [2, 16].

შემთხვევითი არ არის, რომ შიდა ქართლის ტერიტორიების

მიმართ ტოპონიმი „ოსეთი“ პირველად ოფიციალურად სწორედ საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულების და სამისიონერო ორგანიზაციების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში აისახა.

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც შიდა ქართლის მთიანეთსა და მთისწინეთში XIX ს-ის 10-20-იან წლებში გატარდა ითვალისწინებდა, თავდაპირველად ქართველების ხელით, შიდა ქართლის ძირძველ ტერიტორიაზე ოსი ეროვნების ელემენტის ერთობის გაძლიერებას, ოსური სეპარატიზმის გაღვივებას. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან უკვე გამოიკვეთა შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოქმედი „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობაში ქართველი სასულიერო პირების ოსი და რუსი ეროვნების სამღვდელოებით და მისიონერებით ჩანაცვლების ტენდენცია. XIX საუკუნის 10-20-იან წლებში ოფიციალური სახელმწიფო სამისიონერო ორგანიზაციის და საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდებები – „ოსეთის ეპარქია“, „ოსეთის სასულიერო კომისია“, უკვე გულისხმობდა საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე მოსახლე ოსების თვითშეგნებაში ის აზრის დამკვიდრებას, რომ ეს მიწები მათი კუთვნილებაა.

ამგვარად, წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი თვალსაზრისი და დასკვნები შემდეგი სახით შეიძლება გადმოიცეს:

ჯერ კიდევ, XVIII ს-ის შუა წლებში შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიაში ოსების გაქრისტიანება დაიხატა მიზნად. ამ მისიის მოღვაწეობა წარუმატებელი აღმოჩნდა და საუკუნის ბოლოს გაუქმდა. XIX ს-ის დასაწყისში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დაპყრობის შემდეგ, რუსეთმა ოსების გასაქრისტიანებლად საქართველოს გამოყენება სცადა. 1815 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აღადგინა „ოსეთის სასულიერო კომისია“ და მისი ცენტრი თბილისში გადმოიტანა. რუსეთმა ოსების გაქრისტიანების პროცესი, ამჯერად, საქართველოდან დაიწყო. ამასთანავე, შიდა ქართლის მთიანეთში 1814 წელს შეიქმნა და 1818 წლამდე არსებობდა საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ოსეთის ეპარქია“ ეწოდა. მოინიშნა ტერიტორია, სადაც უნდა ემოქმედა „ოსეთის სასულიერო კომისიას“. ახლად აღდგენილმა „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ სწორედ ამ ეპარქიიდან დაიწყო ოსების გაქრისტიანება. ტერმინი – „ოსეთი“ უკვე ოფიციალურ ორგანიზაციებში, საქართველოს ძირძველი ტერიტორიების აღსანიშნავად დამკვიდრდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ტერმინი „ოსეთი“

შიდა ქართლის ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულების აღსანიშნავად რუსეთის ხელისუფლების მიერ პირველად ოფიციალურად 1843 წელს დამკვიდრდა, როდესაც შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი“, რომელიც იყოფოდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის (ანუ ისტორიული დვალეთის, არდონის ხეობა) უბნებად. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ტერმინი „ოსეთი“ რეალურად საეკლესიო-ადმინისტრაციულ ლექსიკონში დაახლოებით სამი ათეული წლით ადრე გაჩნდა, ვიდრე შიდა ქართლის ტერიტორიაზე დაარსდებოდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული – „ოსეთის ოკრუგი“. ამგვარად, შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ ტერმინი – „ოსეთი“ პირველად ოფიციალურად რუსეთის სამისიონერო ორგანიზაციისა და საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებაში გაუღერდა.

დასახელებები – „ოსეთის სასულიერო კომისია“, „ოსეთის ეპარქია“, შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიების მიმართ ამ ტერმინოლოგიის გაჩენა, უკვე XIX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან, აქ მცხოვრებ მოსახლეობაში აყალიბებდა აზრს, რომ ეს ტერიტორია საქართველო კი არა, ოსეთია. ოსი მოსახლეობის მთიანი რეგიონიდან შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლებასთან ერთად, ფართოდებოდა ამ ტერმინით აღნიშნული ტერიტორია.

რუსეთის საეკლესიო-რელიგიური პოლიტიკა, რომელიც შიდა ქართლის მთიანეთსა და მთისწინეთში XIX ს-ის 10-20-იან წლებში გატარდა, ითვალისწინებდა ქართველთა ძირძველ ტერიტორიაზე ოსების ეროვნული ერთობის გაძლიერებას, ოსური სეპარატიზმის ინიცირებას. ეს იყო ე. წ. ტოპონიმიკური და ამავე დროს მენტალური დივერსია, რომელსაც ქართულ მიწა-წყალზე ოსთა ტერიტორიულ პრეტენზიებისთვის ნიადაგი უნდა შეემზადებინა. ეს თავდაპირველად ხდებდა საეკლესიო ადმინისტრაციული და რელიგიური პოლიტიკის მეშვეობით, რასაც შემდეგ პოლიტიკური ერთეულის შექმნაც მოჰყვა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ს. ლევიშვილი, როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“? ნიგნში: ოსთა საკითხი, თბილისი, 1996.
2. ვ. ითონიშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ – ცენტრალურ საქართველოში, ნიგნში: ოსთა საკითხი, თბილისი, 1996.
3. ვ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, თბილისი, 1997.
4. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997.

5. ვ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003.
6. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., თბილისი, 2002.
7. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, თბილისი, 2002.
8. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2006.
9. ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებული: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, 2007.
10. აღ. ბენდიანიშვილი, აღ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008.
11. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბილისი, 2008.
12. ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში, თბილისი, 2009.
13. ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბილისი, 2009.
14. Акты собранные кавказской археографической комиссией, т. I, Тифлис, 1866.
15. История Грузинской Иерархии, с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов по 1-е Января 1823 года, Москва, 1826.
16. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. А. Цагарели, т. II, СПб., 1898.
17. Е. К., Краткий очерк истории грузинской церкви и Экзархата в XIX столетие, Тифлис, 1901.
18. Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг. Тифлис, 1910.

Khatuna Kokrashvili

Doctor of History, The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, senior scientific researcher of the Department of Modern and Contemporary History

From the History of the Church-Administrative and Religious Policy of Russia in Shida Kartli (the 10-20es of the 19th century)

Summary

As early as in the middle of the 18th century “Ecclesiastical Committee of Ossetia” was founded. Its aim was to spread Christianity among Ossetians in the North Caucasus. But this mission did not reach its aim and at the end of the century the committee was abolished. In the beginning of the 19th century, after capturing Kartl-Kakheti and Imereti principalities, Russia tried to use Georgia for spreading Christianity among Ossetians. In 1815 Russian government restored “Ecclesiastical Committee of Ossetia” and moved to Tbilisi its centre. This time Russia started the process of Christianization of Ossetians from Georgia. The church administrative unit named “Eparchy of Ossetia” was founded in 1814 as well. The unit existed till 1818. The territory where the “Ecclesiastical Committee of Ossetia” should have to carry on its activity was marked. Newly restored “Ecclesiastical Committee of Ossetia” started its activity exactly for this eparchy. The term – “Ossetia” was established in official organizations for denoting ancient Georgian territories.

In Georgian historiography it is believed that the term-“Ossetia” for denoting the administrative units of Shida Kartli (Inner Kartli) territories was for the first time established by Russian government officially in 1843, when “Okrug of Russia” was founded. It was divided into: Java, Patara Liakhvi, and Nari (historical Dvalety, Ardony gorge, ancient Georgian territory) regions. The fact, that the term “Ossetia” in the church-administrative vocabulary was used nearly thirty years before then the political unit – “Okrug of Ossetia” was founded on the territory of Shida Kartli, is underlined in the article. Thus, the term “Ossetia” denoting the territories of Shida Kartli for the first time officially was used in the name of Russian missionary organization and church-administrative unit.

The establishment of the terms: “Ecclesiastical Committee of Ossetia” and “Eparchy of Ossetia” already in the 10es-20es of the 19th century was

already forming the idea among the population living here that this territory is not Georgia, that it is Ossetia. Together with the migration of Ossetians from the mountain region in the foothills and plane regions the territory which was denoted by this term was becoming wider.

Church and religious policy of Russia that was carried on in the 10s-20s of the 19th century meant to strengthen the consolidation of the population of Ossetian nation, the initiation of the Ossetian separatism on the ancient territory of Kartli. It was toponymical as well as mental diversion that should make grounding for pretensions of Ossetians on ancient Georgian territories. From the beginning it was carried on with the help of the church administration and religious policy that finally caused the establishment of the political unit.

ირინა არაბიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს საკათოლიკოსოს რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების მმართველობა (XX ს. 20-30-იანი წლები)

1917 წლის 12 (25) მარტს აღდგენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთის დროებითმა მთავრობამ მხოლოდ ეროვნული ნიშნით აღიარა. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსი მართლმადიდებლები ისევ რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში დატოვა. სხვა არაქართველი ეროვნების წარმომადგენლებს კი არჩევანის საშუალება მიეცათ [1, 543].

დროებითი მთავრობის ეს დადგენილება გაიზიარა უწ. სინოდმა და 1917 წლის ოქტომბერში საეკლესიო კანონთა დარღვევით შეიქმნა კავკასიის საეგზარქოსო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არც 1917 წლის ნოემბერში არჩეულმა რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა (1917-1925) აღიარა და არც მოგვიანებით პირველიერაქთან დაპირისპირებულმა „განახლების მოძრაობამ“ («Обновленческое движение»). ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების მომხრე და მის გავლენაში მყოფ სასულიერო პირთა დაჯგუფებას წარმოადგენდა. აღნიშნულმა ჯგუფმა 1922 წელს მიიტაცა სასულიერო ხელისუფლება, შექმნა „უმაღლესი საეკლესიო მმართველობა“ და განხეთქილება შეიტანა რუსეთის ეკლესიაში. შედეგად ჩამოყალიბდა პატრიარქის მომხრეთა ე.ი. „ტიხონოველთა“ და მათ წინააღმდეგ განწყობილ „განმაახლებელთა“ დაჯგუფება.

რუსულმა სამრევლოებმა, რომლებიც თბილისში დეკანოზ იოანეს (ლოზოვოი) ხელმძღვანელობით არსებობდნენ და კავკასიის საეგზარქოსოს შემადგენლობაში შედიოდნენ, 1922 წლის დეკემბერშივე აღიარეს „უმაღლესი საეკლესიო მმართველობა“ და მას დაექვემდებარნენ [2, 5-6].

საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა, „განმაახლებელთა“ იდეები (ცოლოსანი ეპისკოპატი, სასულიერო ნოდების წარმომადგენელთათვის მეორედ ქორწინებაზე ნებართვა, მონაზვნობის ლიკვიდაცია და სხვა) საქართველოს ეკლესიაშიც დაენერგა. იმედოვნებდა, რომ ამას

რუსეთის "ობნოვლენცებთან" დაახლოება მოჰყვებოდა და ამ გზით მოხერხდებოდა საქართველოს ეკლესიის შეერთება რუსეთის ეკლესიასთან პოლიტიკური გაერთიანების მსგავსად. ქართველმა სასულიერო პირებმა შეძლეს, განეჭვრიტათ საბჭოთა ხელისუფლებისა და „განმაახლებელთა“ გაერთიანებული ფრონტით მოქმედების შედეგი და ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ მიმართული ეს ნაბიჯი უარყვეს. „განმაახლებელთა“ მიერ განზრახული ცვლილებანი ქართველი სამღვდელოების უმრავლესობისათვის საეკლესიო კანონთა თვალსაზრისითაც მიუღებელი იყო.

„განახლების მოძრაობამ“ საქართველოს ეკლესიაში შეღწევა პირდაპირი გზით რომ ვერ შეძლო, 1924 წლის ზაფხულში დაიწყო სამზადისი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიული ნიშნით აღიარებისათვის. (აღნიშნული საკითხი განხილული გვაქვს სტატიაში „განახლების მოძრაობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“, საისტორიო აღმანახი „კლიო“, თბილისი, 2005, გამომცემლობა „მემატინე“, გვ. 132-148).

„ობნოვლენცთაგან“ ავტოკეფალიის ტერიტორიული ნიშნით აღიარება საქართველოს ეკლესიის ფილეთიზმით დანაწილებული სხეულის ნაწილობრივ აღდგენას გულისხმობდა. რაც „განმაახლებელთა“ დაქვემდებარებაში არსებული რუსული სამრევლოების შემოერთების გზით უნდა განხორციელებულიყო. ქართული მხარე შეეცადა, საქართველოს ეკლესიის ინტერესები მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული. ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგად 1927 წლის 5 თებერვალს „განმაახლებლებმა“ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ტერიტორიული ნიშნით აღიარეს. (ავტოკეფალიის აღიარების აქტი წყაროებში 8 თებერვლის აქტის სახელით მოიხსენიება) [1, 297, 296, 444, 544; 3, 134-135; 4, 26-27].

დებულება, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო „განახლების მოძრაობისადმი“ დაქვემდებარებული სამრევლოების საქართველოს საკათოლიკოსოს შემადგენლობაში გადმორიცხვა, საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1927 წლის 9 მაისს დაამტკიცა, თუმცა, მასში ცვლილებების შეტანის საკითხი ამის შემდეგაც არაერთხელ დასმულა [1, 414-415, 416-417, 419, 444, 449-451].

დებულების მიხედვით რუსულ სამრევლოთა მმართველობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან უნდა ჩამოყალიბებულიყო, მმართველობაში რუსული სამრევლოები საეკლესიო-ეროვნული უმცირესობის უფლებების საფუძველზე ერთიანდებოდნენ [1, 416].

რუსულ სამრევლოთა საეკლესიო მმართველობა თავდაპირველად თბილისის რუსული საეპარქიო მმართველობის წევრთაგან ჩა-

მოყალიბდა. მომავალში მმართველობის ორგანო 3 პრესვიტერისა და 2 საერო პირის შემადგენლობით რუსულ სამრევლოთა კრებას 3 წლის ვადით უნდა აერჩია [1, 416; 2, 24].

1927 წლის 29 მაისის ცნობით რუსული სამრევლოების მმართველობა შემდეგი შემადგენლობით იყო ჩამოყალიბებული: მმართველობის თავმჯდომარე – დეკანოზი იოანე სმირნოვი, წევრები – დეკანოზები: იოანე ლოზოვოი, სერგი პეტროვი, საეროთაგან: დიმიტრი რუსანოვი და ნევრი-მდივანი პავლე ალბოვსკი [1, 423].

1927 წლის 30 დეკემბერის მდგომარეობით საქართველოს საკათოლიკოსოს რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების საეკლესიო მმართველობას საქართველოში 11 სამრევლო ექვემდებარებოდა, სომხეთში – 5, დაღესტანში – 4. აღნიშნულ სიაში მოხსენიებული არ არიან აფხაზეთის რუსული სამრევლოები, რომლებიც 1927 წლის სექტემბერში გამოეყვნენ „ტიხონის ეკლესიას“ და რუსულ სამრევლოთა მმართველობას დაექვემდებარნენ. 1932 წლის ცნობით მმართველობის შემადგენლობაში აფხაზეთის ხუთი რუსული სამრევლო ითვლებოდა [1, 445, 495].

დებულების მიხედვით მმართველობას უფლება ჰქონდა, თავის დაქვემდებარებაში მყოფი სასულიერო პირების დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობა აღედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

მმართველობის პრეროგატივას წარმოადგენდა ეროვნული სახის დაცვა ღვთისმსახურებაში, საქმის წარმოებაში და სამრევლოთა საეკლესიო ყოფა-ცხოვრებაში [1, 416]. მას ეკლესიის შესახებ ხელისუფლების კანონებისა და განკარგულებების სამრევლოთა ცხოვრებაში გატარებაზეც უნდა ეზრუნა. უნდა უზრუნველყო მორწმუნეთა ჩაურევლობა პოლიტიკაში.

მმართველობის დაქვემდებარებაში არსებულ ეკლესიებში ღვთისმსახურებისას უნდა მოეხსენიებინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ან მისი მოსაყდრის სახელი.

ფართო განხილვის საგანი გახდა პუნქტი 9 – მმართველობის დადგენილებების გადასინჯვის შესახებ. 9 მაისის დამტკიცებულ დებულებაში იგი ასეთი სახითაა დაცული: რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების მმართველობის მიერ განხილული საქმეები ხელახლა შეიძლება გადაიხედოს საქართველოს საკათოლიკოსოს უმაღლესი საეკლესიო მმართველობის მიერ, კათოლიკოს-პატრიარქის, მისი მოადგილის ან დაინტერესებული მხარის შეხედულებისამებრ. საქმის განხილვას შეიძლება დაეწიროს მმართველობის წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში საქმე რუსულ ენაზე განიხილება.

დეკანოზ იოანეს და იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის სამრევლო საბჭოს თხოვნა: მმართველობის მიერ განხილული საკითხები კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობით მმართველობაშივე გადასინჯულიყო, მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ არ დააკმაყოფილა. 1927 წლის 20 მაისს დადებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ დამტკიცებული „დებულება“ სავსებით შეესაბამება წმ. სინოდის 1927 წლის 8 თებერვლის აქტს და აკმაყოფილებს სინოდის სურვილს რუსული სამრევლოების სარწმუნოებრივ ცხოვრებაში ეროვნული მისწრაფებების დაცვის შესახებ [1, 419-420].

რუსულ სამრევლოთა მმართველობის სხდომებზე უმთავრესად განიხილებოდა საკითხები: სასულიერო პირთა ამა თუ იმ ადგილზე დანიშვნის, დაჯილდოების, დებულებაში შესატანი ცვლილებების, ზოგიერთი სამრევლოს მატერიალური გაჭირვების შესახებ და სხვა [1, 364-368, 370, 393-394, 475].

მმართველობის წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მუშაობაში. 1927 წელს IV საეკლესიო კრებაზე დასასწრებად რუსთა მხრიდან არჩეული იყო მმართველობის თავმჯდომარე პროტოპრესვიტერი იოანე (სმირნოვი) [1, 369].

რუსული სამრევლოების გადმოცემა საქართველოს საკათოლიკოსოს შემადგენლობაში 1927 წლის ივლისისათვის უკვე დასრულებული იყო და კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს (1927-1932) მმართველობის დაქვემდებარებაში მყოფ თბილისის ყველა რუსულ ეკლესიაში ჰქონდა აღვლენილი საზეიმო ღვთისმსახურება [1, 373].

1929 წლის თებერვლისათვის მმართველობის დაქვემდებარებაში მყოფ ღვთისმსახურთა რიცხვი თბილისის მასშტაბით ცხრას შეადგენდა: პროტოპრესვიტერები: იოანე ალექსანდრეს ძე სმირნოვი და იოანე ემელიანის ძე ლოხოვოვი, დეკანოზები: სერგი თევდორეს ძე პეტროვი, ილარიონ სოლომონის ძე ოქროპირიძე, გრიგოლ ათინაგორას ძე პეტროვი, მღვდლები: იოანე ექვთიმეს ძე ხოროშილოვი, ილია კირაკოზის ძე ბიტნოხა, პროტოდიაკონები: ვასილ ანდრეის ძე პლოხოტნიკოვი, ალექსანდრე ილიას ძე ხანდამოვი [1, 478-479].

მართალია, „განახლების მოძრაობისადმი“ დაქვემდებარებულ სამრევლოებს აღარ ჰყავდათ თავიანთი ეპისკოპოსი და საქართველოს მწყემსმთავარს ემორჩილებოდნენ, მაგრამ მათი დეკანოზებისათვის მინიჭებულ უფლებებს ქართველ სასულიერო პირთა და მორწმუნეთა ნაწილი გადამეტებულად თვლიდა, საქართველოს ეკლესიის უფლებათა დარღვევად მიიჩნევდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი) ბოძებელი 1927 წლის 28 ივნისის განცხადებაში 9 მაისს დამტკიცებული დებულების გადასინჯვის საკითხს აყენებდა. ის აგრეთვე მიუთითებდა რუსი დეკანოზების თვითნებობაზე საკათოლიკოსოს უზენაესი და საეპარქიო დაწესებულებების შესანახი თანხების გაღების საქმეში [1, 438].

რუსულ სამრევლოთა მმართველობის დებულებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა საკათოლიკოსო სინოდი (საკათოლიკოსო საბჭო საკათოლიკოსო სინოდით შეიცვალა 1927 წელს სრულიად საქართველოს IV საეკლესიო კრების დადგენილებით) წევრი თომა ჩიქვანაიაც. მისი აზრით, რუსულ სამრევლოთა მმართველობა ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო არა კათოლიკოს-პატრიარქთან, არამედ საქართველოს ეკლესიის მმართველობის უმაღლეს ორგანოსთან. ეს ლოგიკური იქნებოდა და კანონიერიც, რადგან საკათოლიკოსო სინოდი იყო არა რომელიმე ეროვნულ გაერთიანებათა ეკლესიის გამგებლობა, არამედ მართლმადიდებელ ეკლესიათა მართვა-გამგეობის უმაღლესი ტერიტორიული ორგანო და როგორც ერთ ტერიტორიაზე არ შეიძლება ორი მართლმადიდებელი პატრიარქის არსებობა, ისე არ შეიძლება მმართველობის ორი პარალელური ორგანოს არსებობაც. დებულებიდან გამომდინარე კი შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საკათოლიკოსო სინოდი და რუსულ სამრევლოთა საეკლესიო მმართველობა ერთი და იგივე ფუნქციებით იყო აღჭურვილი.

თომა ჩიქვანაიასავე მითითებით, დებულებიდან უნდა ამოშლილიყო სიტყვები „მონასტერი“ და „სამონასტრო საზოგადოებანი“, რადგან საბჭოთა კანონებით მონასტერთა არსებობა შეუძლებელი იყო. ამასთანავე საქართველოს ტერიტორიაზე რუსული მონასტრების არსებობის დაფიქსირებაც არ იყო სასურველი. თუ ისინი მაინც იარსებებდნენ, უშუალოდ უნდა დაქვემდებარებოდნენ ეპარქიის მღვდელმთავრებს და საეპარქიო მმართველობებს, რადგან რუსი მრევლის სიმცირის გამო ეროვნული პრინციპის გათვალისწინება საჭირო არ იქნებოდა; ადმინისტრაციული თვალსაზრისით კი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეკლესიის მმართველობის მხოლოდ ერთი უმაღლესი ორგანო უნდა არსებებულიყო.

რუსულ სამრევლოთა მმართველობა ავტონომიური უფლებებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. ის არ უნდა გადაქცეულიყო ავტოკეფალიად ავტოკეფალურ ეკლესიაში, მოკლებული უნდა ყოფილიყო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ფუნქციებს. შეზღუდული უნდა ყოფილიყო მმართველობის უფლებამოსილების ვადაც.

მორწმუნე საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა დებულებით დადგენილი მმართველობის არჩევნების ვადის უგულებელყოფაც

(1927 წლის 9 მაისის დებულებაში მითითებული არჩევნები 1930-იანი წლების დასაწყისშიც კი არ იყო ჩატარებული) [1, 485].

ამგვარად, საკათოლიკოსო სინოდის წევრი რუსთა სამრევლოების მართვისათვის შემუშავებული დებულების განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი შესწორება მიზანშეწონილი და კანონიერი იყო.

ჩიქვანაიას მოხსენებაში საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ორგანოს ყურადღება მიპყრობილი იყო იმ გარემოებაზეც, რომ ჩვენი საეკლესიო დებულებით მიტრა, როგორც ჯილდო, მიღებული არ იყო. რუს დეკანოზებს უნდა ეწირათ მიტრის გარეშე, რათა ბოლო მოღებოდა წირვის დროს მიტრიანი რუსი დეკანოზების უპირატესობას ქართველ დამსახურებულ დეკანოზებთან შედარებით [1, 483-485, 490].

თომა ჩიქვანაიას აზრით, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს მიზნად უნდა დაესახათ რუს სასულიერო პირთა „ველიკოდერჟავული“ მოქმედებების აღკვეთა. ასეთ მოქმედებათა თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა რუსული მმართველობის დაქვემდებარებაში შემავალ ეკლესიებში საქართველოს მოხსენიების ფორმა: «Страна Иверская и держава Российской». საკათოლიკოსო სინოდის წევრი მიუთითებდა, რომ ეს სიტყვების უბრალო თამაში არ იყო, აქ მოცემული იყო ერთგვარი პოლიტიკური პროგრამა. ქართული მხარე უნდა ცდილიყო, ღვთისმსახურებისას ქართული სახელმწიფოს მოხსენიება რუსეთის თანასწორად მომხდარიყო, რადგან ორივე სახელმწიფო ერთნაირი უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი [1, 485].

რუსული „ველიკოდერჟავული“ სულის გამოვლინებას წარმოადგენდა მმართველობისადმი დაქვემდებარებულ ეკლესიებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ნაცვლად წმ. სინოდისა და ბაქოს მიტროპოლიტ პეტრეს მოხსენიებაც. მართველობის წარმომადგენლებს განუცხადებიათ „აღდგომის შემდეგ დავიწყობთ ძმურად ცხოვრებას“ [1, 309].

საქართველოს ეკლესიის უფლებები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმაც არაერთხელ შელახა. მან დეკანოზი იოანე ლოზოვი 1927 წლის მაისში პროტოპრესვიტერის პატივით დააჯილდოვა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის განეული შრომის გამო. ცნობა ამის შესახებ დეკანოზ იოანეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის გვერდის ავლით მიუვიდა. მაშინ, როცა სასულიერო პირის დაჯილდოება მხოლოდ მმართველობის უმაღლესი ტერიტორიულ

ლი ორგანოს პრეროგატივას წარმოადგენს. ქართულმა მხარემ წმ. სინოდს ამ მოქმედებისათვის ახსნა-განმარტება მოსთხოვა [1, 265].

შერეულ სამრევლოებს (რუს-ქართველთა და სხვა), რომლებიც 1927 წ. 5 თებერვლამდე უკვე იმყოფებოდნენ საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში, ცვლილებები არ ენებოდა. ე.ი. მათთვის ახლად შექმნილი მაშუალეხელი რგოლი საჭირო არ იყო. მიუხედავად ამისა, მმართველობის რუსული ორგანოს ჩამოყალიბებამ აღნიშნულ სამრევლოთაგან ზოგიერთს საქართველოს ეკლესიის უშუალო დაქვემდებარებიდან გამოსვლისაკენ უბიძგა. ურბნისის ეპარქიის ახალციხის წმ. გიორგის ეკლესიისა და საფარის წმ. საბას მონასტრის კრებებმა 1927 წლის სექტემბერში მიიღეს დადგენილება რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების მმართველობაში გადასვლის შესახებ (წმ. გიორგის ეკლესიას კრებულის შენახვის საშუალება არ ჰქონდა, ისინი ითხოვდნენ, რომ საფარის მონასტრის ბერებისათვის მიეცათ ნება გაეგრძელებინათ მსახურება წმ. გიორგის სამრევლო ეკლესიაშიც) [1, 379].

მართლაც, 1927 წლის დეკემბერში შედგენილი სიის მიხედვით საფარის წმ. საბას მონასტერი რუსთა მმართველობის შემადგენლობაში ირიცხება [1, 445].

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორესადმი სიმონ ურბნელის 1928 წლის 13 მარტის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა აზრი, თითქოს დასახელებული სამრევლოები რუსული იყო და საფარის მონასტერთან „რალაც რუსის მუშათა არტილი“ არსებობდა. წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლო შერეული იყო ქართველ მორწმუნეთა უმეტესობით და მისი დასაკუთრების უფლება რუსთა ეკლესიის მმართველობას არ ჰქონდა. საფარის მონასტერთან დაკავშირებით კი მეუფე სიმონი მიუთითებდა: „საფარა ქართველების ოფლში მოზეილილი კირით არის აგებული და ჩვენსავე მართვა-გამგეობაში უნდა დარჩეს. ხოლო რაც შეეხება, იქ ამჟამად რუსი ბერების მოღვაწეობას, ეს სრულიადაც არ გვაშფოთებს; პირიქით, დიდი თანაგრძნობით და ძმური სიყვარულით აღსავსე გრძნობით მოვეკიდებით მათ, როგორც სტუმრებს, და არავითარ შევიწროებას ჩვენის მხრივ ადგილი არ ექნება“ [1, 452].

ქართველთა მხრიდან განეული წინააღმდეგობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ 1932 წელს ვითარება შეცვლილი ჩანს. რუსულ სამრევლოთა მმართველობისადმი დაქვემდებარებულ სამრევლოთა სიაში საფარის მონასტერი აღარ ფიგურირებს [1, 494].

რუსულ სამრევლოთა მმართველობის ჩამოყალიბების პროცესში საპირისპირო მოვლენებიც ხდებოდა. ბათუმის ღვთისმშობლის სა-

ფარველის ტაძრის სამრევლო საბჭომ 1927 წლის ნოემბერში რუსულ სამრევლოთა მმართველობაში შესვლაზე უარი განაცხადა და უშუალოდ საქართველოს ეკლესიას დაექვემდებარა [1, 314-315, 446-448].

რუსული სამრევლოების მმართველობამ ცალკე რგოლის სახით 1937 წლამდე იარსება. შემდეგ პროტოპრესვიტერ იოანე ლოზოვის დაპატიმრების გამო არსებობა შეწყვიტა. თუმცა, მისი აღდგენის მოთხოვნას რუს სასულიერო პირთა მხრიდან შემდგომშიც (1938 წ.) ჰქონდა ადგილი [1, 527].

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (1932-1952) მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ ქართული მხარე წმ. სინოდის თხოვნას, რუსული სამრევლოებისათვის შეენარჩუნებინათ ეროვნული ელ-ფერი, ასრულებდა წმიდად. რუსთა სამრევლოების საქმეებში საკუთარი ინიციატივით ერთხელაც არ ჩარეულა, ხოლო თუ რუსების სამრევლოები მიმართავდნენ, საქმე წყდებოდა მათი თხოვნის შესაბამისად, საეკლესიო და საერო კანონების გათვალისწინებით.

„1927 წლიდან საქართველოში აღარ იყო არც „ტიხონოველთა“ და არც „განმახლებელთა“ ეკლესიები, არამედ იყო რუსული მართლმადიდებელი სამრევლოები“, რომლებიც კანონიკურ ერთობაში იმყოფებოდნენ ძველმართლმადიდებელ ივერიის ეკლესიასთან“ [1, 550v].

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე №6465.
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №247.
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №12.
4. სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის უწყებათა კრებული, 1927, №1.

Irina Arabidze

Doctor of History, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology, Research
scientist of the Department of Modern and
Contemporary History

Administration of the Russian Orthodox Parishes of the Catholicate of Georgia (the 20s of the 20-30th century)

Summary

The restored autocephaly of the Church of Georgia in March 12 (25), 1917 was acknowledged by Russian provisional government and synod as an autocephaly of a national church.

“The Renovatist Church“ that was under the influence of the Soviet government, captured the spiritual, church power in Russia in 1922, formed the supreme church rule and caused the split, schism of the church. Part of the Russian parishes in Tbilisi became subordinated to the supreme church rule immediately in 1922.

The synod of “the Renovatist Church“ acknowledged the territorial autocephaly of the Georgian Orthodox Church in February 5, 1927.

The project that was worked out for transferring Russian parishes to the Catholicate of Georgia was affirmed in May 9, 1927 by the provisional administration of the Georgian Church.

Orthodox parishes with believers of Russian nationality joined the special organ- the Administration of the Russian Orthodox Parishes of the Catholicate of Georgia which was formed at the Catholicos –Patriarch of Georgia with the rights of the church national minorities. At the end of 1927 10 Russian parishes were subordinated to it in Georgia, 5 in Armenia, 4 in Dagestan. These mentioned parishes had not got any more their bishops and thus were subordinated to the Catholicos-Patriarch of Georgia. Part of the Georgian clergy and congregation believed that the rights given to the administration of the Russian Orthodox parish were exaggerated.